ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №23 (1724) | 22 – 28 ივნისი. 1999 წ. | ფასი 50 თეთრი

## «შევარდნაძე ედპ-ს მომავალ პარლამენტში ყურით შეათრევს»



მესამე გვერდი

— ვინ იქნებიან მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატები?
— ვინ იქნება საქართველოს მომავალი პრეზიდენტი?



— რა თვისებებს უნდა ფლობდეს ნამდვილი ლიდერი?
— მომავალი პრეზიდენტის არჩევა საქართველოს მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს. საჭიროა ეს ყველამ გავიცნობიეროთ.

ამ და სხვა საკითხზე იხილეთ ნარგიზი გვალიას რუბრიკა: „პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფა ქართულ პოლიტიკაში“.

მეხუთე გვერდი



## ვახტანგ ბოჭორიშვილი: ასლან აბაშიძის და ჯემალ გოგიტიძის სრულიად მჯერა...

მეორე გვერდი

## გაფლანგვის რეკორდით გინესის წიგნში

მეორე გვერდი

## სილა გაფუებულ ლოყაზე

...როდემდე უნდა იყიდებოდეს ასე ულვთოდ საქართველო? ჩვენო პატიოსანო მკითხველო, ამ კითხვას თუ პასუხი არ გავეცით, მალე თქვენც და ჩვენც ცხვარივით გაგვყიდიან და კისერში დანასაც გამოგვისვამენ. ამიტომ, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო, პასუხი უნდა გაეცეს აუცილებლად და ამ შემოდგომაზე არჩევნებში გამოხატული ჩვენი სილა ხელისუფლების გაფუებულ ლოყაზე უნდა გახდეს ღირსეული პასუხი.

მესამე გვერდი

## „მოქკავშირს ავტორიტარული რეჟიმის გაღრმავება სურს“

მეოთხე გვერდი

### ყურადღება, ყურადღება!

1999 წლის 26 ივნისს (შაბათს) 10 საათიდან საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირის 45-ში, VI სართული) გაიმართება სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი“-ს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, სადაც მოხდება ამავე საზოგადოების საპატიო წევრის, პოეტ მურმან ლებანიძის მიერ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ №22(3227)-ში გამოქვეყნებული ლექსთა ციკლის თაობაზე პოეტთა, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მოსაზრებების მოსმენა-განხილვა.

*(დასწრება თავისუფალია)*

ელექტრონული ვერსია http: // www.opentext.org.ge/sakartvelo

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### მაკვარანცხი ხელისუფლება

საქართველოს დღევანდელმა მაკვარანცხმა ხელისუფლებამ საპრეზიდენტო არჩევნები 2000 წლის 9 აპრილს დანიშნა. ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კარგად უწყიან, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად შესაძლოა მოგვევლინოს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ყოფილი პირველი მდივანი ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი, რომელმაც გასულ არჩევნებში დიდი ფეთება დამართა მმართველ კლანს ამომრჩევლებში პოპულარობით. ხელისუფლებამ კარგად უწყის, რომ პატიაშვილის როლს 9 აპრილს მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებში საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი უარყოფითად აფასებს, ამიტომ, იმისთვის, რომ 1989 წლის 9 აპრილს პატიაშვილის ცკ-ს მდივნობა შეახსენონ ამომრჩეველს, ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა არჩევნების დღე 9 აპრილისთვის დაემთხვია.

ამაზე დიდი მაკვარანცხობა რაღა გინდათ?

### გაფლანგვის რეკორდით გინესის წიგნში



ყოფილი ხელისუფლების უზენაესი საბჭოს წევრი ავთანდილ კვეტენაძე შევარდნაძის ხელისუფლებას საქართველოს კუთვნილი ქონების გაფლანგვაში ადანაშაულებს. მისი თქმით, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ საზღვარგარეთ 11,8 მილიარდ დოლარად შეფასებული სამხედრო ტექნიკა და 150 მილიარდი დოლარის ღირებულების საზღვაო ფლოტი გაიტანეს, რომელიც შემდგომ უკრაინამ და რუსეთმა გაიყვეს. საქართველოს, ცნობილია, რომ 400 მილიონ დოლარიანი ბიუჯეტი აქვს, ხოლო ხელისუფლების დანაშაულებრივი შეცდომების წყალობით საქართველომ დაკარგა ქვეყნის 400 ბიუჯეტის ტოლფასი ქონება. ჩვენი აზრით, ამაზე დიდი გაფლანგვა კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, ამას თუ დავუმატებთ ეკონომიკის სხვა სფეროებში გაფლანგულ თანხებს, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ არათუ წარსულში, არამედ მომავალშიც ვერცერთი ხელისუფლება ვერ შეძლებს ქვეყნის ასეთი მასშტაბებით დაზარალებას და გაკოტრებას, ასე რომ, ამ ხელისუფლებას ერთი რამ მართლაც აქვს საამაყო, მან დაამყარა გაფლანგვის მოუხსნელი რეკორდი მსოფლიოში, რითაც გინესის წიგნში საუკუნოდ დაიმკვიდრა ადგილი.

### საერთოდ რისთვის არსებობთ?

ის, რომ საინფორმაციო ომის წაგებამ აფხაზეთში დიდად შეუწყო ხელი შემდგომ აფხაზეთის დაკარგვას, ახლა მაინც უნდა გახდეს ცნობილი და გაზიარებული ხელისუფლების მიერ. ინტერნეტის ქსელში საით „აფხაზეთის" ხელმძღვანელმა ბატონმა შადიმან ხელაძემ თხოვნით მიმართა პრეზიდენტს, რომ დაეხმარონ ინტერნეტში საქართველოს ინტერესების დაცვისათვის აუცილებელი ფინანსებით, მაგრამ პასუხი არ ჩანსო, სინანულით ამბობს ბატონი ხელაძე. არადა, რა ისეთ დიდ თანხებზეა ლაპარაკი, რომ უარი ეთქვას მართლაც კარგი საქმის გამკეთებელ კაცს.

საოცარია პირდაპირ ხელისუფლების პოზიცია — ომის მოგება არ შეგიძლია, ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა არ შეგიძლია, ლტოლვილების პატრონობას ვერ ახერხებ, აფხაზეთზე სიმართლის მთქმელ ხალხს ხელს არ უწყობ, გაგვაგებინეთ მაინც, ვისი ხელისუფლება ხართ და საერთოდ, რისთვის არსებობთ?

### ფუი, ეშმაკს!

თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ — ქადაგებდა კაცობრიობის უძველესი სამართლის პრინციპი და ხაზს უსვამდა ჩადენილი დანაშაულისათვის შესაფერისი პასუხისმგებლობისა და სასჯელის აუცილებლობას.

გაზეთმა „ალიამ" გვამცნო, რომ აფხაზმა „ბოევიკებმა" მძევლად აყვანილი ქართველი აწამეს, მერე ვენები გადაუხსნეს და მისი სისხლი დალიეს. ამგვარ ვანდალიზმს აფსუა სეპარატისტები საკმაოდ ხშირად მიმართავენ, რაც ხაზს უსვამს მათ სასტიკ და დაუნდობელ დამოკიდებულებას ქართველების მიმართ. ქართული სისხლის დამლევ აფსუებთან მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით აფხაზეთის დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, უტოპიაა და მეტი არაფერი.



ამგვარი უტოპიით დიდხანს ატყუებდა შევარდნაძე ქართველ ხალხს, მაგრამ ნათქვამია, დიდხანს ყველას მოტყუება შეუძლებელიაო და ამ რამდენიმე დღის წინ ბატონმა პრეზიდენტმა აფხაზეთის დაბრუნება 2005 წლამდე გადაგვიწია, თანაც თუ ვერ დავიბრუნებ, მაშინ მეტს ნულარ ამირჩევთო. ისე, ეს გულახდილობა სჯობს იმ საახალწლოდ ნათქვამ ტყუილებს, ეს წელი აფხაზეთის დაბრუნების წელი იქნებაო, ახლა მაინც გამოიფხეკს ყურებს ქართველი ხალხის უმრავლესობა და აფხაზეთის დამკარგავს დამბრუნებლად აღარ მიიჩნევს, თორემ თუ მარტო ამ კაცის იმედად დავრჩით, იგი, როგორც გამჟღავნდა, ერთი 10 წელიწადი კიდევ აპირებს საქართველოს პრეზიდენტობას და ამასობაში თანდათან შესაძლოა ჩაცხრეს კიდეც ის ტკივილი, რაც აფხაზეთის დაკარგვამ მოგვაყენა. განა ამავე საუკუნეში არ დავკარგეთ საინგილო, ლორე, ტაო-კლარჯეთი, სოჭის მხარე? განა არის ეს მიწა დღეს ქართველი ერის ტკივილის საგანი? ამგვარად, XXI საუკუნეში აფხაზეთის პრობლემის გადატანა აახლოვებს მას XX საუკუნის დასაწყისში დაკარგული ტერიტორიების მდგომარეობასთან, რაც შესაძლოა სავალალო აღმოჩნდეს ქართველი ერის საარსებო სივრცის შენარჩუნების თვალსაზრისით.

ფუ, ეშმაკს! და ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი პერსპექტივისაგან.

### სილა გაფუებულ ლოყაზე...

მწვანეთა პარტიის ლიდერმა გია გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ წალვერსა და ბაკურიანში მოჭრილი 10-15 ათასი კუბამეტრი ხე-ტყე სამცხე-ჯავახეთში მოქმედი 200 სამხერხაოდან სომხეთში გადისო.

ასე თუ გაგრძელდა, ბატონო ტყის მჭრელებო, მალე სომხური ხრიოკი ადგილების მსგავსი გახდებიან ჩვენი ბრწყინვალე საკურორტო ადგილები და დაგვრჩება მხოლოდ სიმღერა — ტყე შეუნახე შვილებსაო. მაინც რა უბედურება გვჭირს ქართველებს, სანამ თითივით გალოკილები არ დავრჩებით, არ უნდა გავჩერდეთ?

ხე-ტყე — სომხეთ-თურქეთში, ჯართი და დაზგა-დანადგარები — ირან-თურქეთში, ჩვენი კუთვნილი სამხედრო გემები და თვითმფრინავები

გაგრძელება მესამე გვერდზე

## ვახტანგ ბოჭორიშვილი: ასლან აბაშიძის და ჯემალ გოგიტიძის სრულიად მჯერა...




**— კონფერენციაზე, რომელიც ბლოკმა „21-ე საუკუნემ" გამართა, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" თავმჯდომარის გოგი ხუციშვილის გამოსვლის შემდეგ დარჩა შთაბეჭდილება, რომ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებას და „მრგვალ მაგიდა — თავისუფალ საქართველოს" შორის დაპირისპირებაა.**

— ჩვენს შორის არანაირი დაპირისპირება არ არსებობს. უბრალოდ, ეს არის ბატონი გოგის გაუცნობიერებელი ამბიცია: „XXI საუკუნეში" შემავალ პარტიათა ჩამონათვალში რატომ სწერია პირველი კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება და არა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოო". ეს უკანასკნელი ვინმეს შემთხვევით პირველი რომ დაეწერა, არც მივაქცევდით, ალბათ, ყურადღებას, მაგრამ საკითხის ასე დაყენება ისტერიკაა და მეტი არაფერი.

გახსოვთ, ბატებმა რომ გადაარჩინეს რომი? მერე იყიყინეს, პატივისცემით რატომ არ გვეპყრობითო, ჩვენმა წინაპრებმა გადაარჩინესო. ასეა ესეც. ის, რაც დიდებული გაკეთდა, იმ „მრგვალი მაგიდის" მიერ იყო, რომელიც დააარსა და ხელმძღვანელობდა ბატონი ზვიად გამსახურდია. მას კი ვერც გოგი შეედრება, ვერც ვახტანგ ბოჭორიშვილი და ვერცერთი საქართველოში მცხოვრები ადამიანი. ჩვენ თუ მივყვებით ზვიად გამსახურდიას შეგონებას, არსებობს ერთი „მრგვალი მაგიდა", რომელიც აღადგინა ქალბატონმა მანანამ, უპირველეს ყოვლისა მათ ერთმანეთში უნდა მოილაპარაკონ, ვინ ვინ არის. ჩვენთვის ძალიან ძნელია ერთს მივემხროთ, მეორეს არა. გოგის ავადმყოფური ამბიციაა ეს, თავს თვლის შეურაცხყოფილად იმიტომ, რომ იქ ჯერ წერია კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, მერე სხვა ყველა. ეს რეალური მდგომარეობაა. დღეს, მთელი ეს მოძრაობა შექმნა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ. ნელნელა დაფიქრებით ვდგამდით თითოეულ ნაბიჯს. ჩვენ კიდევ ერთხელ ვეცდებით შევაგონოთ, თუ რამე გამოვიდა, მაგრამ... როცა შეგნებული ამბიციაა, ადამიანის გადარწმუნება კიდევ შეიძლება, როცა ეს ქვეცნობიერია და ბუნებით სხვანაირად ვერ წარმოუდგენია, მაშინ ძალიან ძნელია მისი გადაჯერება.

**— ბლოკ „XXI საუკუნეში" გაერთიანებულ სხვა პარტიათა შორის სრული ურთიერთგაგება და ჰარმონიული დამოკიდებულებაა?**

— აქაც ურთიერთგაგებაა, გარდა ამ ერთი სასაცილო საკითხისა. არავითარი ტაქტიკური, სტრატეგიული განსხვავება არ არსებობს, ამიტომ გვწყდება გული. სხვა პარტიები კი თვლიან, რომ აქ უნდა იყოს ისეთი იერარქია, როგორიც დღეს არის.

**— ბატონო ვახტანგ, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" მსგავსად უზენაესი საბჭოც ორ ნაწილად არის გაყოფილი...**

— ზოგი ამბობს, ოთხადო, მაგრამ მე დეტალები არ ვიცი, ორად კი ნამდვილადაა გაყოფილი. ერთი ნაწილი ატარებს სესიებს და გადაწყვეტილებებს იღებს, მეორე კი ამას არ სცნობს.

**— თქვენ რომლის პოზიციას იზიარებთ?**

— მე რომელიმეს პოზიცია რომ გავიზიარო, უნდა დავაფიქსირო უზანესი საბჭოს დაყოფა, რაც საქართველოსთვის მომაკვდინებელია.

**— როგორც ცნობილია, თავდაპირველად თანხმობის დარბაზის მიმართ არც ისე კეთილად იყავით განწყობილი.**

— დიახ, მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ მოლაპარაკება, ურთიერთგაგება შეიძლება თვით დაპირისპირებულ პარტიათა შორისაც კი. ერთი გამონაკლისი აღმოჩნდა მოქალაქეთა კავშირი, პოზიციები მაინც დათმო, მაგრამ ძირითადი არა.

თანხმობის დარბაზმა ჩვენს პირობებში მიიღო იდეალური დოკუმენტი, რომელიც გაყალბების დიდ პროცენტს გამორიცხავს. რომ არა მოქალაქეთა კავშირის ობსტრუქცია, კანონი არჩევნების შესახებ მიღებული იქნებოდა.

**— ბატონო ვახტანგ, თქვენ მართლა გაქვთ იმედი, რომ თანხმო-**

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## საქართველოს პრეზიდენტს, ქართველ ხალხს!

სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი"-ს წევრებს ჩვენი ქვეყნისათვის ავის მომასწავებელ ნიშნად მიგვაჩნია ის არაჯანსაღი ვითარება, რომელიც არჩევნების წინა პერიოდში იქმნება. პიროვნული ანგარიშსწორების ამ ახალმა ტალღამ, პოლიტიკური პარტიების დაპირისპირებამ და ბრძოლამ, რომელიც პოლიტიკურ კულტურასა და ზნეობრიობის ყოველგვარ ნორმებს სცილდება და რომელიც ხშირად გარეშე ძალებითაც არის ინსპირირებული, შეიძლება ახალი ტრაგედია მოუტანოს ჩვენს ქვეყანას.

ჩვენს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს თვით „ძნელბედობის" ავადსახსენებელ პერიოდშიც კი უჩვეულო კუთხური დაპირისპირება და სიძულვილი. ქვეყნის ერთი მხარე პირდაპირ მუდმივ სამიზნედ არის ამოღებული გარე ანტიქართული ძალების მხრიდან. ნეოიმპერიული პოლიტიკის ასეთ სამიზნედ ამ ბოლოს დროს სამეგრელო იქცა. ეს ჩვენ გვაგონებს ამ ასი წლის წინ იმპერიული ძალების ცნობილ ცდას, რომელიც სამეგრელოში ქართული დამწერლობის ნაცვლად, რუსულის შემოღებას და ამ გზით სამეგრელოს დედასამშობლოსადმი დაპირისპირებას და მოწყვეტას ისახავდა მიზნად, როგორც ეს აფხაზეთში იქნა კიდევაც განხორციელებული. ამ ანტიქართულ აქტთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი წერდა: „საბედნიეროდ, მთელი სამეგრელოს სალმა მოქალაქეობრივმა შეგნებამ და შორსგამჭვრეტელობამ მეფის მოხელეების ეს გეგმა ჩაშალა".

დიახ, ხალხი, თუ მათ თავგზა არ აუბნიეს პოლიტიკანებმა, უკეთ გრძნობს და ხვდება რა იმალება იმპერიული ძალების და მათი მარიონეტების ზრახვების უკან. „გათიშე და იბატონე"-ს ამ პოლიტიკას ყოველთვის თავის საკადრის პასუხს აძლევდა ხალხი. ჩვენი იმედი დღესაც საუკუნეებში ფორმირებული ხალხის ამ ჯანსაღ ფსიქიკასა და საერთო-ეროვნულ ცნობიერებაშია: ცოტნეობის სული არასოდეს დაიკარგება მის წარმომშობ ხალხში. ილია საქართველოს და ქართველი ერის მომავალს ყველგან და ყოველთვის ერთიანი ისტორიული ბედის შეგნებას უკავშირებდა „საერთო ნიადაგზე დგომას და ერთნებაობა-თანადგომით ქვეყნის მართვას". სამწუხაროდ, ილიას ეს ანდერძიც, ისე, როგორც ბევრი სხვა, დღეს მივიწყებულია. ჩვენი საზოგადოება დღესაც, ისე, როგორც მაშინ, „განთვითეულებული და ასო-ასო დაჭრილია". იმ ერს კი მომავალი არა აქვს, სადაც „... ერის დამაქცევარი სუსტი „მე" გაბატონებულია ძლიერს „ჩვენ"-ზედა". ისიც სამწუხარო ფაქტია, რომ დღევანდელი ქართული პრესაც, მისი უმრავლესობა ეროვნული ერთობისა და შეკავშირების ნაცვლად, პიროვნული და კლანური დაპირისპირების, საერთო-ეროვნული ინტერესებისადმი უპასუხისმგებლობის, ლიტერატურული ხულიგნობისა და ავხორცობის თავისებურ არენად გადაიქცა.

„ლიტერატურულ საქართველოში" ამასწინათ გამოქვეყნებული მურმან ლებანიძის ლექსების ციკლი ჩვენ სწორედ ამის ერთ-ერთ მაგალითად მიგვაჩნია. როგორ დავიჯეროთ, რომ ავტორმა ახლა გაიგო და გაახსენდა საუკუნის წინ მეგრულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი"? განა, სწორედ ეს თარგმანი არ იყო ბუნებრივი რეაქცია სამეგრელოში რუსული ენისა და კულტურის დანერგვის ზემოაღნიშნული მცდელობის წინააღმდეგ?! რატომ უნდა დაინახოს ამაში ნორმალურად მოაზროვნე ქართველმა კაცმა რაღაც არაბუნებრივი და ანტიქართული გამოვლენა. ეს მითუმეტეს, როცა სამეგრელოს მთის სოფლებში მოსახლეობა მაშინ ქართულ ენას სრულყოფილად ვერ ფლობდა და მათთვის „ვეფხისტყაოსნის" გაცნობა სწორედ საერთო ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საშუალებაც იყო!

ესეც არ იყოს, ვინ განასხვავა და ერთმანეთთან „ხმის ამოღება" აუკრძალა ქართველურ ენებს?! ნუთუ ერთხელ მაინც არ წაუკითხავთ არნოლდ ჩიქობავა და ივანე ჯავახიშვილი, არ იცნობენ ქართველური ენების წარმოშობისა და განვითარების ისტორიას?! ერთხელ მაინც არ დაფიქრებულან, თუ რატომ ეძებდა ვაჟა-ფშაველა რუსთაველის ენას მთაში, აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოს მთის უძველეს დიალექტებში?! სწორედ იმიტომ, ბატონებო, რომ მათ შემოგვინახეს ყველაზე შეურყვნელი ქართული ენა!

წავიკითხოთ „ქართლის ცხოვრება" და ცურტაველიდან ანტონ კათალიკოსამდე მთელი ჩვენი ძველი მწერლობა, — მათ ვერ გავიგებთ სრულქმნილად ქართველური ენების ბუნებისა და ერთიანი ისტორიული განვითარების გააზრების გარეშე. ნუთუ ძნელია ამ ელემენტარული ჭეშმარიტების გაგება, თუკი, რასაკვირველია, მისი გაგება გვინდა?!

მოვუსმინოთ ისევ დიდი ივანეს შეგონებას ნაშრომიდან „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა". აი, რას გვირჩევს ილიას შემდეგ ეს უპირველესი ჩვენი ერისკაცი: „ქართველი ერის ისტორიას სრულყოფილად ვერ შევისწავლით ყველა ქართველური ენების მეცნიერული კვლევა-ძიების გარეშე".

ჩვენ ამ დიდმნიშვნელოვან და ბევრისათვის ჭკუის სასწავლ დასკვნას დავამატებდით: იქნებ დადგა დრო დაისვას საკითხი, რომ ჰუმანიტარული მიმართულებების კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მაინც, შემოვიღოთ ძველი, ე. წ. „დაკონსერვებული" ქართველური ენების შესწავლის სპეციალური კურსი.

იქნებ დადგა დრო...

— ქვეყნის უმაღლესი სამთავრობო ინსტანციის მხარდაჭერით შეიქმნას და გამოიცეს „ქართველურ ენათა და კილო-კავთა აკადემიური სინთეზური განმარტებითი ლექსიკონი", აგრეთვე, „ქართველურ ენათა პოეზიის ანთოლოგია".

ჩვენ მაგალითებით არ შეგაწუხებთ, მაგრამ ეროვნულ კულტურაში თითოეულმა გათვითცნობიერებულმა ქართველმა უნდა იცოდეს რამდენი მარგალიტია ამ მხრივ შემორჩენილი ამ ენებში. ერთ-ერთ მათგანზე, მეგრული ფოლკლორის ბრწყინვალე ნიმუშზე — „ბორჯი, ბორჯი", მრავლისმეტყველი კომენტარი მოგვცა რეზო მიშველაძემ ამასწინათ. მართლაც, რომ — „რა მისტიკა, რა საოცარი ხილვებია", დრო-ჟამის უძლეველობის ამ ათასწლეულებგამოვლილ პოეტურ აღქმაში. მარტო ბრმას თუ შეუძლია არ დაინახოს ყოველივე ეს! ამიტომ ყველას მეტი დაფიქრება გვმართებს, როცა ხალხის ღირსებას, მის საუკუნოვან კულტურას და ტრადიციებს ვეხებით".

ჩვენ ამ წერილს ვწერთ იმ იმედით და რწმენით, რომ ჩვენი ბრძენი ხალხი და მასთან ერთად, დღევანდელი ჩვენი ხელისუფლებაც, საკადრის პასუხს გასცემენ ასე გახშირებულ და გააქტიურებულ ანტიეროვნულ ინსინუაციებს, ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ. ისედაც შაგრენის ტყავივით დამცრობილი საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების იმ მიზანმიმართულ გამოხტომებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, შეგნებით თუ შეუგნებლად ხელს უმართავს და სამოქმედო არეს აძლევს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულეც.

**ღრმა პატივისცემით**

**სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი"-ს პრეზიდენტი ალექსანდრე კუჭუხიძე, პროფესორი; ვიცე-პრეზიდენტები: ლია ნაროუშვილი, პოეტი; გივი ლობჟანიძე, პროფესორი; დემურ ლალანიძე, პროფესორი; პრეზიდიუმის წევრები: ელგუჯა გატიაშვილი, პროფესორი; თამაზ ჩიკვაიძე, პროფესორი; ილია ტაბაღუა, პროფესორი; ილია მიძაძე, პროფესორი; რევაზ კრიჟინაშვილი, პროფესორი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი, პროფესორი; თამაზ დანელია, პროფესორი.**

18 ივნისი, 1999 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაულ კუპრავა: შევარდნაძე ედპ-ს ახალ პარლამენტში ყურით შეათრევს




ბატონი რაულ კუპრავა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ხანდაზმული და აქტიური წარმომადგენელია. იგი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრია, რომელიც პოლიტიკურ ბლოკ „საქართველოშია“ გაერთიანებული.

**— ბატონო რაულ, მოქალაქეთა კავშირმა ორიოდე დღის წინ პარლამენტში საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების შესახებ კანონპროექტი წარმოადგინა, რომელმაც მთელ საპარლამენტო ოპოზიციაში აქტიური წინააღმდეგობა გამოიწვია და დიდი პროტესტი. როგორია არასაპარლამენტო პარტიების რეაქცია?**

— ნებისმიერი არასაპარლამენტო პარტიაც იგივე მდგომარეობაშია არჩევნების წინ, როგორც საპარლამენტო ოპოზიცია. პროექტი, რომელიც „მოქალაქეებმა“ წარმოადგინეს, პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ ყველანაირი კონტროლი საარჩევნო უბნებზე და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიებმა დაკარგონ. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ პირობებშიც კი, როცა ყველა პარტიას ჰქონდა საშუალება ჰყოლოდა თავისი წევრები კომისიაში, მაშინაც კი გაყალბება ფანტასტიურ დონეს აღწევდა და ახლა, როცა პოლიტიკურ პარტიას ამ კონტროლის საშუალება არ ექნება, რა მასშტაბებს მიაღწევს გაყალბება, ამაზე ალარც მინდა საუბარი. ასეთ ვითარებაში ამ კანონის შემოტანა ფაქტიურად ხელს შეუწყობს ერთპარტიული სისტემის სრულ ჩამოყალიბებას. ბუნებრივია, არასაპარლამენტო პარტიებსაც იგივე რეაქცია ექნებათ და შესაძლოა უფრო მწვავეც, ვიდრე საპარლამენტოს.

**— არასაპარლამენტო პარტიებისათვის მორიგ პრობლემას 7%-იან ბარიერზე საუბრებიც წარმოადგენს. თუ სარიშვილის მცდელობამ შედეგი გამოიღო, არასაპარლამენტო პარტიებს მოესპობათ არჩევნებში გამარჯვების შესაძლებლობა. ბარიერის 7%-მდე აწევა კარის ცხვირწინ მოჯახუნებას ჰგავს.**

— ნებისმიერი ბარიერის აწევა აწყობს მმართველ ძალას, რომელსაც ხელთ უპყრია ყველა სახელმწიფო მანქანა არჩევნებისა. ეს ყველაფერი ხდება იმისათვის, რომ ხელისუფლებაში კვლავ მოვიდეს დღევანდელი მმართველი ძალა, რომელსაც ყველა საშუალება აქვს 7%-იანი ბარიერიც გადალახოს და გაცილებით მეტიც იმ გზებით, რაც აქამდე ჰქონია.

აქედან გამომდინარე, არასაპარლამენტო პარტიებისთვის 7%-იანი ბარიერის დაწესება მართლაც კარის ცხვირწინ მოჯახუნებაა და მეტი არაფერი.

შესაძლო ბლოკირების პროცესი საქართველოში ამ არჩევნების წინ დასრულებულია და ის ორ არეალში ტრიალებს — ბათუმისა და თბილისის. არ მგონია, არასაპარლამენტო პარტიებმა, რომლებიც რომელიმე ამ არეალში არ არიან მოქცეული, ისეთი ბლოკი გააკეთონ, რომ 7%-იანი ბარიერი ადვილად გადალახონ, მაშინ, როცა მე მიმაჩნია, რომ პრობლემატურია 5%-იანი ბარიერის გადალახვაც კი.

7%-იანი ბარიერი ნიშნავს, პარლამენტში დაამყარო ის ვითარება, რაც სურს დღეს პრეზიდენტს.

ეს არის სამპარტიული სისტემის ჩამოყალიბება: მოქალაქეთა კავშირი, აღორძინება და მესამე ის ძალა, რომელიც სურს პრეზიდენტს მოიყვანოს და პარლამენტში შეათრიოს ყურებით, ეს არის ედპ. ედპ-ს 7%-იანი ბარიერის გადალახვის არანაირი შანსი რომ არა აქვს, ეს ადგილობრივმა არჩევნებმა აჩვენა, მაგრამ როცა პრეზიდენტს სურს, მესამე ძალად ეს მოიყვანოს, მისთვის 7%-იანი ბარიერის გადალახვა პრობლემა არ არის; მესამე ძალა იმისათვის სჭირდება, რომ საჭიროების შემთხვევაში მიიმხროს და გადაწყვიტოს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

ამდენად, ეს არის ნამდვილი ანტიდემოკრატიული ქმედება, რაც დღეს ხელისუფლებამ შეიძლება ჩაატაროს. საერთოდ, უმჯობესია არჩევნები იყოს პროპორციული ... მოსახლეობას სულ ერთსა და იმავეს უკიჟინებენ, რომ უნდა გამსხვილდეს პარტიები და შემცირდეს მათი რიცხვი. იყოს ბევრი, მაგრამ გამოაჩინოს მთელი თავისი შესაძლებლობები. იყოს თუნდაც 1 ხმიანი პარტია პარლამენტში, იმ ერთი ხმის უკან 15000 ამომრჩეველი დგას და ეს ცოტა ხომ არ არის?

**— ბარიერის 7-მდე აწევა ხელისუფლებას იმისთვის უნდა დასჭირვებოდა, რომ ნაკლებჭრელი პარლამენტი ჰქონოდა. თუნდაც სამპარტიული. რა თამაში მიდის ედპ-ს და „მოქალაქეებს“ შორის, როცა 7-ის მომხრე სარიშვილი გარიგების საფუძველზე ვითომ კომპრომისზე მიდის და ფაქტიურად არჩევნებში მონაწილე ორგანიზაციების რიცხვის გაზრდას შეუწყობს ხელს, თუ 51-ს დაუჭერს მხარს.**

— საქმე ის გახლავთ, რომ როცა 7-იანი ბარიერი წესდება და შემოვა 3 პარტია, 51-მდე დაახლოებით 6 დარჩებათ. ანუ ეს სამი პარტია შეაგროვებს დაახლოებით 45-მდე. მათ გარდა ერთი ან ორი პარტია იქნება, რომელსაც ექნება შანსი დაგროვილი 5-6 7-მდე გაუზარდონ და შეიყვანონ პარალამენტში. ეს ყველაფერი კარგად არის გათვლილი და როცა რაიმე სქემას გთავაზობენ ძალიან კარგად იციან, პროგნოზი როგორია, „მოქალაქეები“ 20-25%-მდე ხმების ალებას ვარაუდობენ, „აღორძინება“ — 15-20%-ს, სარიშვილი — 10%-ს. ესეც 45% და დარჩენილი 6% იქნება ერთი ან ორი პარტი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ძალიან მაღალია არჩევნების გაყალბების ფაქტორი




გთავაზობთ ინტერვიუს პარლამენტის დეპუტატთან, სოციალისტური ფრაქციის წევრთან, ბატონ **იური ჩიხრაძესთან.**

**— ბატონო იური, საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა წამოაყენა წინადადება, რომ საარჩევნო კომისიების წევრებად დაინიშნონ პრეზიდენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის მიერ არჩეული პირები. ამას მწვავე რეაქცია მოჰყვა, როგორც აღორძინების, ასევე სახალხოელების მხრიდან. თქვენ რა აზრისა ხართ?**

— ეს არის კანონპროექტი, რომლის ინიციატორია მოქალაქეთა კავშირი და მასში განხილულია, თუ როგორ უნდა დააკომპლექტონ ცენტრალური საარჩევნო კომისია. სულ უნდა იყოს 17 წევრი. აქედან ხუთს ირჩევს პრეზიდენტი, ხუთს პარლამენტი, კიდევ ხუთი წევრი დაინიშნება წინა არჩევნებზე პირველ ხუთ ადგილზე გასული პარტიებიდან. ერთი წევრი იქნება აჭარიდან, ერთი აფხაზეთიდან. ეს ნიშნავს, რომ მმართველმა პარტიამ 2/3 უკვე გაიკეთა. წარმოიდგინეთ, ვის დანიშნავს პრეზიდენტი და ვის აირჩევს პარლამენტი. უკვე 10 კაცი მათია. მე-11 კაცის დანიშვნა ეკუთვნის „მოქალაქეთა კავშირს“, ერთი — ედპ-ს. ეს წევრი ფაქტიურად მაგათზე მუშაობს. აფხაზეთიდან წარმომადგენელი თავისია და გამოდის, რომ 13 წევრი უკვე ჰყავთ. ეს უკვე უმრავლესობაა 17 კაცში. უარესი ის არის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს ეძლევათ, როგორც საჯარო სამსახურის სტატუსი და მათ მიერ გამოცემული დოკუმენტები უკვე არის ნორმატიული აქტები. მათ შეუძლიათ ნებისმიერ ადგილზე ჩათვალონ არჩევნები სწორად ჩატარებულად ან პირიქით.

**— ე.ი. რა გამოდის?**

— გამოდის ის, რომ უზურპაციაა ფაქტიურად მთელი საარჩევნო სისტემისა და კომისიის. მათ მიერ გამოცემულ ინსტრუქციებს უკვე აქვთ კანონქვემდებარე აქტის ძალა. გარდა ამისა, ცენტრალური საარჩევნო კომისია დაკომპლექტდება პრეზიდენტის გუნდით. ისინი ნიშნავენ ოლქებში ანუ რაიონებში წევრებს, ხოლო ოლქები უკვე ნიშნავენ უბნებზე. სტალინს აქვს ნათქვამი: „ვინც ითვლის, ის იგებსო“. წარმოიდგინეთ, საპრეზიდენტო არჩევნები მოდის და პრეზიდენტი ნიშნავს თავის ხალხს, რომელთაც უნდა დაუთვალონ მას ხმები. სჯობდა, დაინიშნონ დეპუტატები, როგორც ოპოზიციიდან, ისე პოზიციიდან. ყველას ჰყავს თავისი სატელიტი პარტია. მოქალაქეთა კავშირის ეს ქმედება არის დემოკრატიული მიმართულების აშკარად საწინააღმდეგო. უნდა ჩავთვალოთ, რომ თუ ეს კანონი მიიღეს, საქართველო კარგახანს დაემშვიდობება დემოკრატიულ განვითარებას. ეს არის მიმართული ჩვენსკენ, ოპოზიციისკენ, რომ ჩვენ არ გავიდეთ პარლამენტში და იყვნენ თვითონ.

**— რის გაკეთებას აპირებს თქვენი ფრაქცია?**

— თუ ამ ფაქტმა არ გამოიწვია მღელვარება მოსახლეობასა და პარლამენტს გარეთ მყოფ პარტიებში, ჩვენ ხელიდან ვუშვებთ შანსს იმისა, რომ ქვეყანა დაადგეს დემოკრატიული განვითარების პროცესს. ჩვენ ვაპირებთ მოვიწვიოთ ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია, გვექნება მწვავე დებატები, რათა იცოდეს მოსახლეობამ რა ხდება. გაყალბების რისკის ფაქტორი არის ძალიან მაღალი, ყველა რაიონში და ყველა უბანზე. ამის გაკეთებას ცდილობს „მოქალაქეთა კავშირი“, რომელსაც ჩვენ უნდა აღვუდგეთ წინ, არა მარტო პარტიები, არამედ მოსახლეობა.

საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ საარჩევნო კომისიის 4 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი. მე-5-ს — პარლამენტის თანხმობით, 5 წლის უფლებამოსილების ვადით. საქართველოს პარლამენტი, ყოველი საპარლამენტო არჩევნების მომდევნო წლის საგაზაფხულო სესიის პირველ წელს ირჩევს საარჩევნო კომისიის 5 წევრს, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს ნიშნავს წინა არჩევნებში პირველ ხუთ ადგილას გასული პარტიები, მაგრამ პარტიებმა, რომლებმაც ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი, არა აქვთ უფლება თავისი წევრი ჰყავდეთ. ეს პარტიები, ფაქტიურად, იჩაგრებიან.

**— ბატონო იური, მოდით, ცოტა თემას გადავუხვიოთ. როგორ შეაფასებდით ამასწინათ პარლამენტში მომხდარ ინციდენტს?**

— ეს იყო ტყუბეჩავას უტაქტო მოქმედება, რომელიც მას სჩვევია. რაც შეეხება „მოქალაქეების“ ჩხუბს, მათ ამით უნდათ დაამტკიცონ, რომ მათ ჩხუბიც შეუძლიათ. „მოქალაქეთა კავშირის“ რომელი წევრია მოჩხუბარი და საერთოდ, მუშტი-კრივზე პარლამენტი არ უნდა გადავიდეს. არავითარ ანგარიშს არ უწევს „მოქალაქეთა კავშირი“ სხვა პარტიებს. როგორ შეიძლება ყველა ჩვენი აზრი იყოს მცდარი, ერთი აზრი მაინც ხომ შეიძლება გაიზიაროს მმართველმა პარტიამ. ამის გამო ხდება გაღიზიანება. ამ სახელმწიფო სამსახურში დავბერდი და არავის შენიშვნა არ მიუცია და რატომ მაინცდამაინც „მოქალაქეთა კავშირს“ არ მოსწონს ჩემი მუშაობა.

**— ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები და ბუნებრივია, თქვენც ემზადებით ამისათვის. ვისთან აპირებთ ალიანსს?**

— ჩვენ შეიძლება ერთად დავსხდეთ, როგორც სახალხოსთან, ასევე ტრადიციონალისტებთან და აღორძინებასთან. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა შეხედულებები გაგვაჩნია, მთელი რიგი საკითხების მიმართ. ჩვენ უნდა შევძლოთ შეთანხმება, არც მარჯვნივ გადავიხაროთ, არც მარცხნივ. ეს გამოიწვევს რადიკალიზმს და ქვეყანა წავა დაღუპვისაკენ. უნდა იყოს სხვადასხვა აზრის პატივისცემა. ეს ნიშნავს პოლიტიკაში პოლიტიკოსების კონსოლიდაციას.

**— შეძლებთ თუ არა საარჩევნო ბარიერის გადალახვას?**

— ჩვენ ამის იმედი გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ზოგიერთ რაიონში სიები წაგვიშალეს, მაინც მივიღეთ 7%. ამიტომ ვფიქრობთ, რომ 10%-ზე ზევით უნდა ავიდეთ.

**— დღეს საქართველოში მემარცხენე ძალები მოიაზრებიან პრორუსული ორიენტაციის მიმდევრებად. რას იტყოდით ამის შესახებ?**

— ამას აკეთებს მმართველი პარტია. რატომ არ მოვიაზრებით ევროპული ორიენტაციის მიმდევრებად. ჩვენ ვაღიარებთ ევროპულ სოციალიზმს, გრანტის, აიხლერის, შუმახერის მიმდევრები ვართ. რატომ მოიაზრება ნოე ჟორდანია რუსულ ძალად, ის ხომ ბოლშევიკებს ებრძოდა. ეს არის ფარსი. ამიტომ ჩვენ უფრო ვართ დასავლური ორიენტაციის, ვიდრე მმართველი პარტია. ისინი უფრო აღმოსავლეთისკენ მიდიან, როგორიცაა ნაზოვი, თურქეთის ფაშა და ა.შ.

**სოფიკო შარვაძე**

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

მეორე გვერდიდან

— რუსეთს, ახლა ამას სამოქალაქო გემების ვალებში დაკარგვა მიემატება. როდემდე უნდა იყიდებოდეს ასე ულვთოდ საქართველო? ჩვენო პატიოსანო მკითხველო, ამ კითხვას თუ პასუხი არ გავეცით, მალე თქვენც და ჩვენც ცხვარივით გაგვყიდიან და კისერში დანასაც გამოგვისვამენ. ამიტომ, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო, პასუხი უნდა გაეცეს აუცილებლად და ამ შემოდგომაზე არჩევნებში გამოხატული ჩვენი სილა ხელისუფლების გაფუებულ ლოყაზე უნდა გახდეს ღირსეული პასუხი.

## ფარვანა პოლიტიკოსები

შევარდნაძის სამსახური ჯერ არავის შერგებია ბოლომდეო, აცხადებს სახალხო პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ბატონი გიორგი კობახიძე. დიდი ჭეშმარიტებაა ამ სიტყვებში. რომ გადავხედოთ სიას შევარდნაძის სამსახურში ოდესლაც მყოფთა და შემდგომ მათგან ციხეებში მოხვედრილთა, დაღუპულთა ან ამ ქვეყნიდან გადაკარგულთა, საკმაოდ გრძელი სია გამოვა. საოცარი ის არის, რომ დღეს ყველამ უწყის, რომ ის, ვისაც შევარდნაძე უცინის ან გორგასლის ორდენს ჰკიდებს, მისი ბედი უკუღმა მიდის, მაგრამ ამ სიცილისა და ორდენის მიღების მსურველნი მაინც ბევრნი არიან, რაც მათ ამსგავსებთ პატარა მწერებს — ფარვანებს, რომლებიც გაბუღრიალებული ნათურის ირგვლივ ფარფატებენ და ამავე ნათურაზე იტრუსებიან და ძირს ცვივიან.

## კომბოსტოს მომყვანია ეს ხელისუფლება?

დამხობილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი ტარიელ ფუტკარაძე თვლის, რომ მასობრივი შიმშილობა, რომელიც წამოიწყო ზვიად გამსახურდიას ქვრივის, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ხელმძღვანელობით „მრგვალი მაგიდა-თავისუფალმა საქართველომ“, არის საქართველოს იურიდიული, ეკონომიკური და ზნეობრივი ჩიხიდან საქართველოს გამოყვანის ერთადერთი გზა: უკანონო ხელისუფლების გადადგომითა და სამართალმემკვიდრე საყოველთაო არჩევნებით საქართველოში სამოქალაქო და სახელმწიფო მშვიდობის დამყარება!

ეჰ, ბატონო ტარიელ, თქვენ თავად წერთ, რომ მოძალადე ხელისუფლება სკამებისათვის ჩხუბობსო, ესე იგი, ერთმანეთში ვერ გამოუნახავთ საერთო ენა ხელისუფლებისთვის ბრძოლაში, თუ ეს ასეა, მაშინ ამ ხელისუფლების ნებაყოფლობით გადადგომისათვის ოცნების რა საფუძველი დარჩა? რომელი იმ რომაელი იმპერატორის შთამომავალი ნახეთ ამ ხელისუფლების სახით, რომელმაც იმპერატორობას შინ ჯდომა და კომბოსტოს მოყვანა ამჯობინა? სამართალმემკვიდრეობა კარგია, მაგრამ მსოფლიო პროცესებს რომ რეალობა მართავს, ეს ხომ აქსიომაა. ამ რეალობის მიხედვით კი ეს ხელისუფლება, რომელსაც თქვენ ფაქტობრივს ეძახით, ორგზის საყოველთაო არჩევნებით არის მოსული და ამ არჩევნებს თქვენ უკანონოს უწოდებთ თუ კანონიერს, ამ არჩევნების შედეგად მოსულ ხელისუფლებას აღიარებს და კანონიერად თვლის გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, ნატო, მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი და ცალ-ცალკე კიდევ მსოფლიოს ყველა სახელმწიფო, რა ვუყოთ ახლა ამ ფაქტს, ესეც უკანონო ფაქტად აღვნიშნოთ და მთელ მსოფლიოს დავუპირისპირდეთ?

მეორეც, ხელისუფლება უარს აცხადებს 1991-92 წლების მოვლენების პოლიტიკურ შეფასებაზე, რადგან ამ შემთხვევაში ეს მოვლენები შეფასდება როგორც სახელმწიფო გადატრიალება და ბევრი ამჟამად ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსი გადატრიალების მონაწილედ გამოცხადდება. აქედან გამომდინარე, ასეთ გადაწყვეტილებას, სანამ ხელისუფლებაში არიან 1991-92 წლების მოვლენების აქტიური მონაწილენი, ეს ხელისუფლება არ მიიღებს, თქვენ კი უკიჟინებთ, გადადექით და ხელებაწეული დაგვნებდით კედელზე მისაყენებლადო.

პინოჩეტი სიბერეში გადადგა, თან კანონი მიაღებინა ჩილეს პარლამენტს მისი მუდმივი სენატორობისა და ჯარების მთავარსარდლობისა და მაინც დადგა მისი პასუხისმგებლობის საკითხი 1973 წლის სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორობის დროს ათასობით ჩილელის დახოცვის გამო. ეს მოხდა აღნიშნული გადატრიალებიდან 25 წლის შემდეგ და თქვენ გსურთ გამსახურდიას ხელისუფლების დამხობიდან სულ რაღაც 8 წლის თავზე თავიანთი ნებით ჩაგბარდნენ ამ გადატრიალების მონაწილენი? შიმშილობით კი არა, ქობალიამ თავის დროზე ტანკებითა და არტილერიით კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით ლამის ქუთაისი აიღო, მაგრამ ამ ხელისუფლებამ იგრძნო რა საშიშროება, რუსული ჯარების გამოყენებით, რაც მართლაც საოცარი უკანონობა იყო, სულ კუდით ქვა ასროლინა კანონიერი ხელისუფლებისათვის მებრძოლებს. ნუთუ ასე მალე დასავიწყებელია ექვსიოდე წლის წინ მომხდარი ამბები?

ყოველივე ამის შემდგომ, რა ერთადერთი გზაც არის ქვეყნის ხსნისა მიმდინარე შიმშილობა, მკითხველმა თავად განსაჯოს.

# ღია წერილი

## სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილეს, ბატონ პეტრე მამრაძეს

იძულებული ვართ, უკვე მერამდენედ მოგმართოთ პრესის საშუალებით და შეგახსენოთ, რომ მიმდინარე წელს, 9 ივნისს, უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატის სხდომაზე გადაიდო ქონების მართვის სამინისტროს საზედამხედველო საჩივრის განხილვა მთაწმინდის რ-ნის სასამართლოს 1998 წლის 30 სექტემბრის №2/680 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტს ბუნების დაცვის კავშირის სასარგებლოდ დაეკისრა 2,17 მილიონი დოლარის გადახდა, ან ამ ღირებულების შენობის გამოყოფა. განხილვის გადადების მიზეზი იყო საზედამხედველო პალატის სხდომაზე პრეზიდენტის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა. იგივე განმეორდა 11 ივნისსაც, როცა თქვენ მოითხოვეთ ჩვენი საქმის 10 დღით გადავადება. ეს ათი დღეც გავიდა, მაგრამ ჩვენი საქმე ისევ განუხილავია. მიზეზი კვლავ პრეზიდენტის წარმომადგენლის გამოუცხადებლობაა.

ბატონო პეტრე!

მე, როგორც გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი და ამავე დროს ბუნების დაცვის საზოგადოების, ამჟამად კავშირის გამგეობის წევრი 1991 წლიდან, გეკითხებით თქვენ, აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალჩინოსანს, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დაადგეს საშველი ბუნების დაცვის კავშირის მიმართ სამართლიანობის აღდგენას, ანუ სახელმწიფოს მიერ მისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, რომლის გარანტიც, კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის პრეზიდენტი და თქვენ, აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი იერარქები უნდა იყოთ.

მოვითხოვთ, ბოლო მოეღოს საქმის გაჭიანურებას, გამოცხადდეს უზენაესი სასამართლოს პალატის სხდომაზე პრეზიდენტის წარმომადგენელი იმ ვარაუდით, რომ უახლოეს დღეებში განხილულ იქნეს ჩვენი საკითხი.

პატივისცემით,

**სერგო ჯანაშია**

**გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორი, ბუნების დაცვის კავშირის გამგეობის წევრი**

# ვახტანგ ბოჭორიშვილი: ასლან აბაშიძის და ჯემალ გოგიტიძის სრულიად მჯერა...

მე-2 გვერდიდან

**ბის დარბაზის მიერ მიღებულ კანონპროექტს საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შესახებ, რომელიც გაყალბებას მაქსიმალურად შეუშლის ხელს, მოქალაქეთა კავშირი თავისი 118 ხმით მხარს დაუჭერს და გაიყვანს?**

— თავისთავად არ დაუჭერს, მაგრამ თუ ჩვენ მას ვაიძულებთ, მეტი გზა არ ექნებათ. ჯერ ვუყურებთ, თუ ეყო კეთილგონიერება მოქალაქეთა კავშირს და ჩვენი ქადილი და გეგმები ტყუილი ლაპარაკი არ ჰგონია, ახლავე უნდა დაგვთანხმდეს. ბატონმა ნოდარ ნათაძემ თქვა, რომ ჩვენ ერთ ელიტარულ დემონსტრაციას მოვაწყობთო. ამის შემდეგ ჩვენ ვეცდებით მრავალათასიანი დემონსტრაცია მოვაწყოთ მთავრობის მიერ გამოყოფილ ადგილას და იქიდან დავიძვრებით, ვნახავთ მერე, ვინ დაგვარბევს. ეს დიდი დესტაბილიზაცია იქნება, მაგრამ სტაბილიზაციისაკენ მიმართული. ამიტომ მათ ცოტა სალი გონება თუ შერჩენიათ, ჩვენს წინადადებაზე უნდა წამოვიდნენ, რას ვთხოვთ მათ შეუძლებელს? ვეუბნებით, მოდით ჩავატაროთ გაუყალბებელი არჩევნები...

**— მოქალაქეები თუ დავამარცხეთ, ახალი ლეგიტიმური ხელისუფლება მოვა და 1991-92 წლების მოვლენებს შეაფასებსო — ბრძანეთ ამასწინათ. დღევანდელ პირობებში რეალურად გეჩვენებათ მოქალაქეთა კავშირის დამარცხება არჩევნებში?**

— რეალურად რომ არ მეჩვენებოდეს, 76-ე წელში ვარ, რა ძალა მადგას, თავს რომ ვიკლავ? გარანტირებული არაფერია, მაგრამ შესაძლებლობა კი ნამდვილად დიდია. სხვაგვარად ხალხი დაჰკარგავს არჩევნებისადმი რწმენას და აი, მაშინ მეშინია, რომ მოქალაქეთა კავშირმა ხელი არ მოჰკიდოს ბრძოლის არაკონსტიტუციურ საშუალებებს და არ დაიწყოს სამოქალაქო ომი. აი, ეს იქნება საქართველოს დასასრული.

**— მოქალაქეთა კავშირი ვერაგია და დაუნდობელიო, ბრძანებთ თქვენ. კი, მაგრამ „რეფორმატორებით დაწყებულ მოქალაქეებით დამთავრებულ" თანხმობის დარბაზში ყოფნა რის მომტანია?**

— ჩვენ მივიღეთ ერთობლივი დოკუმენტი, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოში. საუბარი მაქვს საარჩევნო კანონის პროექტზე.

**— თუ ეს კანონპროექტი არ გავა?**

— ესე იგი დაიშლება თანხმობის დარბაზი, ან იძულებული გახდება მოქალაქეთა კავშირი იქიდან წავიდეს.

**— ბატონო ვახტანგ, ბლოკ 21-ე საუკუნის კონფერენციაზე ნათლად გამოჩნდა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ბაკურ გულუას მიმართ ანტიპათიურად არის განწყობილი.**

— რაც იმ დღეს მოხდა, უცოდინარობის, ინფორმაციის არასრულყოფილების ბრალია. მაგათ რომ იმდენი ინფორმაცია ჰქონდეთ, რაც ჩვენა გვაქვს, ასე არ მოხდებოდა. ბაკურ გულუა არ არის მარტივი ადამიანი, ერთნიშნიანი. მე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ის არის ქართველი პატრიოტი. ჩვენსავით მახვილს არ უშვერს კისერს, მაგრამ პრინციპულ საკითხებში ცდილობს, წინ დააყენოს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები. ამას ხედავს ის, ვინც კარგად იცნობს. ბატონი ბაკური ფოთში იყო ადრე ქალაქკომის მდივანი და იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, ჩვენი ხელისუფლების დიდი მცდელობის მიუხედავად, რომ იგი დეპუტატი არ გამხდარიყო, ხალხმა ბაკურ გულუას დაუჭირა მხარი.

**— თქვენ ბაკურ გულუას იმიჯის აწევას ცდილობთ და ეს ნაბიჯი წამგებიანი ხომ არ იქნება თქვენი რეპუტაციისთვის?**

— ამის იმას ეშინია, ვისი რეპუტაციაც სყალბეზეა დამყარებული. ჩვენ ვერავინ ხინჯს ვერ მოგვინახავს, ამიტომ მივდივართ რისკზე. რომ ხალხს ავუხსნათ სინამდვილე. რა სჯობია, გუშინდელი ეროვნული ხელმძღვანელი დღეს ქვანას და ადამიას გვერდით რომ ზის, თუ გუშინ რამე შეეშალა და დღეს გამოსწორებას ცდილობს? თუმცა ბაკურს არაფერი არა აქვს ჩადენილი. მითხრეს, ბაკურ გულუა რომ შემოვიდეს ბლოკში, ჩვენი ხალხი გაიქცევაო. თუ გაიქცევა, ჩვენი არ ყოფილა. შედეგებს რომ ნახავს, დაბრუნდება. თუკი ქვეყნის სასარგებლოდ რამის გაკეთება შეგვიძლია, იმის შიშით, ჩვენზე რას იფიქრებენ, თავს არ შევიკავებთ.

**— ბატონო ვახტანგ, თუ როსტომ დოლიძის კანონპროექტი საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შესახებ არჩევნების გაყალბებისთვის იყო საჭირო...**

— დიახ, ეს ნამდვილად ასეა. კაცი ჯერ უნდა იცნობდეს ბატონ როსტომს, რომ სხვა რამე მიაწეროს.

**— ვისი კაცია როსტომ დოლიძე?**

— თავისი. რასაც ეგ აკეთებს, ყველაფერი შედის თავის ინტერესებში. ერთხელ დაწერა, მე არც ისეთი პატარა კაცი ვარ, მოქალაქეთა კავშირის სიებში არ დავიკავო შესაფერი ადგილიო. ჩემთვის ეს შეურაცხმყოფელია. მაგისთვის კი დიდი პატივი. მე მოქალაქეთა კავშირელობა შემრცხვებოდა. ქვეყანაზე არსებობს ასეთი კანონები, სადაც დემოკრატიაა, ჩვენთან კი დაინიშნება თუ არა ხელისუფლების მიერ საარჩევნო კომისია, ის მხოლოდ გაყალბების საქმეს გააკეთებს.

**— ზვიადისტური ძალების საბოლოო გაერთიანება არჩევნების წინ გამოსავალი ხომ არ იქნებოდა. არ გიცდიათ, ნაბიჯი გადაგედგათ კიკაჩეიშვილისეული ფრთის შემორიგებისაკენ?**

— უი?! რას ამბობთ?! შემორიგება კი არა, გადაეხვევივართ ერთმანეთს, ძმობა და სიყვარული გვითქვამს. მე მაგათ მიტინგზე ორჯერ მივედი, რომ მხარი დამეჭირა, მაგრამ სიტყვა არ მომცეს, ეს გადავყლაპეთ. როცა თქვეს, მოვდივართ არჩევნებზეო, შევიკრიბეთ ჯერ ერთ ოთახში, მეორეში, მაგრამ ბოლოს გვითხრეს, ჩვენ არავისთან არ შევდივართ ალიანსში, თუ გინდათ, თქვენ შემოდით ჩვენთანო. როგორც სამი წლის ბავშვი უკან ველარ შებრუნდება დედასთან, ასევე პარტიაც, რომელიც ჩამოყალიბდა მებრძოლ, ზომიერ პარტიად, ვერ შთაინთქმება. ჩვენ შევთავაზეთ, გავერთიანდეთ, სხვა სახელი დავირქვათ, იქ კი ჩამონათვალში იქნება „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება და ა. შ. ისინი კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. ამის შემდეგ კი მათი დიქტატორული რეჟიმის გამო ბევრი აქტიური წევრი მათგან გამოიქცა და ჩვენ შემოგვიერთდა.

ჩემთვის გაუგებარია ბატონ თენგიზ კიკაჩეიშვილის პოზიცია. როცა არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდა, კიდევ გვესმოდა მისი. ახლა კი, მიდის არჩევნებზე არა ჩვენთან, არამედ ვაჟა ადამიასთან და ირაკლი წერეთელთან.

**— ბლოკი 21-ე საუკუნე არჩევნებში დემოკრატიული ალორძინების კავშირთან ერთად აპირებს მოსვლას. ჯერ ეს ბათუმის მიერ ხმამაღლა არ არის გაცხადებული.**

— როგორ არა, უბრალოდ, დადგენილება უნდა გამოიტანოს ყრილობამ.

**— როდის იქნება ეს?**

— ველით დეკემბრიდან, საქმე ასე მარტივად არ არის. ხელშემშლელი პიროვნებებიც არსებობენ და საამისო ბევრი პირობაც არის. ახლა ამბობენ, ამ თვის ბოლოს ან იმ თვის დასაწყისშიო. ყოველთვის ასეა. ჩვენ გულხელდაკრეფილნი არ ვართ. ჩვენს საქმეს ვაკეთებთ და კიდევ მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ეს ალიანსი შესდგება. ბატონმა გოგიტიძემ, რომელიც ასლან აბაშიძის მარჯვენა ხელია, ერთ-ერთ გაზეთში დაწერა, ჩვენთან ალიანსი გაცხადდება პირველივე ყრილობის შემდეგო. მე მოწინააღმდეგისა ყოველთვის არ მჯერა, რაც შეეხება მეგობარს, მახსოვს ბრძენის ნათქვამი: „ნაკლები სირცხვილია იყოთ მოტყუებული მეგობრის მიერ,ვიდრე არ გჯეროდეს მათი".

**— ჯემალ გოგიტიძის არჩამოსვლაში რაიმე საეჭვო ხომ არ არის?**

— არა, უბრალოდ, ვერ ჩამოვიდა. რწმენა პატარა რალაცამ ვერ უნდა დაგაკარგვინოს. მე გოგიტიძის ძალიან მჯერა, ის მართალი ადამიანია და არა მგონია ტყუილი ეთქვა, მაშინ, უბრალოდ, იტყოდა, არ ჩამოვალო.

**— ბატონო ვახტანგ, ერთ-ერთ წინა ინტერვიუში ბრძანეთ, რომ ქალბატონ მანანა არჩვაძეს პოლიტიკოსად არ თვლით...**

— ეს ჟურნალისტის გულუბრყვილო შეცდომა იყო, სათაურში შეცდა. იმის ნაცვლად, რომ დაეწერა, ჩვენ არ ვიხილავთ მანანა გამსახურდიას, როგორც პოლიტიკოსსო: დაწერა, რომ არ ვთვლით მას პოლიტიკოსად. ეს შეურაცხყოფაა, ჩვენ მას პოლიტიკოსად მივიჩნევთ, მაგრამ არ ვეკამათებით პრეზიდენტის მეუღლეს. ჩვენ ამ საკითხს ვაყენებთ კამათის ზევით, როგორც ამბობდნენ, კეისრის მეუღლე უნდა იყოს ყოველგვარი ეჭვის გარეშე.

**მანანა ლოგჯანიძე**

# რაულ კუპრავა: შევარდნაძე ედპ-ს ახალ პარლამენტში ყურით შეათრევს

მე-2 გვერდიდან

ისთვის.

ასე რომ, 51% კომპრომისი სულაც არ გახლავთ, ბარიერი 5% რომ დარჩეს, მაშინ კომპრომისი ნამდვილად იქნებოდა.

**— პრობლემები ბევრი აწუხებს საქართველოს არჩევნების გარდა და ისინი მოცდას არ ექვემდებარებიან. დღეს დღის წესრიგში ისევ და ისევ განძის საკითხი დგას. რა უნდა მოხდეს, თქვენი აზრით, რომ განძი საქართველოდან არ გავიდეს?**

— ჩვენ სარჩელი შევიტანეთ სასამართლოში. მე სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ ამ სასამართლოს მოვიგებთ, მძიმედ, მაგრამ მოვიგებთ.

**— რისი იმედი გაქვთ?**



— არსებობს დოკუმენტი, რომელსაც ჰქვია განზრახულებათა პროტოკოლი. მე და თქვენ მოლაპარაკებას რომ ვიწყებთ, პირველად ვაფიქსირებთ, რა განზრახვები გვაქვს; ამერიკის მხარეს ჰქონდა სურვილი ჩაწერილიყო, რომ მათ აქვთ ექსკლუზიური უფლება, რომ დიდი ალბათობით გაიყიდოს წარმოდგენილი ექსპონატები, თუ ასეთი მსურველი გამოჩნდება. ეს იურიდიულ დოკუმენტს არ წარმოადგენს; ეს არის მისი განზრახვა, რის შემდეგაც გაკეთდა ხელშეკრულება. ის, რაც იქ არის ჩადებული, ირიბად ასახავს მათ სურვილს. თუ იცი, რა განზრახვები ჰქონდათ მათ თავიდან და მერე ჩაიხედავ ხელშეკრულებაში, კარგად შეამჩნევ, რაც წერია. ცალკეული ექსპონატის გაყიდვა შეიძლება, მაგრამ თითოეული ექსპონატის გაყიდვამდე უნდა დაიდოს ცალკეულ ნივთზე გაყიდვის კონტრაქტი, ანუ ხელაღებით არ შეუძლიათ გაყიდვა. მოლაპარაკება ჩვენ მხარესთანაც უნდა აწარმოონ, იმ მხარესთანაც და კონტრაქტის საფუძველზე თითოეული ნივთი შეიძლება გაყიდონ. მოდით, ვთქვათ, რა იგულისხმება ნივთში. შეიძლება აქედან წაღებული ნაბადი ან სვანური ქუდი ექსპონატად იყოს წაღებული და გაიყიდოს, და შეიძლება გაიყიდოს ჯვარი ან ხატი. იქ ექსპონატია ესეც და ისიც, რასაც გამოვფენ და ვაჩვენებ ამერიკელს.

ეს დოკუმენტი აშშ-დან მოვიპოვეთ და ყველაფერს ნათელი მოეფინა, ეჭვი გამართლდა, რომ ამერიკულმა მხარემ შეიძლება ეს გაყიდოს და რისი საფუძველი ამ დოკუმენტის მოპოვებამდე არ გვქონდა, ამ დოკუმენტმა დაგვანახა, რომ, დიახ, მათი სურვილი არის, რომ გაყიდონ და თანაც ექსკლუზიური უფლება მოიპოვონ გაყიდვაზე. დოკუმენტში ისიც წერია, რომ ნებისმიერი აქედან წასული დელეგატი დაფინანსებული იქნება იმ ოდენობით, როგორც აშშ აფინანსებს მათ მთავრობის წევრებს და ეს არის კოლოსალური ხარჯები. რატომ აძლევს საქართველოდან წასულ 15-20 კაციან დელეგაციას ამდენ ფულს. მეორე მხარე რატომ იხდის 400000 დოლარს? იმიტომ, რომ ფულს 20-ჯერ ამოიღებს ერთი ექსპონატის გაყიდვით, თუ ამის უფლება მივეცით და ამიტომაც.

კი, ბატონო, წავიდეს იქ ის, რისი გაყიდვაც შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, რადგან მაინც გაყიდიან, დარწმუნებული ვარ. ისეთი ექსპონატები, რომლებიც სულიერ ღირებულებას წარმოადგენენ — ჯვარ-ხატები, მათ გატანაზე საუბარი საერთოდ ზედმეტია და ისეთი ნივთები, რომლებსაც რესტავრაცია სჭირდებათ და ტრანსპორტირება საშიშია, არ გავა; წაიღონ ის ნივთები, რომელთა ტრანსპორტირება შესაძლებელია და იქნება გარანტია, რომ არ დაზიანდება ნივთები, რომლებსაც გააჩნიათ კომერციული ღირებულება, თანაც ისეთი დიდი დაზღვევით, რომლის ტოლფას ფულს ვერასოდეს ვერ ამოიღებენ.

ჩვენ ამ სასამართლოს უეჭველად მოვიგებთ. როცა დავით გარეჯზე შევიტანეთ სარჩელი, ყველა ამბობდა, ეს, ალბათ, ხმაურისთვის გინდათ, თორემ გარეჯში პოლიგონს როგორ მოაშლევინებთო. ხომ დავახურინეთ პოლიგონი, დიდი ბრძოლით, მაგრამ მაინც მოვიგეთ.

ახლაც ვნახოთ..

**მანანა ლოგჯანიძე, ბესიკ ჯახაია**

# „მოქკავშირს ავტორიტარული რეჟიმის გაღრმავება სურს"

## ინტერვიუ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის აღმასრულებელ მდივანთან. პოლიტიკურ ბლოკ „საქართველოს" საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელთან. ბატონ გოგი სორდიასთან




**— როგორც ცნობილია, ეროვნული თანხმობის დარბაზმა პარლამენტის არჩევნების შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროექტი შეიმუშავა. რა ბედი ეწია ამ პროექტს?**

— სანამ პროექტის ბედზე ვილაპარაკებდე, მინდა შევეხო ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. ეროვნული თანხმობის დარბაზის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა 40-ზე მეტი პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მათ შორის მოქალაქეთა კავშირიც. საქართველო მაშინაც იდგა და დღესაც დგას ეროვნული თანხმობის მიღწევის აუცილებლობის წინაშე, ამის გარეშე საქართველოს სახელმწიფოებრიობას საფრთხე ემუქრება.

ძალიან ბუნდოვან ვითარებაში გამოქვეყნდა პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის (რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი როსტომ დოლიძე) მიერ შემუშავებული პროექტი პარლამენტის არჩევნების კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის თანახმადაც საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება უნდა მოხდეს სახელმწიფო მოხელეების მიერ. თანამედროვე საქართველოსთვის ეს პროექტი იმდენად არადემოკრატიულია, რომ სტალინის საბჭოთა კავშირსაც კი შეშურდებოდა.

ამ გარემოებამ შექმნა იმის აუცილებლობა, რომ თანხმობის დარბაზს შეემუშავებინა პარლამენტის არჩევნების კანონში ცვლილებების შეტანის თავისი პროექტი. შესაქმნელი პროექტის მწვანე შუქის გარანტი იმთავითვე მმართველი პარტია იყო. დღეს ხომ ეროვნული თანხმობის მიღწევის სტიმულირება მმართველი პარტიისგან უნდა მოდიოდეს. შეიქმნა სპეციალური კომისია ბატონი ვახტანგ ხმალაძის ხელმძღვანელობით (დღეს კი ჩვენს პროექტს შეცდომით მოიხსენიებენ, როგორც ხმალაძის კანონპროექტს) დაძაბული, ხანგრძლივი მუშაობის შედეგად თანხმობის დარბაზმა მიიღო პროექტი პარლამენტის არჩევნების კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, მას ხელი მოაწერა 41 პარტიამ და საზ. ორგანიზაციამ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ პროექტს ხელი არ მოაწერა მოქალაქეთა კავშირმა. თვით ეს ფაქტი პროექტის პარლამენტის მიერ გაუთვალისწინებლობის ეჭვს ბადებდა.

დაიწყო თანხმობის დარბაზის კონსულტაციები მმართველ პარტიასთან. თავიდანვე თითქოსდა კონსტრუქციული იყო დიალოგი. რაც უფრო ცაიტნოტური მდგომარეობისკენ მიდის პარლამენტი, მით უფრო ვაჭრობის ხასიათს ღებულობს მოლაპარაკების პროცესი. როგორც ირკვევა, მმართველი პარტია ყველანაირ დათმობაზე მიდის, სანაცვლოდ საარჩევნო კომისიებზე კონტროლი რომ დააწესოს.

ბოლო შეხვედრაზე მოქალაქეთა კავშირის ოდიოზურმა ფიგურამ ვიტალი ბაზაძემ ცალსახად განაცხადა — „ნებისმიერ პროექტს მივიღებთ, რომელიც მოქკავშირს გარანტიას მოგვცემს საარჩევნო კომისიებში ერთი კაცით მეტი მაინც გვყავდესო." სამწუხაროა, რომ ამ ვაჭრობაში ჩაება ბევრი ეროვნულ-პოლიტიკური ძალაც. ჩვენს გაკვირვებაზე ისინი გვპასუხობენ „რა ვქნათ, სულ არაფერს რალაცა მაინც ჯობიაო".

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებამ დემოკრატიის სპექტაკლი გაითამაშა?**

— დიახაც, დოლიძის კანონპროექტი ეროვნული პოლიტიკური ძალების გასალიზიანებლად გამოქვეყნდა. თანხმობის დარბაზშიც მოქ. კავშირის მონაწილეობაც სპექტაკლის ერთ-ერთი ელემენტი იყო. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, მოქალაქეთა კავშირი გრძნობს, რომ მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა არა აქვს და ხელისუფლების შენარჩუნება საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების გაყალბებით სურს. დღეს მოქმედი საარჩევნო კანონი ბევრად უფრო დემოკრატიულია, ვიდრე მოსალოდნელი ცვლილებები. არსებული კანონის თანახმად კომისიებში პოლიტიკურ ძალთა განაწილება უპროგნოზოა. მოქალაქეთა კავშირს კი წინასწარ თავის მიერ მართვადი კომისიების შექმნა სურს.

**— მოვლენების შემდგომი განვითარება როგორ გესახებათ?**

— თუ მოქალაქეთა კავშირის ჩანაფიქრი შედგა, არჩევნების შედეგები განწირულია, უფრო მეტიც, საქართველოს სახელმწიფოს დღევანდელი კურსის გაგრძელების შედეგად დაშლა-დაქუცმაცება, ეკონომიკური კატასტროფა ელოდება. მოქ.კავშირმა ხელისუფლებაში რაც არ უნდა პატიოსანი, კეთილსინდისიერი ადამიანები მოიყვანოს (რაც წარმოუდგენელია), ამ საარჩევნო კანონით არჩეული ხელისუფლება მაინც ავტორიტარული რეჟიმის გაღრმავებისკენ წავა. ქვეყანას უნდა მართავდეს დემოკრატიული კანონები და არა პიროვნებები. მოსალოდნელი ცვლილებების პროექტი დაიწერა არა ქვეყნისთვის, არამედ მოქკავშირისთვის. მე ვფიქრობ, ყველა ეროვნულ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი ძალები, საზოგადო მოღვაწეები, სტუდენტები, მთელი მოსახლეობა უნდა დაირაზმოს ამ კანონპროექტის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა მივმართოთ ყველა კანონიერ ფორმებს, რათა არ დავუშვათ საქართველოში ავტორიტარული რეჟიმის გაღრმავება.

ესაუბრა

**სოფიკო შარვაძე**

# პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფა ქართულ პოლიტიკაში

## მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატების შერჩევა ხალხმა თავის საქმედ უნდა გაიხადოს

**ძვირფასო მკითხველო!**

კარგა ხანია გაზეთ „საქართველოს" რამდენიმე ნომერში (15, 18, 19, 20, 21, 22) თქვენთვის მიმყავს რუბრიკა „პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფა ქართულ პოლიტიკაში".

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ საზოგადოებაში ამ თემამ ინტერესი და კეთილგანწყობა გამოიწვია, რაზედაც მიუთითებს მკითხველთა სატელეფონო ზარები და მრავალრიცხოვანი პირადი საუბრები, სადაც გამოიკვეთა სურვილი, რომ აუცილებლად გაგრძელდეს მსჯელობა ამ საკითხის ირგვლივ, რაშიც საზოგადოება აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას.

როგორც გაზეთის წინა ნომრებში მოგახსენეთ, პრეზიდენტის პოსტი იმდენად მნიშვნელოვანია ნებისმიერ ქვეყანაში, რომ პრეზიდენტობის კანდიდატების მომზადების საკითხი არ შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივ და პარტიულ საკითხად განვიხილოთ. იგი საზოგადოებისა და მისი აზრის მუდმივი კონტროლისა და ზემოქმედების ქვეშ უნდა იყოს.

ჩვენ გთავაზობთ არა კონსტიტუციურ მოწყობას, რომელიც არსებობს, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის მექანიზმს, რომლის მთავარი დედაბოძი არის პრეზიდენტი.

ჩვენი მიზანია პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატების და მათი შესაძლებლობების გამოვლენა და აგრეთვე ამ შესაძლებლობების გაზრდის მექანიზმის შემუშავება.

მიგვაჩნია, რომ ასეთი მექანიზმის შემუშავება ხელს შეუწყობს საზოგადოების დემოკრატიზაციას, პოლიტიკისადმი ზნეობრივ მიდგომას, პოლიტიკოსების ხარისხის ამაღლებას.

ეს ახალი, ორიგინალური იდეაა, რომლის განხორციელება მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია.

ამ მოძრაობით ჩვენ დასაბამს ვაძლევთ პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფის საზოგადოებრივი მექანიზმის დამკვიდრებას, მისი თეორიის, მეთოდების დამუშავებას.

შეგპირდით, რომ ამ საკითხზე ვიმსჯელებთ პოლიტოლოგებთან, სოციოლოგებთან, ფსიქოლოგებთან, ფილოსოფოსებთან, ეკონომისტებთან, მეცნიერებთან, ახალგაზრდებთან.

**დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბატონი შოთა ნადირაშვილი.**

**— ბატონო შოთა, ძალიან საინტერესოა თქვენი აზრი პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფის, პრეზიდენტობის კანდიდატთა ფონდის შექმნის შესახებ ქართულ პოლიტიკაში...**

**შოთა ნადირაშვილი** — ეს ახალი იდეაა. მას ძალიან დადებითად აღვიქვამ. ეს საკითხი მეტად აქტუალური და საჭიროა. ჩვენ საბჭოთა კავშირიდან მოვდივართ და ამდენად, მიჩვეულნი ვართ, რომ ამ რიგის საკითხებს ჩვენს მაგივრად უნდა წყვეტდნენ.

ჩვენთვის ჯერ კიდევ უცხოა ის იდეა, რომ ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია და შეგვიძლია გადამწყვეტი სიტყვა ვთქვათ ამ საქმეში. ძნელდება კანდიდატების გამონახვა. საბჭოთა კავშირის დროს ხალხს მზა კანდიდატურებს გვთავაზობდნენ და დღეს ხალხი არ არის მომზადებული ამ პროცესისადმი. მაშინ ხელისუფლებაც არ იყო დაინტერესებული ხალხის აქტიურობით. ამავე დროს, არც კანდიდატები იყვნენ მიჩვეული იმას, რომ ხალხს დაესახელებინათ ისინი. ამიტომ ეს იდეა დღეს მეტად საჭირო და დროულია, ამიტომაც ძალიან დადებითად ვუყურებ. ამ მიმართულებით დემოკრატიულ ქვეყნებში გარკვეული გამოცდილება არსებობს. ჩვენთან კი ეს ტრადიციები ახლა იქმნება და მათი ავ-კარგიანობა დიდწილად ჩვენზე, საზოგადოებაზეა დამოკიდებული.

დღეს ძალიან ძნელია პრეზიდენტობის კანდიდატების შერჩევა. ხალხმა არ იცის, ვინ უნდა იყოს პრეზიდენტობის კანდიდატი, რა თვისებების მატარებელი უნდა იყოს იგი, რომ მისი საქმიანობა ეფექტური და წარმატებული იყოს. ამიტომაც იგი ეჩვევა იმას, ვინც უკვე იყო და სხვა იმის გარდა ვერც წარმოუდგენია.

**— ბატონო შოთა, გაზეთ „საქართველოს" 21-ე ნომერში ჩვენ ვისაუბრეთ პოლიტიკურ ლიდერზე, თუ რა თვისებებს უნდა ფლობდეს ნამდვილი ლიდერი, როგორ უნდა გამოვავლინოთ იგი.**

**თქვენი აზრით, რა თვისებები უნდა ჰქონდეს პრეზიდენტობის კანდიდატს?**

— ის შეხედულება, რომ ქვეყნის ხელმძღვანელი ყველაზე ჭკვიანი, ინტელექტუალურად ყველაზე ძლიერი იყოს, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ფსიქოლოგიაში არსებობს ინტელექტის საზომი სხვადასხვა ტესტი. მათ საფუძველზე დგინდება, თუ ინტელექტის რა დონით გამოირჩევა ესა თუ ის პირი — დაბალით, ნორმალური თუ მაღალით. ცნობილია, რომ, მაგალითად, კასპაროვმა ერთ-ერთ ასეთ ტესტში დააგროვა მაქსიმალური ქულა, რაც მის უაღრესად მაღალ ინტელექტუარულ დონეზე მეტყველებს.

ამავე დროს აღმოჩნდა, რომ ხშირად წარმატებული პოლიტიკური მოღვაწეობა და ორგანიზაციული ნიჭი სულაც არაა პირდაპირ კავშირში ინტელექტთან. ზოგჯერ საშუალო ინტელექტის ადამიანი გამოირჩევა საოცარი ორგანიზაციული ნიჭით.

არის ისეთი შემთხვევებიც, რომ სკოლაში, ინსტიტუტში ადამიანი არც თუ გამორჩეულია სწავლით, მაგრამ ცხოვრება კარგად ააწყო.



ინტელექტი თავისი არსით ემსახურება ახალი ამოცანების გადაწყვეტას მოვლენებს შორის, ახალი მიმართებების დადგენა-გაცნობიერებას და სხვა, მაგრამ გარდა ინტელექტისა, საზოგადოების მართვა აუცილებლად მოითხოვს სხვა უნარებსაც, როგორიცაა: ნებისყოფა, წარმოსახვის უნარი, ამოცანების დასახვა, უახლოესი და შორეული მიზნების ფორმირება, ადამიანებთან ურთიერთობების დამყარება, სხვადასხვა საქმიანობის დიფერენცირება და ამ საქმიანობებისათვის ადამიანების შერჩევა, ინტუიცია, ადამიანებისადმი კეთილგანწყობილება და სხვა.

სწორედ ასეთი უნარები, პირველ რიგში, საჭიროა მართვისა და ორგანიზაციული ქმედების წარმატებული განხორციელებისათვის.

როცა ასეთი უნარები და ორიენტაციები, როგორიცაა: ადამიანებისადმი კეთილი დამოკიდებულება, მათზე ზრუნვა, ეროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების და ღირებულებებისადმი სათანადო დამოკიდებულება ინტელექტთან ერთად შეერწყმება ერთმანეთს, მაშინ ასეთი ადამიანები კარგი ორგანიზატორები არიან.

ხალხი თავის მეხსიერებაში ინახავს ეროვნული ინტერესების სამსახურში ჩამდგარ, მისთვის სათაყვანებელ და მისაღებ ადამიანებს, როგორიცაა დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ილია ჭავჭავაძე. ხალხისათვის სწორედ ეროვნული ინტერესებია მთავარი, რითაც დროის უძლებენ ისინი და ისტორია ინახავს ამ გმირების სახელებს. ხალხი ანგარიშს უწევს მათ შეხედულებებს და ცდილობს მიბაძოს მათ.

ადამიანები ასეთ მისაბაძ პიროვნებებს ძირითადად წარსულში ხედავენ. ჩვენს სინამდვილეშიც ცხოვრობენ ისეთი მისაბაძი ადამიანები, რომლებსაც შემდგომი ისტორია მნიშვნელოვან ადგილს მიანიჭებს, საჭიროა მათი მონახვა და წარმოჩინება.

თქვენმა ახალმა იდეამ — პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფამ, პრეზიდენტობის კანდიდატთა ფონდის დაარსებამ სწორედ ეს ამოცანა უნდა შეასრულოს — აღმოაჩინოს ეს პიროვნებები და დაანახოს ისინი საზოგადოებას, გამოიყვანოს პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე და არა მხოლოდ მოახდინოს წარსულის კონსტატაცია და ანალიზი.

**— ბატონო შოთა! ეს ამოცანა განსაკუთრებით აქტუალურია და საშური სხვა მხრიდანაც, რამდენადაც ჩვენი ქვეყანა ამჟამად განსაკუთრებულ მდგომარეობაშია. ჩვენ მოვწყდით საბჭოთა კავშირს და ახლა ხდება დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელმაც სხვა სახელმწიფოებთან ერთად უნდა იარსებოს, ამავე დროს შიგ ქვეყანაშიც ხდება გარკვეული ინსტიტუტების, სამსახურების და სტრუქტურების დიფერენციაცია და ჩამოყალიბება, ყველა ამ ორგანოებში შესაფერისი ადამიანების შერჩევა, რაც მეტად სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს.**

— დიახ, საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანა — შეირჩეს რეალური მმართველი ძალა, მეტად რთული და ძნელად გადასაწყვეტია, რადგან ამ მიმართულებით ჯერ არ გაგვაჩნია გამოცდილება.

დღეს ჩვენთან მკვიდრდება საბაზრო ეკონომიკა, რაც გულისხმობს კონკურენციას სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა საქმიანობაში, რასაც საბოლოო ჯამში უნდა მოჰყვეს წარმოებული პროდუქციის უკეთესი ხარისხი სახელმწიფოს მართვაში. კონკურენცია გულისხმობს კონკურენციას ქვეყნის ეროვნული ინტერესების დანახვასა და მისი რეალიზაციაში, სხვა სახელმწიფოებთან პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობების ფორმებს, მოსახლეობაზე უკეთესად ზრუნვას.

საბჭოთა კავშირის დროს ბრძოლა ხელისუფლებაში ადგილის მოპოვებისათვის სხვადასხვა არადემოკრატიულ მეთოდებს გულისხმობდა და დღესაც ვერ გამოვსულვართ ამ მდგომარეობიდან.

დღესაც კონკურენცია ხელისუფლებაში მოხვედრისათვის ძირითადად ხდება არა საზოგადოების მართვის ცოდნისა თუ გამორჩეული ორგანიზაციული ნიჭის საფუძველზე, არამედ სულ სხვა ფაქტორების — ეკონომიკური ბერკეტების, ნაცნობობა-ახლობლობის გამოყენებით. ხშირად ხელისუფლებაში და მის გარშემო თავს იყრის საშოვარზე მისული ხალხი, რომელთაც უნარი აქვთ ზემოთ აღნიშნული მეთოდებით ჩამოიშორონ კონკურენტები და არა მხოლოდ სახელმწიფოს მართვაში.

ხელისუფლებაში მათი მოსვლის ძირითადი მამოძრავებელი მოტივია არა ქვეყნის და მოსახლეობის ინტერესებზე ზრუნვა, არამედ საკუთარი კეთილდღეობის მიღწევა. როგორც წესი, მათ ავიწყდებათ ქვეყნის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები და მხოლოდ თავიანთი თავი ახსოვთ.

თავის მხრივ ხელისუფლებასაც უჭირს ამის გამო სახელმწიფოს მართვა, ირგვლივ არა ჰყავს დასაყრდენი. დღეს პრეზიდენტსაც უჭირს, მის გარშემო არ არის სახელმწიფო ინტერესების, ეროვნული ინტერესების მატარებელი ადამიანების მნიშვნელოვანი ჯგუფი.

**აი, სწორედ აქ არის საჭირო, რომ ხალხმა არა მხოლოდ გააცნობიეროს ეს მდგომარეობა, არამედ განასხვაოს და გამოარჩიოს სახელმწიფოს მშენებლობისათვის თავდადებული პიროვნებები.**

წინათ მეფეს ზემოდან ირჩევდნენ.

დემოკრატიისათვის დამახასიათებელია ის, რომ ხალხი თვითონ ირჩევს ხელისუფალთ მათი პიროვნული ღირსებების და მართვის ორგანიზაციული უნარების მიხედვით ე. ი. ძირითადად მათი ქცევის ეფექტიანობის საფუძველზე.

დღესდღეობით ჩვენთან ეს ასე არ არის.

ჩვენში ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული კითხვა გახლავთ, „აბა ვინ?", „აბა ვინ?" და ეს ხდება იმიტომ, რომ დღეს ხალხი თავის არჩევანში არ ხელმძღვანელობს დემოკრატიული კრიტერიუმებით, ამაში ხალხი, უბრალოდ, არ არის გავარჯიშებული.

თქვენი ახალი და ორიგინალური იდეა — პრეზიდენტობის კანდიდატთა ფონდის შექმნა, ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ხალხში შემუშავდეს, ჩამოყალიბდეს ეს ჩვევები, რომ ხალხმა თავის საქმედ გაიხადოს კანდიდატების მონახვა და შერჩევა. მაშინ აღარ დადგება კითხვა „აბა, ვინ?" დღეს იგი ამ კითხვას პასუხს ვერ სცემს და ამბობს: „ვინც უკვე იყო", „ვინც უკვე არის". ხვალ კი ხალხმა უნდა შესძლოს ამ კითხვას რეალური არჩევანით უპასუხოს.

დღეს საზოგადოებაში აღინიშნება სახელმწიფოებრივი ცნობიერების მოშლა, უქონლობა. მაგალითად: ხალხი უარყოფითად აფასებს ამა თუ იმ პიროვნების საქმიანობას, მაგრამ არჩევნების დროს ისევ მას ირჩევს.

აი, სწორედ ამ საკითხების გარკვევაში უნდა მივეხმაროთ ხალხს.

**— საინტერესოა თქვენი აზრი, როგორ?**

— პირველი მაინც ის არის, რომ ეს საკითხი უნდა დადგეს საზოგადოების წინაშე, რომელმაც კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ რადგან პრეზიდენტი ან დეპუტატები, მისი ასარჩევია, ამიტომაც ეს კანდიდატურები ისევ მისი მოსაძებნია, მისი მოსანახია. ამ საკითხზე მან სერიოზულად უნდა იფიქროს.

საზოგადოების წინაშე ჯერ არ დამდგარა ასეთი საკითხი, ამჟამად კი მას მოუწევს მის წინაშე პირისპირ დადგომა და მასზე ფიქრი.

ვილაცამ უნდა დააყენოს ეს საკითხი, კარგია და მისასალმებელია, რომ თქვენ უკვე დააყენეთ ეს საკითხი საზოგადოების წინაშე, ხოლო საზოგადოებამ, უპირველეს ყოვლისა, თავის განსჯის საგნად უნდა აქციოს იგი. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი თქვენი იდეის წარმოსახვა.

**— ბატონო შოთა! ჩვენი იდეის — პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფაში, პრეზიდენტობის კანდიდატთა ფონდის ჩამოყალიბების განხორციელებაში როგორი უნდა იყოს ინდივიდის, თითოეული მოქალაქის როლი?**

— გამოკითხვები გვიჩვენებენ, რომ იმ საკითხებში, თუ როგორ გადაწყდება ჩვენი სახელმწიფოს ბედი, მართვის რა ფორმა შემოვა, როგორ გადაწყდება სოციალური საკითხები, ინდივიდის როლი ძალიან მცირეა. ჩვენს რიგით მოქალაქეს ჰგონია და სჯერა, რომ ის ამ საკითხების გადაწყვეტაში ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს და ამდენად არც აქტიურობს, ხშირად არც აინტერესებს. დარწმუნებულია, რომ მის აზრს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მართალია, მიდის არჩევნებზე, ხმას აძლევს, მაგრამ ფიქრობს, რომ მისი ხმა არაფერს წარმოადგენს, რომ ამით ფაქტიურად არაფერი შეიცვლება.

ინდივიდი ასე რომ ფიქრობს და ასე რომ არის ორიენტირებული, ამით, ფაქტიურად, ხელს უწყობს ხელისუფლებას, რაგინდ არასასურველი და წამგებიანი არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი მისთვის. ამიტომაც, სინამდვილეში, ამ ინდივიდების გაუცნობიერებელი ქმედების წყალობით სრულდება ზემოდან ნაკარნახევი ამოცანა.

ხალხის მატერიალური მდგომარეობა, ხელფასები, პენსიები და მრავალი რამ დამოკიდებულია ხელისუფლებაზე, ხელისუფლება საზღვრავს მათ რაოდენობას, ამიტომ ინდივიდი არაცნობიერად დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს ხელისუფლებისადმი, რადგან მას მიაჩნია, რომ მისი ბედი ხელისუფლებაზეა დამოკიდებული და უნდა მასთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდეს. ე. ი. მისდაუნებურად ინდივიდის ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება დადებითია, მას არ სურს ხელისუფლებასთან კონფრონტაცია. იმედი აქვს, რომ მისგან რაღაცას მიიღებს, იგი რაღაცას ელის. სამწუხაროდ, ხალხს ასეთი არაცნობიერი ტენდენცია გააჩნია.

ამიტომაც მმართველ პარტიას, ხალხის ამ დამოკიდებულების გამო ამომრჩეველთა 25-30%-ით მეტი ხმები მოსდის.

ჩვეულებრივ, წარმატებული ქცევა ფიქსირდება და ინახება ინდივიდის ფსიქიკაში, ცნობიერებაში.

საზოგადოებრივ პროცესებში, სადაც ქცევის შედეგები მაშინვე არ ჩნდება და მათ გამოვლენას გარკვეული ხანი სჭირდება, ყოველგვარი სიახლე შიშის მომგვრელია. ჩნდება შემაშფოთებელი კითხვები: რა გამოვა? რა იქნება? ეს კი განაპირობებს ახალზე უარის თქმას და ძველზე ჩაჭიდებას.

საზოგადოება გაჭირვების დროს ვერ ახერხებს, რომ ძველი სიახლით შეცვალოს; მას ახლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, ეშინია, რომ უფრო უარესი არ მოხდეს. საზოგადოებაში ჩნდება ინერცია — ისევ ძველისაკენ ლტოლვა.

ამ ტენდენციების დასაძლევად, საზოგადოებისათვის ამ საკითხების განმარტებისათვის სისტემატიური პოლიტიკური მუშაობა და ბრძოლაა საჭირო. ხალხმა უნდა გაიგოს, გაიცნობიეროს ეს საკითხები და თავისი ქცევა ისეთ საფუძველზე ააგოს, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ პროცესებში.

ცუდ ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, სურს ხალხმა ეს საკითხები არ გააცნობიეროს, ამიტომაც ხელს უწყობს მრავალპარტიულობას, დაქსაქსულობას, რათა არ მოხდეს მასთან დაპირისპირებული ძალების გაერთიანება.

კარგად სტრუქტურირებულ საზოგადოებაში დაყოფა ხდება ორად, სამად, წამყვანი პოლიტიკური ძალების შესაბამისად, გამოიყოფა ჯგუფები, რომელთა ორიენტაციები საქმით არიან განპირობებული. ცუდად ორგანიზებულ საზოგადოებაში კი დაქსაქსულობაა. ჩვენი საზოგადოება ყოველი ცალკეული საკითხების მიხედვით იყოფა ჯგუფებად და ამიტომაც დაქსაქსვას აქვს ადგილი.

ხელისუფლების მხრიდან დაქსაქსული საზოგადოების მართვა იოლია, გათიშე და იბატონეს პრინციპით.

თუმცა თავის მხრივ, დაქსაქსულობას ხელისუფლებისათვის უარყოფითი შედეგი მოაქვს. იგი ვერ მართავს ქვეყანას, ვერ ახერხებს ხალხის წარმართვას უმნიშვნელოვანესი ამოცანების განსახორციელებლად. ამდენად შეუძლებელი ხდება საჭირო საკითხების რეალურად მოგვარება.

**— მიმაჩნია, რომ თუ საზოგადოებას აქვს გამოკვეთილი მიზნები, საერთო ძირითადი ამოცანები და ინტერესები, მაშინ დაქსაქსულობა მცირდება. ამდენად საჭიროა ასეთი საკითხების გამოყოფა და მათთვის მნიშვნელობის მინიჭება და ადამიანების წარმართვა მათ გადასაწყვეტად.**

**მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანები რომ გაერთიანდნენ, საჭიროა საერთო საქმე, მიზანი. თუ საზოგადოებას დავუსახავთ საერთო საქმეს, მიზანს, ის გამთლიანდება.**

**მაგრამ ადამიანს გააჩნია თავისი პირადი მიზნებიც. ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. თქვენი აზრით, როგორ ურთიერთობაში უნდა იყოს პოლიტიკოსი ლიდერების პირადი მიზნები სახელმწიფოებრივ მიზნებთან მიმართებაში?**

— ადამიანის სპეციფიკური, პიროვნული ნიშანი, რომელიც ცხოველს არ გააჩნია, ეს არის მიზნის დასახვის უნარი.

ამოცანის და მიზნის დასახვა შეუძლია მხოლოდ ადამიანს.

ბიოლოგიური საკითხები ადამიანს აწყობილი აქვს. ხოლო სოციალურ საკითხებში კი ადამიანი მიზნის მიხედვით სახავს ამოცანას.

ვისაც გეგმა ვერ დაუსახავს, ის ვერც იტყვის, მიაღწია თუ არა წარმატებას.

ადამიანებს — ვინც მიზნებს სახავენ, აქვთ წარმატება.

ხშირად ადამიანს აქვს ინტელექტის მაღალი დონე, მაგრამ მიზნებს ვერ სახავს — ამიტომ წარმატებას ვერ აღწევს.

მიზნები ორგვარია — პირადული და სახელმწიფოებრივი.

კარგი და დიდი პოლიტიკური მოღვაწეა ის, ვინც თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დროს სახელმწიფოებრივი და პირადი მიზნები ერთ სისტემაში აქვს ჩამოყალიბებული.

სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფალთ პირადი ინდივიდუალური მკაცრი მიზანთა სისტემა გააჩნიათ. ახლო და შორეული პირადი მიზნები კარგად აქვთ ჩამოყალიბებული, ამოწმებენ, თუ ვერ მიაღწიეს მიზანს, ახალს სახავენ, კარგად, მკვეთრად. სამაგიეროდ, არა აქვთ ქვეყნის განვითარებისკენ მიმართული მიზანთა სისტემა.

ცუდია, როდესაც პრეზიდენტს ორი როლი აქვს. პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფო მმართველი, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფოს განვითარების მიზანთა სისტემა, საქმეების, საკითხების, პრობლემების გადაწყვეტის გზები ერთ სისტემაში არა აქვს. ყველაფერს სიტუაციების მიხედვით აკეთებს: ვნახოთ რა მოხდება, ვნახოთ მაშინ რა იქნება. დღეს ოპოზიციას არ ეთანხმება, 5 წლის შემდეგ კი იმ პოზიციაზე გადავა, რასაც ოპოზიცია მოითხოვდა, მაგრამ იტყვის, რომ მას ეს უკვე დაგეგმილი ჰქონდა.

პირადულში კი პირიქით. მას აქვს მკაცრად ორგანიზებული სისტემა და დრო დანაწილებული კანონზომიერად — სწორედ ამიტომაცაა, რომ ზოგიერთი ხელისუფალი იხანგრძლივებს და ინარჩუნებს ხელისუფლებაში ყოფნას.

**— თქვენი აზრით, ჩვენი იდეის — „პრეზიდენტობის კანდიდატთა ფონდის შექმნა" განხორციელება უპირველესად რა მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება?**

— უპირველესი მიზანია: საჭიროა ამ იდეის გავრცელება. პრეზიდენტობის კანდიდატს უნდა გავუჩინოთ ამოცანები: მე რომ პრეზიდენტი ვიყო, რა ამოცანები უნდა დავაყენო, ეს ამოცანები როგორ უნდა დავაყენო? ამაზე რაც ადრე იფიქრებს, მით უკეთესია. ასეთი საკითხების გაცნობიერებით თვითონაც მოამზადებს თავის თავს, თავის საქმეებში დაიწყებს ღრმად ჩახედვას და საქმეს უკეთესად გააკეთებს.

თუ ასეთი ამოცანების დამყენებელი და ამ ამოცანების შესრულებისათვის მზად მყოფი 50-100 კაცი გამოჩნდება საქართველოში, მაშინ არჩევნები მართლაც სახალხო იქნება. თავის მხრივ, ხალხიც როცა დარწმუნდება რომ თითოეული ამომრჩევლის ინტერესი შეიძლება რეალიზებული იქნეს, დარწმუნდება, რომ მისი მონაწილეობა არჩევნებში მნიშვნელოვანია, იგი თავის ნებას გამოამჟღავნებს.

მაშინ ხელისუფლებაც მეტ ანგარიშს გაუწევს ხალხს, მათ ინტერესებს. ხელისუფლებაც ნათლად დააყენებს თავის მიზნებს და ამოცანებს, ხალხიც გაიგებს, გაიზიარებს და საჭიროების დროს ჩაერთვება სახელმწიფოს მშენებლობაში.

**— ხშირად გვეკითხებიან, რატომ დავიწყეთ არჩევნების წინ ამ საკითხზე საუბარი?**

— პირიქით, უმჯობესია, ამ საქმეში ჩაირთვება ის ხალხიც, ვინც გამორთულია.

დროულად დაიწყება გამოკვეთილი პოლიტიკოსების, პოლიტიკური ლიდერების შინაგანად მომზადება. თუ პრეზიდენტი არ იქნება იგი, სამაგიეროდ მზად იქნება პოლიტიკური და სოციალური საკითხების უკეთ კეთებისათვის.

ამას კი ქვეყნისათვის გადამწყვეტი დადებითი მნიშვნელობა აქვს.

**— დიდი მადლობა, ბატონო შოთა, ასეთი პროფესიონალური და საინტერესო საუბრისათვის.**

***ნარგიზი გვალია***

გაგრძელება მომდევნო ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰიტლერის ანდერძი, ანუ "საუბრები ბუნკერში"

*გაგრძელება*
*დასაწყისი „საქართველო" №15,18,19,20,22*

მორალური თვალსაზრისით ჩვენი პოლიტიკის შედეგები ორმაგად კატასტროფული იყო. ერთის მხრივ, ჩვენ შევლახეთ ფრანგების თავმოყვარეობა, ისე, რომ არაფერი უპირატესობა არ მოგვიპოვებია, მეორეს მხრივ, იძულებული ვიყავით მხარი დაგვეჭირა ფრანგების ბატონობისათვის მათ იმპერიაზე იმის შიშით, რომ ხანძარი არ გადასულიყო იტალიის ჩრდილო აფრიკაში, რომელსაც შეიძლება დამოუკიდებლობის მინიჭება მოეთხოვა. ამჟამად, ეს ტერიტორიები ოკუპირებულია ინგლისამერიკელების მიერ, ამდენად, ჩემი განცხადება იმის შესახებ, რომ ამ პოლიტიკამ მიგვიყვანა კატასტროფულ შედეგებამდე, ათასწილად გამართლებულია. უფრო მეტიც, ამ უნაყოფო პოლიტიკამ პირმოთნე ინგლისელებს შესაძლებლობა მისცა გამოსულიყვნენ სირიის, კირენაიკისა და ტრიპოლიტანიის განმათავისუფლებლადაც კი.

სამხედრო თვალსაზრისით მდგომარეობა ოდნავ უკეთესი იყო. ომში იტალიის ჩაბმამ ჩვენს მტრებს პირველი გამარჯვება მოუტანა. ამან ჩერჩილს შესაძლებლობა მისცა კვლავ აემაღლებინა თავისი თანამემამულეების სულისკვეთება და მთელს მსოფლიოში იმედები აღუძრა ანგლოფილებს. მართალია, იტალიელებმა ვერ შეინარჩუნეს პოზიციები აბისინიაში და კირენაიკაში, ისინი კადნიერად და წინდაუხედავად მოიქცნენ, როცა არც რჩევა გვკითხეს და არც შეგვატყობინეს საბერძნეთის უაზრო კამპანიის თაობაზე. მის მიერ ამ ქვეყანაში განცდილმა სამარცხვინო დამარცხებებმა ბალკანეთის ზოგიერთ ქვეყანას მიზეზი მისცა ზიზღით მოგვკიდებოდნენ. სწორედ აქ და არა სხვაგან უნდა ვეძებოთ იუგოსლავიის პოზიციების განმტკიცების მიზეზები და 1941 წლის გაზაფხულზე მისი ფრონტის ცვლილებები. ამან გვაიძულა ჩვენ მთელი ჩვენი გეგმების საწინააღმდეგოდ განგვეხორციელებინა ჩარევა ბალკანეთში, რამაც თავის მხრივ კატასტროფულად გააჭიანაურა ჩვენი თავდასხმა რუსეთზე. ჩვენ იქ ზოგიერთი ჩვენი საუკეთესო დივიზია გამოვფიტეთ. ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეპყრო დიდი ტერიტორიები, რომლებზედაც, რომ არა მთელი ეს სულელური ფარსი, ჩვენი ჯარების ყოფნა სავსებით ზედმეტი იყო. თუკი ბალკანეთის ქვეყნებს საშუალებას მისცემდნენ, ისინი სიხარულით შეინარჩუნებდნენ ჩვენს მიმართ კეთილსასურველ ნეიტრალიტეტს.

რაც შეეხება ჩვენს პარაშუტისტებს, მე ვამჯობინებდი, მათ გამოყენებას გიბრალტარის წინააღმდეგ და არა კორინთოში ან კრეტაზე.

ნეტავ იტალიელები დარჩენილიყვნენ ამ ომის მიღმა! ნეტავ მათ შეენარჩუნებინათ არამეომარი მხარის პოზიცია! მოკავშირეებიც აღფრთოვანებულნი დარჩებოდნენ, თუმცა ისინი არასდროს აძლევდნენ მაღალ შეფასებას იტალიელების საბრძოლო თვისებებს, მაგრამ არც იმას მოელოდნენ, თუ ასეთი სუსტი გამოდგებოდა იტალია.

გაჭიანურებული ომი იმ ქვეყნისათვისაა სასარგებლო, რომელიც ომის წარმოებისას გამოცდილებას იძენს. მე ვიმედოვნებდი საბრძოლო მოქმედებების ისეთნაირად წარმოებას, რომ მტრისათვის არ მიმეცა შესაძლებლობა, შეესწავლა რაიმე ახალი საომარი ხელოვნების სფეროში. პოლონეთში, სკანდინავიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში და საფრანგეთში მე ეს შევძელი. ჩვენი გამარჯვებები ელვისებური იყო, ორივე მხრიდან მცირე დანაკარგებით მიიღწეოდა. ამასთან ერთად, მათ საკმაოდ დამაჯერებელი, გადამწყვეტი ხასიათი ჰქონდათ იმისათვის, რომ სრულ დამარცხებამდე მიგვეყვანა მტერი.

ომი რომ დარჩენილიყო გერმანიის და არა ღერძი სახელმწიფოების ომად, ჩვენ რუსეთს დავესხმოდით 1941 წლის 15 მაისისათვის. იმ ცხოველი აზრის გაცნობიერებით, რომ ჩვენმა ჯარებმა გადამწყვეტი და უდაო გამარჯვებების გარდა სხვა არაფერი იცოდნენ, ჩვენ კამპანიას დავამთავრებდით ზამთრის დადგომამდე. ამ შემთხვევაში ყველა მოვლენა სავსებით სხვანაირად განვითარდებოდა.

მადლიერების გამო (მე არასოდეს დავივიწყებ დუჩეს პოზიციას ანშლუსის დროს) მე ყოველთვის თავს ვიკავებდი კრიტიკისაგან და არასდროს გამოვთქვამდი აზრებს იტალიის თაობაზე. პირიქით, მე დიდ ძალისხმევას ვანდომებდი იმას, რომ იგი მიგვეჩნია თანასწორ მხარედ. სამწუხაროდ, თვით ბუნების კანონებმა ცხადყვეს, რომ მოეპყრო ვინმეს როგორც თანასწორს, ვინც თქვენი თანასწორი არაა, — შეცდომაა. თვით დუჩე ჩემი თანასწორია. შესაძლოა, საკუთარი ხალხის სიყვარულის თვალსაზრისით იგი ჩემზე მაღლაც კი დგას, მაგრამ ანგარიშში მიიღება, ფაქტები და არა მისწრაფებები.

ჩვენ, გერმანელებმა, უნდა დავიმახსოვროთ, რომ მსგავს შემთხვევებში უმჯობესია მარტოდ ყოფნა. ჩვენ შეიძლება ყველაფერი დავკარგოთ და არაფერს მოვიგებთ, თუკი დავუკავშირდებით უფრო სუსტს და საპარტნიოროდ ისეთ კომპანიონებს შევარჩევთ, რომლებმაც ბევრჯერ ცხადყვეს თავიანთი არამდგრადობა. მე ხშირად ვამბობდი, რომ სადაც თქვენ იტალიას პოულობთ, იქ თქვენ ნახავთ გამარჯვებას. წესით მე უნდა მეთქვა: იქ, სადაც თქვენ აღწევთ გამარჯვებებს, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, იქ იპოვით იტალიას!

არ შეცვლილა არც ჩემი პატივისცემა დუჩესადმი და არც ჩემი გრძნობები იტალიელი ხალხისადმი. უბრალოდ, მე ჩემს თავს იმაში ვადანაშაულებ, რომ საღ აზრს არ მოვუსმინე, რომელიც იტალიისადმი ჩემს მეგობრობაში ულმობლობას მავალდებულებდა. ამით მე შემეძლო მოვქცეულიყავი, როგორც დუჩეს, ისე მისი ხალხის სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, მესმის, რომ ჩემი ასეთი დამოკიდებულება მას გაანაწყენებდა და არასდროს არ მაპატიებდა ამას. ჩემი შემწყნარებლობის სანაცვლოდ ისეთი ამბები მოხდა, რომლებიც არ უნდა მომხდარიყო და რომლებიც შეიძლება ფატალურნი გამოდგნენ კიდევაც. ცხოვრება არ პატიობს სისუსტეებს.



„თუ ჩემსა და დუჩეს შორის წინააღმდეგობა შეიქმნებოდა, ყველა ისინი გამოწვეული იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ სიფრთხილის ზომების გამო, რომლებიც ხანდახან უნდა გამომეყენებინა, — ამბობს ჰიტლერი 20 თებერვალს, — მიუხედავად იმისა, რომ მე სრულად ვენდობოდი დუჩეს, იძულებული ვიყავი არ ჩამეხედებინა იგი ჩემს განზრახვებში, ისეთი შემთხვევებისას, როდესაც თავშეუკავებლობას შეიძლება საფრთხე შეექმნა ჩვენი ინტერესებისათვის. თუ მე მთლიანად ვენდობოდი მუსოლინის, იგიც, თავის მხრივ, სრულიად ენდობოდა ჩიანოს, ამ უკანასკნელს კი არავითარი საიდუმლო არ ჰქონდა ლამაზ-ლამაზი ქალბატონებისაგან, პეპლებივით რომ დაფარფატებდნენ მის ირგვლივ. ძვირი დაგვიჯდა ყველაფერი, როდესაც ეს შევიტყვეთ. რამდენადაც მტერი დაინტერესებული იყო ნებისმიერი გზით ინფორმაციის მოპოვებაში, მან ამ არხით მოახერხა მრავალი საიდუმლოს გაგება. ამიტომაც მე დასაბუთებული მიზეზები მქონდა ყველაფერი არ მეთქვა დუჩესათვის. მე მხოლოდ ვნანობ, რომ მან ეს შესაფერისად არ შეაფასა, უკმაყოფილო იყო ჩემი დამოკიდებულებით და იმავე მონეტით მიხდიდა სამსახურს.

ჰიტლერმა „ანდერძში" მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო გერმანიის მეორე მოკავშირეს — ფრანკისტულ ესპანეთს. „მე ხანდახან თავს ვეკითხები, — ეუბნება 10 თებერვალს ფიურერი ბორმანს, — შეცდომა ხომ არ ჩავიდინეთ 1940 წელს, როდესაც ომში არ ჩავითრიეთ ესპანეთი. ძალიან ადვილი იყო ამის გაკეთება, ვინაიდან ესპანეთი იტალიის მაგალითის გაყოლის სურვილით იწვოდა და გამარჯვებათა კლუბში უნდოდა ეხილა თავისი თავი... მაგრამ, რამდენადაც ესპანეთს არ შეეძლო რაიმე არსებითი წვლილის შეტანა, მე დავასკვენი, რომ მისი პირდაპირი ჩარევა არასასურველი იყო... ფრანკო უწევდა ესპანეთის ომში ჩაბმის მაზანდას. თუმცა მე ღრმად მწამდა, რომ მისი იეზუიტი სიძის — სერანო სუნიერას სისტემატური საბოტაჟის მიუხედავად, ფრანკო დაგვთანხმდებოდა საკმაოდ გონივრულ პირობებზე — თუკი მისი სიამაყის დასაკმაყოფილებლად მას შევპირდებოდით საფრანგეთის ტერიტორიის ნაგლეჯს და ალჟირისა დიდ ნაწილს, როგორც ხელშესახებ მატერიალურ გასამრჯელოს. მაგრამ, რამდენადაც ესპანეთი რაიმე სერიოზულ წვლილს არ შეიტანდა საქმეში, მე აღარ მივიჩნიე საჭიროდ მისი ომში ჩაბმა. მართალია, ომში მისი მონაწილეობა საშუალებას მოგვცემდა გიბრალტარის დასაკავებლად. მეორეს მხრივ, ესპანეთის ომში ჩაბმა მრავალი კილომეტრით გაზრდიდა ატლანტიკის სანაპირო ზოლს, რომლის დაცვაც მოგვიწევდა სან-სებასტიანიდან, კადისამდე. შემდეგ გაჩნდებოდა სამოქალაქო ომის განახლების შესაძლებლობა, რომელსაც ინგლისი აღვივებდა. ამ სახით ჩვენ ცუდად თუ კარგად დაკავშირებული აღმოვჩნდებოდით იმ რეჟიმთან, რომლის მიმართაც მე ყველაზე ნაკლებ სიმპათიებს განვიცდი. ესაა სპეკულანტ-კაპიტალისტების, მარიონეტი კლერიკალების ბანდის რეჟიმი! მე არასდროს ვაპატიებ ფრანკოს იმას, რომ სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ არ შეარიგა ესპანელები, რომ მან ოსტრაკიზმი მოუწყო ფალანგისტებს, რომლებსაც ესპანელებმა მადლობა უნდა უთხრან ჩვენი დახმარებისათვის, რომ იგი, როგორც ბანდიტებს, ისე ეპყრობოდა ყველა ყოფილ მტერს, თუმცა მათ შორის ყველა როდი იყო წითელი. ნახევარი ქვეყნის კანონგარეშედ დაყენება მაშინ, როდესაც ეკლესიის ლოცვა-კურთხევით ერთი მუჭა მძარცველები მდიდრდება სხვების ხარჯზე, — ეს არაა საკითხის გადაჭრა. მჯერა, რომ ე.წ. წითლებს შორის ძალიან ბევრი სინამდვილეში კომუნისტი არ იყო. ჩვენ მწარედ გაგვაცურეს, თორემ მე რომ მცოდნოდა საქმის ნამდვილი არსი, მაშინ არასდროს დავრთავდი ნებას ჩვენს ავიაციას დაებომბა და მოესპო შიმშილისაგან სიკვდილის პირას მიყვანილი ხალხი და ამავე დროს, აღედგინა ეკლესიის შემაძრწუნებელი პრივილეგიები ესპანეთში.

მთლიანობაში უზრუნველვყოფდით რა იბერიის ნახევარკუნძულის ნეიტრალიტეტს, ამით ესპანეთი ჩვენ ერთადერთ სამსახურს გვიწევდა. გულახდილად რომ ვთქვა, კისერზე უკვე ერთი საკმარისი სიმძიმე, — იტალია მეკიდა. ახლა კი, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ესპანელი ჯარისკაცის თვისებები, თავისი სილარიბისა და მოუმზადებლობის შემხედვარე ესპანეთი უფრო მძიმე ტვირთად მექცეოდა, ვიდრე შენაძენად.

ჩემი აზრით, ამ ომმა ნათლად ცხადჰყო, უკიდურეს შემთხვევაში ერთი რამ მაინც — ლათინური ქვეყნების გამოუსწორებელი დაცემა. მათ ყოველ ეჭვგარეშე გამოავლინეს სიცოცხლისუნარის უქონლობა და ამიტომ მეტი აღარ შეუძლიათ პრეტენზიები ჰქონდეთ საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტაში.

ყველაზე ადვილი იყო ჩვენი დივერსანტ-პარაშუტისტი ნაწილების მიერ გიბრალტარის დაკავება იმ დროს, როდესაც ფრანკო ამ ოპერაციას თვალს მოარიდებდა და არ გამოაცხადებდა ომში ჩაბმას. მჯერა, რომ ინგლისი არ გამოიყენებდა ამას ესპანეთისათვის ომის გამოცხადების საბაბად. ინგლისს ძალიენ ესაჭიროებოდა ესპანეთის არამეომარი ქვეყნის სტატუსის შენარჩუნება. ჩვენი აზრით, ეს თავიდან აგვაცილებდა პორტუგალიის სანაპიროებზე ინგლისელთა გადასხმის ნებისმიერ საშიშროებას.

„ჩვენით ესპანეთში გამოწვეული ენთუზიაზმი და ინგლისზე მიყენებული დარტყმა უნდა გამოგვეყენებინა 1940 წლის ზაფხულში დაუყოვნებლივ საფრანგეთის დამარცხების შემდეგ გიბრალტარზე თავდასასხმელად. მაგრამ ამ დროს მოუხერხებელი ის იყო, რომ ძნელად თუ თავიდან ავიცილებდით ესპანეთის ომში ჩაბმას ჩვენს მხარეზე".

**მოამზადა**
**გიორგი ბეჟუაშვილმა**

*გაგრძელება იქნება*

# როდის იწყება ოცდამეერთე საუკუნე, ანუ რატომ ვამტკიცებთ აბსურდს?

ჩვენს ყოფაცხოვრებაში უამრავი (მჯერა — დროებითი) მოუწესრიგებლობის ფონზე ჩემი წერილი, ალბათ, არ არის მნიშვნელოვანი და ყურადღების მისაქცევი, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ვთქვა.

საჭიროა პასუხი გაეცეს იმ არასწორ მტკიცებებს, პრესის ფურცლებიდან თუ რადიოტელევიზიის საშუალებით რომ გვაჯერებენ, თითქოსდა ოცდამეერთე საუკუნე (და ახალი ათასწლეულიც) იწყება 2000 წლის 1 იანვარს. საქმეში ათასი არამკითხე ერევა. ზოგი მათემატიკოსობას იჩემებს, ზოგი რელიგიის ცოდნას ან პოლიტიკოსობას, ზოგი კი ყველას ერთად.

ბატონებო და ქალბატონებო:

1. ნებისმიერმა ისტორიკოსმა და ძველი მსოფლიოს ისტორიის ერთხელ წამკითხავმა (მათ შორის მეხუთეკლასელმა ბავშვმა) იცის, რომ არსებობს ერა ქრისტეს დაბადებამდე (საიდანაც იწყება დროის აღრიცხვა მსოფლიოს უდიდეს ნაწილში, მათ შორის საქართველოშიც მოქმედი კალენდრის მიხედვით), ე. ი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე და ერა ქრისტეს აქეთ, ანუ ჩვენი წელთაღრიცხვით.

— ერა ქრისტეს დაბადებამდე, ე. ი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, იწყება პირველი საუკუნის პირველი წლით და იზრდება დროის სიღრმის გაზრდის კვალობაზე.

— ერა ქრისტეს დაბადების შემდგომ, ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვით, იწყება პირველი საუკუნის პირველი წლით და იზრდება დროის გასვლის შესაბამისად.

**აქედან გამომდინარეობს დასკვნა**

1. ისტორიაში არ არსებობს ნულოვანი საუკუნე, ნულოვანი წელი (იხილეთ ენციკლოპედიები, ძველი მსოფლიოს ისტორიის თანამედროვე წიგნები, მათ შორის საშუალო სკოლის სახელმძღვანელოები! — SIC!)!!!

2. ყველამ იცის, რომ ერთ საუკუნეში არის ასი (100) ასტრონომიული წელიწადი. არითმეტიკის (აღარაფერს ვამბობ მათემატიკაზე) ხეირიანად მცოდნემ კი უნდა იცოდეს, რომ ასი წელი მოიცავს რიცხვებს ერთიდან (1) ასამდე (100), მათი ჩათვლით.

**საიდანაც გამომდინარეობს დასკვნა 2:**

ჩვენი წელთაღრიცხვა დაიწყო პირველი საუკუნის პირველი წლის 1 იანვრის 00 საათს, 00 წუთსა და 00 წამიდან და დასრულდა პირველი საუკუნის 100 წლის, 31 დეკემბრის საუკუნის 00 საათს, 00 წუთსა და 00 წამზე, რის შემდეგაც, ანუ 101 წლის 1 იანვრის 00 საათს, 00 წუთსა და 00 წამიდან დაიწყო მეორე საუკუნე, რომელიც დასრულდა 200 წლის 31 დეკემბრის 00 საათს, 00 წუთსა და 00 წამზე და ა. შ. (შეგიძლიათ განაგრძოთ!).

**საიდანაც გამომდინარეობს საბოლოო დასკვნა:**

მეოცე საუკუნე დაიწყო 1901 წლის 1 იანვრის 00 საათს, 00 წუთსა და 00 წამიდან და გაგრძელდება 2000 წლის 31 დეკემბრის 00 საათს, 00 წუთსა და 00 წამამდე, რის შემდეგაც, ანუ 2001 წლის 1 იანვრის 00 საათს, 00 წუთსა და 00 წამიდან დაიწყება ოცდამეერთე საუკუნე.

ასე რომ, შეგიძლიათ ახალი ათასწლეული დაიწყოთ იქიდან, საიდანაც თქვენ გსურთ, ოღონდ იცოდეთ, რომ არსებობს სტანდარტი და მისი უგულებელყოფა არ შეიძლება.

ისე, სხვათა შორის, მე გავაკეთე მუდმივი კალენდარი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ნებისმიერი საუკუნის (ქრისტეს აქეთ და ქრისტეს იქეთ), ნებისმიერი წლის ნებისმიერი თვის ტაბელ-კალენდარი იხილოთ, როგორც ძველი (იულიუსის), ასევე ახალი, ანუ გრიგორიანული (კალენდრის რეფორმატორი რომის პაპის გრიგორი მეცამეტის სახელობის) სტილის მიხედვით. იგი მსგავსია იმ კალენდრებისა, რომლებიც „სეიკოს" ფირმის საათებს ჰქონდათ ციფერბლატზე, მაგრამ აქვს ორი მოძრავი ელემენტი, რის გამოც ეს კალენდარი ასეთი უნივერსალურია. ეს კი ერთი და ორი დღის ფიქრისა და სწავლის შედეგი არ ყოფილა.

**დემური შავაძე**
**ინჟინერი**

ჩემი ე-მაილის მისამართია:
**demuri a gtu. edu. ge**

შეგიძლიათ გამომეხმაუროთ.

# ინფორმაცია

ორ კვირაზე მეტია დაზიანებულია გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო შტაბის ტელეფონი 93-19-93. ვინაიდან აღნიშნული ნომრის საკომუნიკაციო საშუალებები პრეზიდენტის გადაადგილების მარშრუტზეა განლაგებული, ამიტომ ამ საშუალებების დახმარებით კავშირგაბმულობის სათანადო სამსახურებს აეკრძალათ დაზიანებების აღმოჩენა და შეკეთება სათანადო საშვის გარეშე, საშვის გამოწერა კი რატომღაც არ ხდება.

მოგმართავთ, ვისაც ჯერ არს — ან გამოწერეთ აღნიშნული საშვი, ან გადაიტანეთ კავშირგაბმულობის მიწისქვეშა კომუნიკაციები ისეთ ქუჩაზე, რომელზედაც პრეზიდენტი არ გადაადგილდება და ამის გამო საშვის გამოწერა არ გახდება აუცილებელი, რათა გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას მიეცეს საშუალება საარჩევნო კამპანიის ნორმალური წარმართვისათვის.

**სგრპ პრესსამსახური**

# ნუ შეგვაშინებს მეგრულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი"...

მიუხედავად დიდი გულისტკივილისა, ბატონ მურმან ლებანიძის ერთი გახმაურებული ლექსის გამო, სიტყვის ხმამაღლა გამოთქმის სურვილი მაინცდამაინც არ მქონია. უკვე საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა. ჩემთვის დალილა ბედიანიძის მშვენიერი ლექსიც საკმარისი იყო, არათუ ვახტანგ ხარჩილავას, ზაურ კალანდიას, რევაზ მიშველაძისა და სხვათა სამართლიანი გულისწყრომა პოეტისადმი.

და მაინც — იძულებული ვხდები, არ გავჩუმდე.

გამაოგნა ჩემი კოლეგის, ფილოლოგის ნათქვამმა: მეტისმეტად ხომ არ ვებოდიშებით მეგრელებს? ამასთან, გაიხსენა ასეთი შემთხვევა: რამდენიმე წლის წინ მეგობარმა მითხრა, მეგრულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი" მაჩვენეს, მაძლევდნენ, მაგრამ არ წამოვიღეო. ნეტავ წამოგეღო, გავერთობოდით და ვიცინებდითო, — უპასუხნია მეგობრისათვის მეგობარს... რითი გაერთობოდნენ ნეტავ? მეგრული არ იცოდნენ, ვერაფერს გაიგებდნენ, მაგრამ „მიჯლარკულ-მოჯლარკული" ქართული, ალბათ, გულიანადაც აცინებს ზოგს. ამაზეა ნათქვამი, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო... (მე მაინც ბოდიშს ვიხდი ჩემი კოლეგის წინაშე, რომ მის ნათქვამს ასე გამოვეკიდე, მაგრამ რა ვქნა? — „მეტად მწარედ გული მტკივა").

ერთი რამის თქმა მინდა მხოლოდ — ნუ შეგვაშინებს მეგრულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი", ნუ გავამახვილებთ მტრის ყურადღებას, ნუ ვაქრქალებთ „დუშმანს"!

ყველამ ვიცით, რა გამორჩეული სიყვარულით სარგებლობდა და სარგებლობს „ვეფხისტყაოსანი", რომლის ერთი გამოვლინება გახლავთ რიგითი ქართველის მიერ მისი მთლიანად გაზეპირება. ამის არაერთი მაგალითი გვსმენია და გვინახავს კიდევაც. მე თავად მყავს ზუგდიდში ახლობელი, ორმოცს გადაცილებული კაცი, პროფესიით მძღოლი, რომელმაც ნახევარი „ვეფხისტყაოსანი" ზეპირად იცის და ახლა თავის გოგონას ასწავლის იმ იმედით, რომ გოგონა ბოლომდე დასძლევს.

რატომ გამოვრიცხავთ, რომ კაკა ჟვანიამაც ამ სიყვარულის გამო არ აიტეხა ეს „უბედურება"? მე მის დაცვას გამიზნულად არ ვცდილობ, მაგრამ არც აშორდიას გვერდით დავაყენებდი. აშორდიას სახსენებელი ისე გაქრა, მიმდევარი არ გასჩენია. მისი გვარის გვერდით მეორე ქართული გვარის ხსენება უმართებულოა. წყალმა წაიღოს ის ერთი აშორდია, რაღა საჭიროა თითქმის საუკუნის შემდეგ მისი საფლავიდან „წამოყენება"? (სხვათა შორის, კაკა ჟვანიაც და მისი თარგმანიც კარგა ხნისანი გახლავან).

მხოლოდ იმისათვის, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს არ ეგონოს, „ვეფხისტყაოსანი" მეგრულად უთარგმნიათ, ქვეყანა თავზე დაგვქცევიაო, დაინტერესებული მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ ამ წიგნის წინასიტყვაობაზე, რომელიც მთარგმნელს — კაკა ჟვანიას ეკუთვნის:

**„ვეფხისტყაოსანი" კაცობრიობის ლიტერატურული ძეგლია, მისი ავტორია ჩვენი ერის სახელოვან წინაპართა დიდი წარმომადგენელი, უბადლო პოეტი — შოთა რუსთაველი. ამ ნაწარმოებს ფესვები უდგას ჩვენი ერის ძლიერების, მაღალი კულტურისა და უაღრესად აყვავების ეპოქაში. ის თარგმნილია მრავალ ენაზე.**

**მეგრული ენა ერთ-ერთი უძველესი ქართველური ენაა. ამ ენამ დღემდე შემოინახა სანიმუშო ზეპირი თქმულებები, ლექსები, სიმღერები, ზღაპრები და სხვა. ეს ენა მეტად მდიდარია სიტყვიერი მარაგით, საოცრად ლამაზი რიტმით, რითმით, სიტყვათა წყობით და გამოთქმებით, რაც საიმედო საფუძველს იძლეოდა ამ უნიკალური ნაწარმოების თარგმნისათვის.**

**...რაც შეეხება თარგმნის მნიშვნელობას, მე მგონია მეგრული სიტყვისა და ლექსის მოყვარულთ ის გარკვეულ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს, ხოლო ენათმეცნიერების დარგის მუშაკთათვის მასში შეიძლება ბევრი რამ საინტერესო და ღირსშესანიშნავი აღმოჩნდეს" (1966წ.).**

ხომ არ სჯობია, რომ დავუჯეროთ მას, რომ სიყვარულმა გააკეთებინა ეს? თუ მაინცდამაინც სეპარატისტული სულით და განზრახვით გაკეთდა, თუ მეგრელები თავიანთი ლიტერატურის შექმნას ცდილობენ, რაღატომ არ თარგმნეს „მერანი", „სულიკო", „გველის-მჭამელი", „დიდოსტატის მარჯვენა" და ა.შ.?

კიდევ ერთი საგულისხმო რამ: კაკა ჟვანია საკმაოდ ასაკოვანი ყოფილა, როცა „ვეფხისტყაოსანი" თარგმნა, მრავალდროება გამოვლილი... ის მომსწრე იყო 30-იან წლებში მეგრულად გამომავალ უამრავი დასახელების გაზეთებისა, რომლებიც საქართველოს კპ(ბ) ორგანოს წარმოადგენდნენ. შეგახსენებთ ამ გაზეთების სახელწოდებებს: 1. „ყაზახიშ გაზეთი" — („გლეხის გაზეთი"), (1930-35), საქართველოს კ.პ.(ბ), ზუგდიდის რაიკომის ორგანო; 2. „მშრომელი ყაზახი" („მშრომელი გლეხი") — საქართველოს კ.პ.(ბ) გალის რაიკომისა და რაიაღმასკომის ყოველდღიური ორგანო, (1931წ.); 3. „კოლექტივიშ შარათი", („კოლექტივის გზით"), (1932-34), საქართველოს კ.პ.(ბ) დეკადური ორგანო; 4. „მახორხალი", („მხერხავი"), (1932-34); 5. „ინგირ-ქალარდშენი" — ტექსტი მეგრული და რუსული — "Ингурбумстрой"; 6. „ნარაზენიშ ჩაი", („ნარაზენის ჩაი"), (1932-34); „სამარგალოშ თუთუმი", („სამეგრელოს თამბაქო"), (1932); 8. „კოლმეურნეშ ხუმა", („კოლმეურნის ხმა"), გალის რაიკომის, რაიაღმასკომისა და პროფსაბჭოს ყოველდღიური ორგანო და სხვ.

კომუნისტებს სჭირდებოდათ მასებისათვის თავბრუს დახვევა და თავიანთი „იდეები" უფრო გასაგები და სწრაფად შესათვისებელი რომ ყოფილიყო (თითო-ოროლა, ლიტერატურულ ქართულს ცუდად დაუფლებული გლეხკაცისათვის), არას დაგიდევდნენ ეროვნულ ინტერესებს და იცემოდა და იცემოდა მეგრული გაზეთებიც. ეს იყო ყველაზე „ულმერთო დრო" საქართველოს ისტორიაში. აკი ჰქონდათ კიდევაც ასეთი დასახელების ჟურნალი — „მებრძოლი ულმერთო" (1932), საქართველოს მებრძოლ ულმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო, ორკვირეული; 1932-34 წლებში ამავე დასახელების დეკადური ჟურნალი გამოდიოდა.

ამ ულმერთობისა და მეგრული გაზეთების კორიანტელის ფონზე, რომელშიც არავითარი ბრალი არ მიუძღვის სამეგრელოს, რა გასაკვირია, „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა მკრეხელობად რომ არ ჩაეთვალა მის მთარგმნელს და თავი საკმაოდ ლაღად ეგრძნო, როგორც „ქართული საქმის გამკეთებელს".

იქნებ ასე შევხედოთ ამ ფაქტს. არ ღირდა ნამდვილად ქართველი პოეტისაგან ასეთი „აურ-ზაური არაფრის გამო".

კაცი ბოლმას არ უნდა აჰყვეს, თორემ ზოგჯერ ისეთ საქმეს ჩაადენინებს, საშვილიშვილოდ წაახდენს.

**ზოია ცხადაია**
**ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი**

# ამ ხნის მანძილზე მაფიას არსად გადავყრივარ

**ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში ხშირად მაფიის სახელთან ასოცირდება; ამაზე ბევრს წერდნენ და საუბრობდნენ სულ ცოტა ხნის წინათ. ხან პრეზიდენტის ნათესავები კურირებენო ამ საქმეს, ამბობდნენ, ხანაც უფრო მძიმე-მძიმე ბრალდებებით ამკობდნენ; თუ სადმე პრეზიდენტის მოგვარემ ფეხი დაადგა, ყველაფერი შავი ლაქით დაიფარა, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე მავანთა და მავანთა გარდა ვერავინ შეიტყო, ბევრის მეხსიერებაში ყველა შევარდნაძე ბნელ ძალად დარჩა; ცნობისმოყვარეობა კი ხალხმა მაინც ვერ დაიცხრო.**

**ფირმა „ატკომპანიში" სტუმრად მისულებმა მის პრეზიდენტს, ბატონ გოგი ლიპარტელიანს გულახდილად, გაბედულად საუბარი ვთხოვეთ და მისი ბიზნესით დავინტერესდით. ბუნებრივია, პრეზიდენტის არანათესავი ნავთობის იმპორტიორის შეხედულება ამ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.**



**— ბატონო გოგი, თქვენი ფირმა რამდენიმე წელია ნავთობპროდუქტების იმპორტს ეწევა, ხელს არავინ გიშლით, ამ ხნის მანძილზე მაფიას არსად გადაჰყრიხართ?**

— რაც ითქვა მაფიაზე, მგონია, რომ ვილაცამ ჭორის დონეზე გაავრცელა. ვინც ამ ბიზნესით არის დაკავებული საქართველოში, თითქმის ყველას ვიცნობ და მე ვერცერთს ვერ დავარქმევ, აი, ეს მაფიოზია-მეთქი. ყველა მათგანი პატიოსნად მუშაობას ცდილობს, თუ არ ვუბიძგებთ, შავ ბიზნესს მოკიდოს ხელი. შავ ბიზნესად კი დაუბეგრავად შემოსულ პროდუქციას მივიჩნევ. თუმცა ეს იშვიათად ხდება.

**— ეი. პრეზიდენტის ნათესავები კურირებენ ამ საქმესო საქართველოში, ჭორია?**

— ესეც ჭორია; ნუგზარ შევარდნაძეზე აკეთებთ აქცენტს, ვიცი. ის კი საქართველოს შიდა ბაზარზე არ მუშაობს და ნავთობპროდუქტების იმპორტს და მის რეალიზაციას არამარტო ხელს არ უშლის, არამედ საერთოდ არაფერს არ აწარმოებს. ეს ცილისწამებაა; ბენზინი გაძვირდება — ნუგზარ შევარდნაძის ბრალია, რამე მოხდება — მისი ხელი მოქმედებს, ასეთი დამოკიდებულება ამ საკითხთან უსამართლობაა.

*დაუბეგრავად შემოსული პროდუქცია ანუ შავი ბიზნესი, ვისიც არ უნდა იყოს, პატიოსნად მომუშავე ბიზნესმენს გაკოტრებას უქადის. აღნიშნულმა პრობლემამ წელს ფირმა „ატკომპანის" პრეზიდენტიც საგრძნობლად შეაწუხა.*

— ჩვენმა კომპანიამ რესპუბლიკის ბიუჯეტში გასულ წელს 17 მლნ. ლარი შეიტანა, აქედან 9 მლნ. — მეორე კვარტლამდე, წელს კი 3-4 მლნ.-ის ფარგლებში თუ შემოვიფარგლებით.

*ამის მიზეზი, როგორც გაირკვა, რუსეთიდან კონტრაბანდული ტვირთის მოზღვავება გახდა. სიახლე არ არის, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას. იმის გამო, რომ ცხინვალის რეგიონის საზღვრები ვერ კონტროლდება, საქართველოს ბაზარი თანდათან ირღვევა. კონტრაბანდული ტვირთი არაკონკურენტუნარიანს ხდის იმ პროდუქციას, რომელიც დაბეგრილია, საბაჟოს გავლით არის შემოსული და საგადასახადო ტარიფები დაფარული აქვს.*

— იძულებული ვართ, შევჩერდეთ, ვიდრე სიტუაცია არ დარეგულირდება. ჩვენი კომპანიის ინიციატივით აღმასრულებელ საკანონმდებლო ხელისუფლებაში შევიტანეთ კანონპროექტი ცვლილებების შესახებ, რომელიც დაარეგულირებს ყველაფერს და დაიცავს საქართველოს ბაზარს. ეკონომიკური დივერსია არანაკლებია, ვიდრე პოლიტიკური და სამხედრო დივერსია.

აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილებები და ჩვენ კმაყოფილი ვართ, პარლამენტის უახლოეს სხდომაზე გავა ის წინადადებები, ცვლილებები კანონში, რაც ჩვენ შევიტანეთ. მართალია, ეს ვერ აღმოფხვრის კონტრაბანდული ტვირთის საქართველოში შემოტანას, მაგრამ მეტ-ნაკლებად დაარეგულირებს, — იმედოვნებს ბატონი გოგი.

პრობლემები ბევრი აქვს ფირმას, პრობლემაა თავისთავად, როცა კომპანია გაჩერებულია და წინ არ მიდის, თუმცა პერსპექტივა ნამდვილად ჩანს, თუკი ხელისუფლება იმ წინადადებებს გაითვალისწინებს, რაც მათ შეიტანეს განსახილველად.

ფირმა „ატკომპანის" პრეზიდენტი პარალელურად ქარხანა „ელექტროავტომატში" სააქციო საზოგადოების თავმჯდომარეა და ქარხნის მესაკუთრე.

საკავშირო მნიშვნელობის ეს ქარხანა სსრკ-ში ერთადერთი იყო, რომელიც ელექტროავტომატური გამომრთველების სხვადასხვა სახეობებს უშვებდა;



მართალია, კონკურენტი დღესაც არ ჰყავთ, მაგრამ როგორც ბატონმა გოგი ლიპარტელიანმა გვითხრა, ქარხანა გაჩერების პირასაა მისული.

— „ელექტროავტომატი" ზარალზე მუშაობს და მას იმ ბიზნესით ვინახავთ, რომელსაც ფირმა „ატკომპანი" ეწევა, — თქვა მან.

*ცოტა არ იყოს, იშვიათი ბიზნესია; ფული იშოვო და გასაჩერებლად განწირულ ქარხანას მისცე მხოლოდ იმისთვის, რომ მუშახელი შეინარჩუნოს?! უხერხულად შევიშმუშნეთ, გამოცდილი ბიზნესმენის თვალს არ გამოპარვია, ჩვენთვის გაურკვეველ ვითარებაში რომ აღმოვჩნდით და განგვიმარტა:*

— პერსპექტივა ძალიან დიდია, ქარხანაში სულ მალე გადაიარაღებას ვაპირებთ, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი საკმაოდ კვალიფიციურია და ისეთი კონტინგენტის დაკარგვა არ გვინდა, ვინც შემდგომში უნდა გამოგვადგეს.

*ყველა სხვა მიზეზებთან ერთად ქარხანას პრობლემები იმ ძირითადმა საკითხმაც შეუქმნა, რასაც გარე სამყაროსგან ზემოქმედება ჰქვია. მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია ჩვენს მრეწველობასთან. ქარხანა რასაც აწარმოებდა, დსთ-ს ქვეყნებში გაჰქონდა, მას შემდეგ, რაც რუსეთის იაფი პროდუქცია შემოედინება ჩვენთან, ეს პროცესი შეფერხდა. ელექტროავტომატურ გამომრთველებზე, მათ პროდუქციაზე დღესაც დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ ისინი გადამხდელუნარიანი არ არიან, პროდუქციის თვითღირებულების ამოღებაც კი შეუძლებელი ხდება მისი ექსპორტის დროს. ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში ბარტერულ გაცვლებს მიმართავენ.*

— ბარტერული გაცვლა ჩვენთვის არახელსაყრელია, რადგან ისინი ძალიან იაფად ითხოვენ ჩვენს პროდუქციას, — ამბობს ქარხნის დირექტორი.

*ასე რომ, ვისაც პროდუქცია სჭირდება, ან არ მუშაობს, ან ვინც მუშაობს, გადახდის უნარი არა აქვს.*

*უცხოელ პარტნიორებთან — ბერძნებთან და შვეიცარიის ერთ-ერთ კომპანიასთან ურთიერთობის გზებიც თანდათან იკვეთება, მანამდე კი ქარხანას მომხმარებელი საქართველოში გამოუჩნდა.*

— ამჟამად ელექტრომრიცხველების გარეთ გამოტანაზე ვმუშაობთ. თელასთან გვაქვს ხელშეკრულება. სულ მალე ტენდერი ჩატარდება და დიდი იმედი გვაქვს, ჩვენს კომპანიას გამარჯვებულთა შორის იხილავთ, — ამაყად ამბობს ბატონი გოგი ლიპარტელიანი.

**— რით განსხვავდება თქვენი კომპანია სხვებისაგან — დავინტერესდით ბოლოს, — ყველას ხომ თავისი ინდივიდუალური ხელწერა გააჩნია?**

— ჩვენ ჩვენი მუშაობის სტილი გვაქვს და ეს ჩვენი კომერციული საიდუმლოებაა, — გაიხუმრა ჩვენმა მასპინძელმა.

*კომერციული საიდუმლოებისა ბევრი ვერაფერი შევიტყვეთ. რაც შეეხება სტილს და განსხვავებას სხვებისაგან, მართლაც უჩვეულო და იშვიათი აქვთ. ქველმოქმედების იმ ნუსხას, რომელიც ჩვენი მასპინძლისაგან დამოუკიდებლად შევკრიბეთ, თვალს თუ გადაავლებთ, ამაში თავადაც დარწმუნდებით.*

*უსინათლოთა საზოგადოებაში 1000-1100 კაცზე უფასო სასადილოს გახსნით დავიწყებ, რესპუბლიკის ძიუდოისტთა ნაკრების დაფინანსებას გავუსვამ ხაზს და კრწანისის რაიონის ბაზაზე 300 ბავშვისათვის კიკბოქსინგის კლუბის გახსნას, კრწანისის რაიონშივე ეკონომიურად გაჭირვებული ოჯახების ბავშვებისათვის გაძლიერებული ინგლისურის სკოლის გახსნას კომპიუტერის სწავლებით და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო?*

*ყველაზე მთავარი იქნებ ის ყოველდღიური დახმარება გახლავთ, რასაც ფირმა „ატკომპანის" ოფისთან დილაობით შეკრებილ 50-100 გაჭირვებულ ადამიანს უწევენ ხოლმე ინდივიდუალურად?*

*ფირმის მისამართის დასახელებისაგან ჩვენი უჩვეულო მასპინძლის სასარგებლოდ თავს შევიკავებთ, გასაგები მიზეზების გამო, დასასრულ კი ერთს დავამატებთ მხოლოდ: საკუთარი თვალით ვნახეთ, მაგრამ მაინც გაგვიძნელდა დაჯერება, ნუთუ დღევანდელ ცოდვის ტირილში ასეთი ადამიანები კიდევ არსებობენ?*

**ნანა ძველაია**

# დაფუძნდა საზოგადოება „ოქროყანა"

18 ივნისს ჩატარდა საზოგადოებრივი კავშირის „ოქროყანას"-ს დამფუძნებელი კრება, რომელსაც წინ უსწრებდა მოსამზადებელი სამუშაოები; თავის მოსაზრებებს „ოქროყანელებს" აცნობდა სათემო არასამთავრობო ორგანიზაციების საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე, საზოგადოება „სამგორის", საზოგადოება „ლილოს" დამფუძნებელი და მათი გამგეობის წევრი ტრისტან ბერიანიძე. დაფუძნებას ესწრებოდნენ „ოქროყანის" წარმომადგენელი მაცხოვრებლები. შეკრებაზე იმსჯელეს საზოგადოებრივი სათემო ტიპის ორგანიზაციის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე, რადგან ოქროყანის დასახლებაში, როგორც მთელ ქვეყანაში, უამრავი პრობლემაა გადასაწყვეტი და რომელიც მოსახლეობის უშუალო ჩარევის გარეშე შეუძლებელია გადაწყდეს.

თავის მხრივ ორგანიზაცია ხელს შეუწყობს მოქალაქეთა აქტიურ ჩაბმას სახელმწიფო და ადგილობრივ მმართველობაში, რაც დღეს საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებელ წინაპირობად ითვლება.

კრებაზე გამოითქვა მრავალი მოსაზრება საზოგადოებრივი წესდებისა და სამოქმედო პროგრამის ირგვლივ. დაფუძნებისა და წესდების მიღების შემდეგ საზოგადოება „სამგორის" გამგეობის წევრმა ტ. ბერიანიძემ საზოგადოება „ოქროყანას" გადასცა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის" მიერ გამოცემული ბროშურები: „საქართველოს პოლიტიკური პარტიები" — ცნობარი — და „თვითმმართველობა და არჩევნები".

„ოქროყანას" გამგეობის წევრებად აირჩიეს:

1. მირიანაშვილი მარიამი.
2. ხურცილავა ბესარიონი.
3. ღვინჯილია ნანა.
4. ტაბიძე ნინო.
5. ჯაფარიძე ნინო.
6. გაზდელიანი რეზო.

გამგეობის უახლოეს კრებაზე აირჩევენ საზოგადოების თავმჯდომარეს.

ვუსურვოთ წარმატება არასამთავრობო, არაპოლიტიკურ, არაკომერციულ ერთობაზე დაფუძნებულ სათემო ორგანიზაცია „ოქროყანას".

**ქეთი ჩადუნელი**

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №35(1998წ.)

# ნოდარ ნათაძე:
# რაც ვიცი

გარეთ, ქალაქში (რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, ხელისუფლებისათვის შეუზღუდველი მოქმედების სივრცე იყო), თვალში საცემი ქაოტურობის ფონზე, მაინც მკაფიოდ იგრძნობოდა რაღაცა. ჰაერში, თითქოს, ქროდა რაღაც, რასაც სახელს ვერ დაარქმევდით: მოქმედებდა რაღაცა ბოროტი ნება და ამ ქაოტურ ვითარებას გარკვეული გეზით მართავდა. იგი მოქმედებდა არა იარაღით, არამედ მართული მასის საშუალებით, რომლის არც სიტყვით დარწმუნება შეიძლებოდა ერთხელ უკვე აღებული ინერციის ფონზე, და, ცხადია, ვერც ძალა მიეყენებოდა. ეს, როგორც ვთქვით, იყო ქალაქში. მეორეს მხრივ, ტელევიზიის შენობის შიგნითაც, რომელიც თავისი მდგომარეობით, ასე თუ ისე, მაინც კუნძულად იდგა ხელისუფლების სრულ კონტროლში მყოფ ქალაქის დანარჩენ სივრცეში, აგრეთვე რაღაცა უცხო და ჩუმად მიზანმიმართული ნება მოქმედებდა. ეს ნება თავისი მიმართულებითა და მიზანდასახულობით, თითქოს, იმ მასის მიმართულებისა და სულისკვეთების იგივეობრივი იყო, რომელიც ამ წუთში ტელევიზიაში და მის გარშემო იყო შეკრებილი, მაგრამ ნამდვილად ძირეულად იყო განსხვავებული მისგან. ტელევიზიაში მყოფთა სულისკვეთება შეიძლებოდა სქემატურად გამოხატულიყო სიტყვებით: „რა ქნა ამ ზვიადმა (ან: რას შვრება ეს ზვიადი), ერი ორად გახლიჩა თავისი ერთპიროვნული ხელისუფლების მოპოვების ეშხითო". მოპირდაპირე მხარის სულისკვეთება იყო: „რას შვრებიან ეს ოხრები! ძლივს ეროვნული, ჩვენი ხელისუფლება გველირსა, რა უნდათ მისგანო". ტელევიზიაში მდგომთა უფროსობის სულისკვეთება სხვა იყო. იგი არც ასეთი ალალი იყო და არც ასეთი სადა. მასში ერია რაღაცა — უფრო ზუსტად, ღერძად ჰქონდა რაღაცა სხვა, რაც თითქოს სულ ოდნავ იგრძნობოდა, მაგრამ მაინც ცალკე იყო და გვარდიელთა მასის სულისკვეთებაში არ ითქვიფებოდა. ამ ჯგუფის ლიდერთაგან ჩანდნენ ყველაზე მეტად კიტოვანი, რომელსაც გვარდიელები „ბატიას" უწოდებდნენ, სიგუა, რომელიც მათ შედარებით ნაკლებ ეკონტაქტებოდა და მათში ერთადერთ პოლიტიკურ ფიგურად ითვლებოდა, თამაზ დუმბაძე, ყოფილი ოფიცერი და შემდეგ ბიზნესმენი (იგი რომ შევარდნაძის უახლოესი პიროვნებაა, მაშინ ცნობილი არ იყო), იყო ჯემალ ჭუმბურიძე, პირადი ბიოგრაფიული სირთულეების გამო დიდხანს ციხეში ნაჯდომი, და ამათ გარდა იყო გვარდიის ოფიცრების შედარებით დაბალი რანგის ჯგუფი, რომელშიც მაინცდამაინც ღრმად არავინ იხედებოდა და რომელიც, ჩემი დღევანდელი გადასახედიდან, იმ გარეგანი „შეკვეთის" ძირითადი მატარებელი იყო. რატომ შეუძლებელი იყო იმ ვითარებაში იმის თქმა, თუნდ საკუთარი თავისათვის მკაფიოდ თქმის სახით, რასაც, როგორც წელან ვთქვი, ახლანდელი „გადასახედიდან" ვხედავთ? იმიტომ, რომ ის ნიუანსი და შთაბეჭდილება, რომელიც წელან ვახსენე, ამგვარი თქმისათვის არ კმარა. მისგან პრაქტიკული დასკვნა ვერ გაკეთდება.

ამ გამოუსავალი დღეების ფონი იყო ხელისუფლების მხარის „შეტევა" (თუ შეიძლება ასე ითქვას) „იმელის" წინ აგებულ ორ ბარიკადზე (იხ. ზემოთ). შეტევა ხორციელდებოდა არა პოლიციის ძალით, არამედ ხალხის მასის საშუალებით, რომელსაც, თუ არ ვცდები, მიუძღოდნენ დეპუტატი ავთო რცხილაძე და სხვა რამდენიმე დეპუტატი, მათ შორის ის სამოც წელს გადაცილებული, მაგრამ ინფანტილურად მსუბუქ სიტყვა-პასუხის მანდილოსანი, რომელმაც თქვა „ამიტომ, რომ იმიტომო" (იხ. ზემოთ). როგორც ამ „შეტევის" ამბავს ყვებოდნენ, მასა შევიდა „იმელის" შენობაში და მისი პირველი და მეორე სართულებიდან, რომლებიც პარტიებს ეკავათ, იქ დატოვებული მცველები გადმოყარა. იგივე, მაგრამ უფრო გამწვავებული სახით უნდა განმეორებულიყო, მოსული ინფორმაციით, ტელევიზიის შენობის მიმართაც, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო, თუ გავითვალისწინებდით, რომ არც იმ მასას, არც მის წინამძღოლებსა და გამომგზავნებს არ ესმოდათ და არ სურდათ გაეგოთ, რომ დღეს, როცა მილიონიანზე დიდი ქალაქების რაოდენობა მსოფლიოში ასობითაა და ასიათასიანი მასის მოგროვება პრობლემას აღარ წარმოადგენს, არაორგანიზებული მასის ამ ფორმის გამოყენება რეალურ პოლიტიკურ ბრძოლაში მიზნის მისაღწევად უკვე უპერსპექტივოა. ცნობილი გახდა, რომ დეპუტატ ავთო რცხილაძის წინამძღოლობით რამდენიმე ათასი სულისაგან შემდგარ მასას დახოცილი მილიციელები, ნაცვლად სასაფლაოსი, ტელევიზიასთან უნდა მოესვენებინა და იქ დაეტოვებინა, როგორც ეს კომუნისტების ბატონობის ბოლო წლებში, უსამართლობის შმაგი აყვავების დროს, რამდენჯერმე გააკეთეს სამართლის ვერმნახავმა გამწარებულმა ჭირისუფლებმა პროკურატურებისა და რაიკომების კარებთან საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. დათქმულ დროზე ამ ძალიან ნელა მოძრავმა მასამ, რომელიც, მე მგონი, არანაკლებ 10-15 ათას ადამიანს ითვლიდა, უნივერსიტეტის ქუჩიდან ჩამოუხვია და ვარაზის ხევი შეტბორა. წინ კუბოებს მოასვენებდნენ და ისე ნელა მოძრაობდნენ, რომ ვარაზის ხევის ჩამოვლას ალბათ ოც-ოცდაათ წუთს მაინც მოუნდნენ. რა მოჰყვებოდა მათი განზრახვის ასრულებას, თავისი საშინელებით ძნელი წარმოსადგენია. ჩემი აზრით, ძნელი გამოსათქმელია იმ დედაკაცური ცნობიერებისა, ისტერიული ბოღმისა და ამორალობის მთელი სიღრმეც, რომელმაც ეს ჯერ გამოუძიებელი ტრაგედია გამოიყენა, რათა პირდაპირ და განუკითხავად ბრალი მოპირდაპირე მხარისათვის დაედო. იმისათვის, რომ მოსალოდნელი ექსცესების რაც შეიძლება დიდი ნაწილი ტელევიზიისგან დაცილებულ ადგილზე გადაგვეტანა და ამით ყველაზე მძიმე გართულება აგვეცილებინა, ჩამოვედი თერთმეტსართულიან სახლთან, სადაც პროცესიას საბურთალოსკენ უნდა შემოეხვია, და მიწისქვეშა გადასასვლელის კიბესთან დავდექი. კიდევ ვინ იყო იქ ჩემს გარდა, მართალი ვთქვა, ამ მახსოვს. იმით, რასაც ხედავდნენ, შეძრული გამვლელნი და შინიდან გამოსული მაცხოვრებელნი მეჩხრად იდგნენ იქვე და სულგაკმენდილნი უქცერდნენ, რა მოხდებოდა. იყო გადალაპარაკებაც და მასში ბევრი დინჯი, მაგრამ ულმობელი გმობაც იქ მდგომთა და იქ არმდგომთა მიმართ, ვისაც, აქ მყოფთაგან ბევრის აზრით, ამ განხეთქილების შექმნაში წილი ედო. სანაპიროზე ჩასახვევ კუთხეში პროცესია გაჩერდა და, ალბათ, არანაკლებ 15-20 წუთისა გაჩერებული იყო. პროცესიის კუდი ამ დროს, მე მგონი, ვარაზის ხევის შუა ადგილს სწვდებოდა. მერე პროცესიამ ჩაუხვია და სანაპიროს გაჰყვა. როგორც მერე მითხრეს, ეს იყო ჭირისუფალთა გადაწყვეტილება, ხოლო დგომის მიზეზი — კამათი (მოსაუბრება) ამ თემაზე ჭირისუფლებსა და აქციის ორგანიზატორებს (რცხილაძეს) შორის.



იმავე დღეს, ორიოდე საათის შემდეგ ტელევიზიასთან მეორე პროცესია მოვიდა. ეს იყო სამღვდელოება (ალბათ, ასორმოცდაათი-ორასი კაცი). მანიფესტანტებს სურდათ დაპირისპირების მონაწილეთათვის გონებისა და ზნეობისკენ მოეწოდებინათ. ცნობილი იყო, რომ მათი განზრახვა იყო ურთიერთმოპირისპირე ყველა ჯგუფის ჩამოვლა. მათ ნელა ამოიარეს ქუჩა, ნელა, უსიტყვოდ გაჩერდნენ ტელევიზიის წინ, საკმეველი აკმიეს და ისევე უსიტყვოდ წავიდნენ, როგორც მოვიდნენ.

ამ საოცარი ფაქტიდან მე ერთი უეჭველი დასკვნა გამომაქვს. რატომ ვერ გამოთქვა კატასტროფასთან შესაბრძოლებლად გამოსულმა სამღვდელოებამ ვერც რეკომენდაცია, ვერც თხოვნა და ვერც აკრძალვა? იმიტომ, რომ ის, თუ რა უნდა თქმულიყო, მოფიქრებული და განსაზღვრული არ იყო. ერს არ ჰქონდა სამოქმედო კურსი, თუნდაც არა ერთ, არამედ ას ურთიერთგამომრიცხავ ვარიანტად მაინც. საქართველო პოლიტიკის არმქონე ქვეყანა იყო. ასეთი ქვეყანა კი იგი იყო იმიტომ, რომ თავისი ბრძოლის ქუჩაში გამოტანამდე მას არ ჰქონდა შექმნილი ის ანალიტიკოსი, დამზვერავი, სამხედრო, დამსჯელი და ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებზეც ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა.

ამ აქტმა საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ მოვლენათა განვითარება ვერ შეცვალა. მანიფესტანტებმა ვერც მხსნელი სიტყვა თქვეს, ვერც რაიმე მოთხოვნა ან განკითხვის მრისხანე მუქარა გამოთქვეს და ვერც კონფლიქტის უკვე აღებული ინერცია დაძლიეს. სწორედ ისევე, როგორც ვერ დაძლია ეს აგორებული კატასტროფა გმირისა და მოწამის, ექიმ გია აბესაძის სიკვდილმა. (მან თავი დაიწვა ძმათა სისხლისღვრის მოსალოდნელი დაწყების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად). მისი პანაშვიდებისას, ტელევიზიის აქცია უკვე დამთავრებული იყო და ხელისუფლების მრევლში მყოფ მასას გამარჯვება მოპოვებულად მიაჩნდა. პირველი მაისის ქუჩიდან, სადაც გია აბესაძე ესვენა, კარგად ისმოდა თავისუფლების მოედანზე მიმდინარე პერმანენტული (უწყვეტი) მიტინგის ყრიამული და ტაშფანდური. იქიდან ორასი მეტრის მანძილზე დასვენებული გმირი იქ, როგორც ჩანს, არც ახსოვდათ.

ტელევიზიის ამ ეპიზოდიდან კიდევ ერთი რამ მაქვს სახსენებელი. ერთ საღამოს, როცა ტელევიზიის წინ ორი ათასი კაცი იდგა, კიტოვანი უცებ ტროტუარის გასწვრივ, დაბალ პარაპეტზე ავიდა და ქუჩაში შეკრებილთა წინ გამოაცხადა: ბესო ქუთათელაძემ (იგი პრეზიდენტის ერთ-ერთი მეთაური იყო) შავნაბადა დაიკავა და იქ სამოცი ბიჭი დახოცაო". ზარდაცემულმა მასას იხუვლა და შავნაბადისკენ დასაძვრელად გაიწია. იმავე წუთს (ალბათ, ათიოდე სეკუნდის შემდეგ) მეც შევხტი იმ პარაპეტზე და დავიძახე: „ხალხო, მოვიცადოთ, ჯერ დაზუსტებით გავიგოთ, მართალია თუ არა-მეთქი". მე ეს ვთქვი პირდაპირ და უშუალოდ კიტოვანის შემდეგ. მის გამოსვლასა და ჩემ გამოსვლას შორის არავის იქ არცერთი სიტყვა არ უთქვამს. გაიგზავნა შავნაბადაზე ჯგუფი ელდარ შენგელაიას მონაწილეობით და დადგინდა, რომ ცნობა მართალი არ იყო. ეს რომ ასე იყო, მრავალი მოწმე მყავს. მაგრამ არაერთხელ დაწერეს და დღესაც ბევრისგან მესმის, თითქოს ის ცნობა კიტოვანს კი არა, შეკრებილთათვის მე მიმეწოდებინოს, და ჩემი არაერთგზისი პუბლიკაცია, თუ როგორ იყო სინამდვილეში, არაფერს ცვლის. მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ მივაგენი, მე მგონი, ამ ამბის საიდუმლოს. 1999 წლის მაისში დედაენის ძეგლთან სტუდენტების საპროტესტო აქციაზე მისულს (მუზეუმიდან ხატებისა და ჯვრების გატანის გამო) გამომელაპარაკა და წამეჩხუბა ერთი ნასვამი კაცი, პრეზიდენტისა და ამჟამად მისი მეუღლის უკრიტიკო თაყვანისმცემელთა რიცხვიდან. „მე თვითონ გხედავდი, დოლიძის ქუჩაზე რომ მეგაფონით დარბოდი და ხალხს მოუწოდებდი, ქუთათელაძემ სამოცი ბიჭი მოკლაო". საუბრის მანძილზე ის პიროვნება, რომელიც, როგორც ჩანს, ალალი კაცი იყო, მეტ-ნაკლებად დაგვიტკბა მე და გურამ გოგბაიძეს (იქ ერთად ვიყავით) და ჩვენს შორის ლაპარაკის გულწრფელი ტონალობა მოინახა. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ის კაცი არ ტყუოდა. ჩემი დასკვნაა: იმ დროს (ეს იყო საღამოს თერთმეტ საათზე მეტი) დოლიძის ქუჩაზე, რომელსაც მე ახლოსაც არ გავკარებივარ, მეგაფონით დადიოდა ვილაცა და ჩემი სახელით მოუწოდებდა მაცხოვრებლებს, ქუთათელაძემ ბიჭები დახოცაო.

ტელევიზიიდან გვარდიის გასვლამდე ორიოდე დღით ადრე (რაც, თუ სწორად მახსოვს, სადღაც 1 და 3 ოქტომბერს შორის მოხდა), ღამით გვარდიის აქაურ განლაგებას მოაკითხა ერთმა ახალგაზრდა ქართველმა კადრის ოფიცერმა, რომელსაც მონაწილეობა ჰქონდა მიღებული „იმედის" მომზადებაში ამ უკანასკნელის გვარდიაში შესვლამდე, და იმედის თავკაცი დათო ხომასურიძე ინახულა. იმჟამად ეს ოფიცერი პრეზიდენტის ერთ-ერთ სტრუქტურაში იყო დასაქმებული (რომელში — არ ვიცი) და მისი მოსვლა, ფაქტობრივად, პრეზიდენტის „მხარის" მოციქულობას უდრიდა. მან დაიმოწმა ის გარემოება, რომ მოვლენათა ამავე ხაზით განვითარება კატასროფის გარდა ვერაფრის მომტანი იქნებოდა (რაშიც ორივე მოსაუბრეს, რაღა თქმა უნდა, აზრის არანაირი განსხვავება არ ჰქონდათ) და შესთავაზა პოზიციიდან წასვლა. ხომასურიძის მხრიდან უშუალო თანხმობა, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო ორი მიზეზით. ჯერ ერთი, ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა (თეორიულად) პირდაპირ ცეცხლის გახსნა რომელიმე დამრჩენის ან დამრჩენთა ჯგუფის მხრიდან. თეორიულად შესაძლებელი იყო, რა თქმა უნდა, რომ გასულებს ქუჩაშიც ჩასაფრებოდნენ და ამოეხოცათ (თუმცა თვითონ იმ ოფიცრის მხრიდან ამ ჩანაფიქრში მონაწილეობა გამორიცხული იყო). ორივე ეს შესაძლებლობა, ვიმეორებ, წმინდა თეორიული იყო. ეს ორივე მოტივი ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო. მესამე (და მთავარი) მოტივი იყო: წასვლა იქნებოდა ფლანგის გაშიშვლება და, ამდენად, პრეზიდენტის მხარის ცდუნება გვარდიელებისათვის დასარტყმელად, რაც, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში და ყველა თვალსაზრისით დამრჩენთა ღალატად ჩაითვლებოდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ქვემოთ კიდევ ვიტყვი და ახლაც ვამბობ, რომ უკლებლივ ყველას სულისკვეთება, მომავალი სამოქალაქო ომის ორგანიზატორთა გარდა, რომლებიც ამ ზრახვას ჯერ კიდევ გულში ინახავდნენ, ის იყო, რომ შეტაკება არ უნდა მომხდარიყო, — რომ ის, რაც ხდებოდა, თავისი მნიშვნელობით უბრალო წალაპარაკების დონეს არ სცილდებოდა და არანაირი კავშირი არ ჰქონდა სახელმწიფო პრობლემებსა და სახელმწიფო ამოცანებთან. იმასაც ვიტყვი ქვემოთ და ახლაც აღვნიშნავ, რომ თავპირველი შიში — რუსები დაგვარტყამენო — ნელ-ნელა გამკრთალდა და ადგილი დაუთმო მეორე შიშს — ზვიადი დაგვარტყამსო. თუ ამ ნელ გადასვლაში სადმე მკაფიო ზღურბლი იყო, ეს, როგორც უკვე ვთქვი ზემოთ, იყო ის მომენტი, როცა გვარდიელებსა და მილიციელებს შორის მომხდარი სისხლიანი ინციდენტი გახდა ცნობილი. ამიტომ დათომ მოციქულს უთხრა, ახლა ამას ვერ ვიზამთ, მაგრამ როგორც კი ეს ამბავი მოთავდება, ჩვენ ამ საქმეს მოვცილდებით და ჩვენი დისლოკაციის ადგილს დავუბრუნდებითო. მეორე ღამეს იმ ოფიცერს მოჰყვა ერთი მრგვალი დეპუტატი — ძალიან ჭკვიანი, პროფესიულად კვალიფიციური და ერთგული კაცი, რომელსაც მე ახლავე უყოყმანოდ დავასახელებდი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად (და დავასახელებ კიდეც, თუ მისი თანხმობა მექნება). მასთან სალაპარაკოდ მეც დამიძახეს. იგივე ვილაპარაკეთ და იმ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას დავადექით, რომელიც წელან ვახსენე. ეს ასე შესრულდა კიდეც, მაგრამ მცირედი დაგვიანებით და მცირედი ცვლილებით. სახელდობრ, „იმედი" გვარდიის განლაგებიდან (თბილისის ზღვასთან) გავიდა არა გასვლისთანავე, არამედ ორი კვირის შემდეგ, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ გვარდიის გასვლას თბილისის ზღვაზე მაშინათვე მისი განლაგების ალყა და შვეულმფრენის მის თავზე ფრენა მოჰყვა, რაც გვარდიელებმა საჰაერო თავდასხმად აღიქვეს. ცვლილება კი იმაში მდგომარეობდა, რომ იმედი თავის დისლოკაციის ადგილზე მარნეულში ველარ დაბრუნდა თავისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არამედ შინ წავიდა და სამოქალაქო ომის ბოლომდე შინ დარჩა.

ერთ დღეს ოპოზიციონერი დეპუტატების დასწრებით (და, ასე იგულისხმებოდა თავისთავად — ამ დეპუტატების სახელითაც) ყოფილმა მრგვალმა დეპუტატმა თედო პაატაშვილმა კიტოვანს უთხრა ტელევიზიის დარბაზში: „არავის არ სჭირდება თქვენგან დაცვა. აქედან წადითო". ვინაიდან პასუხი ლოგიკურად აშკარად შეუძლებელი იყო, კიტოვანმა რაღაცა ჩაიბურტყუნა და „კარგი, კარგიო", დაეთანხმა. ეს იყო საათის ხუთზე-ექვსზე. იმ დღეს არ გასულა და არც მეორე დილით, მაგრამ საღამოსთვის გვარდია მოაწყო, მისი ტექნიკითურთ, და უკვე დაბინდებულზე თბილისის ზღვაზე განლაგებული პროფკავშირების კუთვნილი დასასვენებელი კომპლექსისკენ გაიყვანა. მისი დანიშნულების ადგილი ცნობილი იყო, მაგრამ რა დროიდან, კერძოდ, რომელი დღის რომელი საათიდან, ზუსტად ვერ ვიტყვი. ის, რომ უნდა გასულიყო და რომ სადღაც უნდა დაბანაკებულიყო — ან შავნაბადაზე ან სხვაგან, — თითქმის იმთავითვე ცნობილი იყო. შესაძლო ადგილებს შორის სახელდებოდა კომკავშირის ხეივანიც, რაც, რა თქმა უნდა, გამომწვევად გამოიყურებოდა (რაკი ეს ადგილი თბილისის ცენტრს თავზე ადგას) და ... ხევსურეთიც კი. ბუნებრივია, „იმედიც" გაჰყვა (და არც შეიძლებოდა არ გაჰყოლოდა, ვინაიდან ქუჩაში დამოუკიდებლად გასულს ვისგან რა ელოდა, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა). მათი გასვლის შემდეგ, მართალი ვთქვა, კიდევ იყო შიში — თუმცა მის გამხელას ერთიმეორესთან საუბარში იქ მყოფნი მაინცდამაინც არ ესწრაფოდნენ — რომ შესაძლებელი იყო გვარდიას გზაში ჩასაფრება დაჰხვედროდა. ვილაცეები (მე მგონი, გულშემატკივრები, ცნობისმოყვარეები) ქვეყნის ბედით რეალურად დაინტერესებული მოქალაქეები, შორიახლო გაჰყვნენ კიდეც თავისი მანქანებით სათვალთვალო მანძილზედ, „ვაი თუ რაღაც მოხდა და ჩვენი დახმარება დასჭირდეთო". მაგრამ რამდენიმე ხნის მანძილზე რომ ცუდი ამბავი არ მოვიდა, ყველა დამშვიდდა. ეს იყო პირველი ღამე იმ კარგა ხნის მანძილზე, რომ მე და, მე მგონი, ყველა სხვასაც მშვიდად გვეძინა.

მეორე დილას ახალი გათენებული იყო, ტელეფონმა რომ გამომაღვიძა. ჩვენმა ფრონტის წევრმა გივი ყურაშვილმა დამირეკა თავისი სახლიდან ჯავის ქუჩაზე (თბილისის ზღვის მახლობლადაა) და მითხრა, ზემოდან ტყვიამფრქვევის განუწყვეტელი კაკანი ისმისო. (სინამდვილეში, მე მგონი, ავტომატი იქნებოდა, იხ. ქვემოთ). გამოვვარდი მაშინვე ჩემი „ფიატით" და წავედი ტელევიზიაში (ჩემს სახლთან ახლოსაა), რათა ჯერ ამბავი შემეტყო. (გვარდიის ამბის გასაგები სხვა „ცენტრი" პრაქტიკულად არც არსებობდა). იქ არავინ არაფერი იცოდა გარდა იმისა, რომ სროლაა. იქიდან ერთი ჟურნალისტი დამემგზავრა, რომელსაც შვილი გვარდიაში ჰყავდა. ავედით თბილისის ზღვასთან გლდანის მხრიდან და დავინახეთ აურაცხელი მილიცია, რომელსაც მთელი სივრცე გადაეკეტა, ზღვის დასავლეთი ნაპირიდან დაწყებული აქეთ, და უბნიდან გამოცვენილი აღელვებული მაყურებლები, რომლებიც რაოდენობით ალბათ მილიციის თანასწორნი იყვნენ. მილიციის მთელი უფროსობა იქ იყო თავმოყრილი. დავაგდე მანქანა და იქით წავედი, სადაც გზატკეცილი უხვევდა და, ხელოვნური ფიჭვნარის გავლით, პროფკავშირების სანატორიუმებისკენ მიდიოდა. იქვე მითხრეს (ხაზს ვუსვამ: მითხრეს თანაგრძნობით, რადგან ეს ამბავი ჩემთვის, როგორც პოლიტიკაში ჩართული პირისათვის და ეროვნული მოძრაობის მონაწილისათვის, უფრო მძიმე უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც, ვიდრე მილიციის შეფებისათვის, რომელთაც იგი შემატყობინეს), რომ უკვე იყო შეტაკება და სისხლი. მძიმედ (და, როგორც მალე აღმოჩნდა, სასიკვდილოდ) დაჭრილი იყო ნუგზარ შანავა, პრეზიდენტის გვარდიელი და სამაჩაბლოში ალალად ნაბრძოლი 40 წლის კაცი. გულღვიძლშეძრულმა, ვილაცას მეგაფონი გამოვართვი და მაცხოვრებლებს შევეხვეწე, ქუჩაში გამოდით, ეგებ ეს აქცია დავბლოკოთ და დიდი შეტაკება არ დავუშვათ-მეთქი. ფიჭვნარის ზონაში რომ შევდიოდი, იქ მილიციის განაპირა ბლოკპოსტი იყო და მასთან ერთი ნაცნობი კანადელი ჟურნალისტი დავინახე, რომელიც იმ ამბების სისტემატურ რეპორტირებას ეწეოდა. „აი, გვარდიელებთან შევდივარ. იცოდეთ, შეიძლება ამათ მესროლონ და იმათ დააბრალონ, არ შეცდეთ-მეთქი", ვუთხარი და ფიჭვნარში შევედი. ასიოდე მეტრში ალყაშემორტყმულთა გუშაგი დამხვდა. იმათგან შევიტყვე მომხდარის დეტალები: ნუგზარ შანავა და კიტოვანის გვარდიელი რომ პირისპირ აღმოჩნდნენ (პირველნი იმ დღეს), შანავამ დაუძახა „არ გესროო" და თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად ავტომატი მიწაზე დადო, მაგრამ გვარდიელს მისი ეს მოძრაობა ილეთად ეჩვენა და ცეცხლი გაუხსნა. შანავა დაიჭრა (და, როგორც ვთქვი, რამდენსამე საათში მას შემდეგ გარდაიცვალა).

გადავუხვევ თხრობას და ვიტყვი: ნუგზარ შანავას ეს მამულიშვილური შეგნებით ნაკარნახევი ჟესტი და „მოწინააღმდეგის" ეს გაუგებრობით გამოწვეული რეაგირება ამ ჟესტზე ამ სახის ერთადერთი შემთხვევა არ იყო. იყო სხვაც (და, ალბათ, არაერთი). ერთს მოგახსენებთ, რომელიც ვიცი. ერთმა განათლებულმა ახალგაზრდა კაცმა, სპორტსმენმა, რომელიც გვარდიაში ირიცხებოდა, ხელი მიჰყო გაბედულ „რეიდებს" პრეზიდენტის მომხრე გვარდიელთა განლაგებაში და მათ განიარაღებას. მან ეს „ოპერაცია" რამდენჯერმე ჩაატარა სხვადასხვა ადგილას, მათ შორის მთავრობის სახლის — ე.წ. „ქაჯეთის ციხის" ვესტიბიულშიც. ეს მისი თავგადასავლები საკმაოდ ფართოდ იყო ცნობილი. „მოწინააღმდეგენი", რომლებიც მეტწილად სოფლელი ბიჭები იყვნენ, ჩემი ანალიზით, პირველ ყოვლისა, იმიტომ არ უხსნიდნენ მას ცეცხლს და ხელების აწევას იმიტომ არჩევდნენ, რომ ვერ ლახავდნენ იმ უმძიმეს ზღურბლს, რომელიც ჯერ არარსებული და გამოუცხადებელი ომის „გახსნას", თანამემამულისა და სისხლ-ხორცის სხეულში ჯერის შეშვებას სჭირდება. ამგვარად, მოსალოდნელი იყო, რომ ეს „ბეწვზე გადარჩენის" ანუ სამოქალაქო სისხლის არდაღვრის წვრილი ძაფი მალე გაწყვეტილიყო, და მე გავიცნობიერე ჩემი პირადი ვალიც, რომ ის ახალგაზრდა მენახა და ეს მისთვის მეთქვა. ვერ მოვასწარი. ურთიერთობა რომ კიდევ უფრო გახურდა, ამ ახალგაზრდამ ერთხელ იმავე სიტყვებით მიმართა „მოწინააღმდეგეებს", რაც ნუგზარ შანავამ თბილისის ზღვაზე, და მასავით ავტომატი ძირს დადო. მაგრამ ამ დროს ზემოხსენებული ფსიქოლოგიური ზღვარი უკვე გადალახული იყო და მას ცეცხლი გაუხსნეს. იგი ცოცხალია, მაგრამ მძიმედ დაინვალიდებული. ეს მოხდა მოსწავლეთა სასახლესთან. გვარს არ ვწერ. მისი აღნიშვნა მხოლოდ თვით ამ ახალგაზრდის სურვილის შესაბამისად შეიძლება.

შევედი გვარდიის განლაგებაში და დამხვდა ამბავი, რომ სამი ბიჭი დაზვერვაზე იყო გაშვებული ზემოხსენებულ ფიჭვნარში და აგვიანდებოდათ. სრულ სიმართლეს ვწერ: იმ ინტუიციით, რომელიც განსაკუთრებით მწარე წუთებში ეძლევა ადამიანს, მე ვიგრძენი, რომ აქ კატასროფა იყო. და ისიც ვიგრძენი, თუ რომელს ეხებოდა ის კატასტროფა. ეს იყო 19 წლის ბიჭი, მალხაზ ჯიბლაძე, რომელსაც მანამდე რამდენიმე თვით ადრე დედა მოჰყვა „იმედში" და თქვა, „შვილს სამშობლოსათვის სამსახურისთვის ვლოცავო". ეს იყო საუცხოო ახალგაზრდა ვაჟკაცი, ყოველმხრივ გამართული, რომელმაც თავისი ღირსება ნათლად აჩვენა ლიახვის ხეობის ქართული სოფლების დაცვაში. მას ჰქონდა ხელთ მხოლოდ ორლულიანი თოფი. ფიჭვნარში შეხვდა პრეზიდენტის მომხრე „ომონის" ჯგუფს, ავტომატებით შეიარაღებულს, მათ განაიარაღეს და მიბჯენით დახვრიტეს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული! მისი სიკვდილი გაირკვა საღამოსკენ, როცა დანარჩენი ორი ბიჭი უკვე დიდი ხნის მოსული იყო.

გაგრძელება იქნება

**გულაბერ კლარჯი**

# რას გვიქადის მეექვსე კლასის „სომხეთის ისტორიის“ სახელმძღვანელო?

მკითხველს უკვე ვაუწყე იმის თაობაზე, „სომხეთის ისტორიის“ მეხუთე კლასის სახელმძღვანელოში თუ როგორ არის გაბიაბრუებული, გაყალბებული საქართველოს, ქართველი ერის წარსული, თავგადასავალი, ქართული კულტურის დიადი, სისხლითა და ოფლით მოპოვებული მიღწევები (იხ. გაზეთი „საქართველო“, 1999წ., 1.VI. 8.VI). მიზეზი და მიზანიც ამისა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ალზარდონ სომეხი ბავშვები იმ სულისკვეთებით, რომ, თითქოს, ამჟამინდელი საქართველოს ნახევარი მაინც სინამდვილეში სომხურ მიწა-წყალს წარმოადგენდა, დანარჩენი საქართველოც, ვითომც, სომხეთის დანამატს შეადგენდა, სომხური კულტურით სულდგმულობდა და, აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში უნდა აღდგეს ისტორიული სამართლიანობა — სომხებმა, კერძოდ, ახლანდელმა მეხუთეკლასელებმა უნდა დაუბრუნონ დედასამშობლოს, მრავალტანჯულ სომხეთს ქართველებისგან „მიტაცებული სომხური მხარეები, ჯავახეთი, ქვემო ქართლი, აჭარა“ და სხვა. ამ დროს ქართველი მეხუთე კლასელები ღვთის ანაბარად არიან მიტოვებული და ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ხშირად და რიხიანად იტყვის: „ჩემი დედა მოვ...ყან, ჩემ დედას შევ...ცი“. სამშობლოს მიმართაც ასეთივე დამოკიდებულებით იზრდებიან.

ამჯერად, სომხური სკოლების მეხუთე კლასიდან მეექვსეში გადავინაცვლებ და მოკლედ განვიხილავ „სომხეთის ისტორიის“ მეექვსე კლასის სახელმძღვანელოს. იგი გამოცემულია ერევანში 1998 წელს. ეს ყოფილა ამ სახელმძღვანელოს მეოთხე, გაუმჯობესებული გამოცემა. ავტორები არიან აკადემიკოსი ვ. ბარხუდარიანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჰ. მარგარიანი და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი პ. ჩობანიანი.

მარგარიანი და ჩობანიანი ქართველოლოგები არიან. ისინი იყენებენ თავიანთ ქართველოლოგობას იმისათვის, რათა ასწავლონ მეხუთე-მეექვსე კლასელ სომეხ ბავშვებს, თუ რა საფუძვლიანი პრეტენზიები აქვს, თითქოს, სომხეთს საქართველოს მიმართ. ამ პრეტენზიების საფუძველზე არის შედგენილი სახელმძღვანელოებში მოთავსებული ტენდენციური რუკებიც.

მეექვსე კლასის „სომხეთის ისტორიაში“ ნათქვამია: 862 წელს (ეს სახელმძღვანელო მოიცავს პერიოდს IX ს-ის შუა ხანებიდან XVII ს-ის ბოლომდე) აშოტ I არაბებმა ცნესო სომხეთის მთავართა მთავრად. მან „შეძლო თავისი გავლენა გაევრცელებინა არწრუნთა, სიუნთა, არცახისა (ყარაბაღის — გ.კ.) და სხვა ცნობილ სომეხ მთავრებზე. მის ბატონობას გარკვეული ზომით აღიარებდნენ აგრეთვე ალბანელი და ქართველი მთავრები“ (გვ.7). „წარმატებული ლაშქრობებით აშოტ I-მა (იგი 885წ. სომხეთის მეფე გახდა — გ.კ.) შიშის ზარი დასცა აგრეთვე კავკასიის მთიელებს, რომლებიც აწიოკებდნენ საქართველოსა და ალბანეთს“ (გვ. 10; ნაგულისხმევია კავკასიის ალბანეთი). სახელმძღვანელოს მიხედვით, საქართველოსთვის ყურადღება არც აშოტ I-ის შვილიშვილს, სომხეთის მეფე აშოტ II-ს (915-928) მოუკლია: მან და მისმა ჯარმა „გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე თბილისის არაბული საამიროს მიმართ“ (გვ.13). ბუნებრივია, თუ 10-12 წლის სომეხ ბავშვებს არა, მათ მასწავლებლებს მაინც გაუჩნდებათ კითხვა: რას აკეთებდნენ ამ დროს ქართველები, რატომ სჭირდებოდათ მათ სომხთაგან დაცვა, რატომ ვერ უვლიდნენ თბილისს, თუ ის მართლა ქართველთა დედაქალაქი იყო და რატომ მიუგდეს იგი საპატრონოდ სომხებს? ამ მასწავლებლებს თავიანთი მოძღვრებისაგან აქვთ შესისხლხორცებული და გადასცემენ მოწაფეებს: ასე იყო და ასე იქნება — საქართველო სომხეთის ნაწილს წარმოადგენდა, სომხეთს დაეკისრა მისია საქართველოს გადარჩენისა, რაც მან მომავალშიც უნდა იტვირთოს. რუსეთიდან მზე და მთვარეც საქართველოს მხოლოდ მცირე ხნით ამოსდიოდა, ადრე სომხეთი ასხივოსნებდა ამ ქვეყანას და ამიერიდანაც სომხეთმა უნდა შეასრულოსო მასზე ადანუმობიდან დაკისრებული ამგვარი ფუნქცია, მოვალეობა.

სინამდვილეში კი, აი, რა ხდებოდა იმ ხანებში: მონოფიზიტური (გრიგორიანული) სომხეთი უფრო მეტად ცდილობდა არაბთა სახალიფოსთან მორიგებას (და ამას ახერხებდა კიდეც), ვიდრე დიოფიზიტური, მართლმადიდებლური საქართველო, რომელიც მართლმადიდებლურ ბიზანტიასთან კავშირით აპირებდა არაბთა ბატონობის უღლის გადაგდებას. VIII ს-ის სომეხი მემატიანის, ლევონდის თანახმად, სომხეთა კათოლიკოსი საჰაკ III, ეპისკოპოსთა თანხლებით, გაუგზავნიათ სომხეთიდან არაბებთან ზავის დასამყარებლად. მაგრამ, ქალაქ ხარანში საჰაკი ავად გამხდარა და გარდაცვლილა ისე, რომ ვერ მოუსწრია შეხვედროდა სომხეთისაკენ დაძრული არაბთა ჯარის სარდალს მაჰმედს. სიკვდილის წინ საჰაკს წერილი მიუწერია არაბი სარდლისათვის: „უბოძე ჩემს ხალხს მშვიდობა და იგი დაგემორჩილება შენ... დაე, ნურავინ თქვენთაგანი ნუ გვაწამებს ჩვენ და ნუ გვაიძულებს რჯულის გამოცვლას. აწ, უკეთუ შეასრულებ ჩემს თხოვნას, უფალი განამტკიცებს შენს ხელისუფლებას და აღასრულებს შენს სურვილებს, ყველას დაგიმორჩილებს... უყურადღებოდ ნუ მოეკიდები ჩემს სათხოვარს და აღსრულდება შენს მიმართ ჩემი ლოცვა-კურთხევა“. როგორც ვხედავთ, ოღონდ სომხეთმა შეინარჩუნოს მშვიდობა და სომეხთა კათოლიკოსი მზადაა ილოცოს იმისათვის, რომ არაბებმა თუნდაც მთელი საქრისტიანო სამყარო დაიპყრონ.

საჰაკის გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია. იგი ჯერ არ დაეკრძალათ, როდესაც მაჰმედი ჩავიდა ხარანში. ლევონდი გვაუწყებს: არაბთა სარდალი „დადგა რა მიცვალებულის ცხედართან, მიესალმა მას თავიანთი ჩვეულებისამებრ... შემდეგ ჩაბღუჯა მისი ხელი, ვითარცა ცოცხალი ადამიანისა, დაელაპარაკა, უთხრა მას: „შევიტყვე შენი სიბრძნე იმ უსტარიდან, რომელიც წავიკითხე... თანახმა ვარ, ჩემი ხმალი ჩავაგო უცოდველ კაცთა წინაშე. აწ, შევასრულებთ, გავაკეთებ ყოველივეს, რასაც წერილში ითხოვ ჩემგან, და, დაე, შენი ღვთისნიერი ლოცვა-კურთხევა აღსრულდეს ჩემს მიმართ“. საჰაკის თანმხლებმა პირებმა არაბი სარდლის „წერილობითი ფიცი წამოიღეს და დაბრუნდნენ სომეხთა ქვეყანაში“. სომხებმა ირწმუნეს ეს ფიცი და “ამის შემდეგ მონური მორჩილებით ემსახურებოდნენ ისმაიტელებს“, ე.ი. არაბებს.

ლევონდი მოგვითხრობს სომხეთში 774-75 წლებში მომხდარი ანტიარაბული აჯანყების შესახებაც. თავდაპირველად არაბთა ხელისუფლებას განდგომია მ. მამიკონიანი. მას გარკვეული წარმატებაც მოუპოვებია. მაშინ დაიმედებული სხვა ნახარარებიც (ერისთავები) შეუერთდნენო „უგუნურ განზრახვას“ (აჯანყება სისულელეაო). თურმე „კიდევ უფრო მეტად შეაცდინა ისინი ერთი ბერის აზრმა, რომელიც ბოროტი სულისაგან აღტყინებული, წინასწარმეტყველებდა ფუჭი, უქმი სიტყვებით: „აჰა, მოახლოვდა თქვენი ხსნის დრო, რამეთუ აწ, მალე სამეფო კვერთხი კვლავ დაუბრუნდება თორგომის სახლს (ნაგულისხმევია სომხეთი-გ.კ.)... მცირერიცხოვნობის გამო თქვენ მათი ნუ შეგეშინდებათ, რამეთუ თქვენგან ერთი კაცი ძლევს ათასებს, ხოლო ორი (თქვენთაგანი) ბევრეულებს, ვინაიდან თქვენს ბრძოლას უფალი წარმართავს. გაძლიერდით, ნუ შეკრთებით“. ამ სახით, ყოველ ცისმარე დღე ცრუ და მაცდუნებელ მოჩვენებებს მოუთხრობდა. ისინი ყველანი უჯერებდნენ მას და ნათელმხილველს უწოდებდნენ. ამდაგვარი სიტყვებით მოტყუვდა რა ყველა, გადაწყვიტესო აჯანყებოდნენ არაბებს. სინამდვილეში, ე.წ. ნათელმხილველი ბერი „ცრუ, ცოფიანი კაცი“ იყოო და მისი რჩევები „ზიანის მომტანი“.



ე. წ. XI–XIII საუკუნეების სომხეთის რუკა

არაბთა ბატონობის უღლისადმი დამოკიდებულების თაობაზე სომხური ეკლესიის წარმომადგენლის, ლევონდის და მის თანამოაზრეთა შეხედულებისგან სრულიად განსხვავებული მიდგომა ჩანს საქართველოში, კერძოდ, ქართულ სასულიერო წრეებში. ცნობილია, მაგ, რომ ლევონდის თანამედროვე სახელოვანმა ქართველმა მწერალმა, იოანე საბანისძემ არაბ დამპყრობთა მიმართ შეურიგებლობის სულით გაჟღენთილ [illegible] „აბოს წამება“ სწორედ ქართველთა კათოლიკოსის, სამოელის დავალებით დაწერა. იოანე საბანისძე, გარდა იმისა, რომ მთელს ერს, ფართო მასებს მოუწოდებს, შთააგონებს მედგრად გაუმკლავდნენ დამპყრობლებს, არ მიიღონ მჩაგვრელთა ნასუფრალი ეროვნული მეობის დათრგუნვის, ფეხქვეშ გათელვის ფასად, ამავე დროს, ქართველი მწერალი მთელი სულითა და გულით თანაუგრძნობს ქართლის ერისმთავარ ნერსეს, რომელიც არაბ დამპყრობთა საწინააღმდეგო მოქმედებისათვის არაერთხელ სასტიკად დაისაჯა. შექმნილ ვითარებაში არაბებმა სომხეთში უფრო მტკიცედ მოიკიდეს ფეხი, ვიდრე საქართველოში. ამის გამო ისინი სომხეთს საქართველოსთან შედარებით საიმედო საყრდენად მიიჩნევდნენ. ყოველივე ამან განაპირობა, რომ IXს-ის 60-იანი წლებისათვის, როდესაც არაბთა სახალიფოს ძლევამოსილება აშკარად შესუსტდა, სომხეთი ასე თუ ისე ერთიან ქვეყანას წარმოადგენდა, ხოლო საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად იყო დაშლილი. არაბ დამპყრობთათვის ასეთი საქართველო უფრო მისაღები იყო, ვიდრე გაერთიანებული. ამას შედეგად მოყვა ის, რომ IXს-ის დამლევს და Xს-ის დამდეგს, 20-30 წლის განმავლობაში, სომხეთა ჯერ მთავართა მთავარი, შემდეგ მათი მეფეები ახერხებდნენ საქართველოს გაერთიანების სახელით წარმოებულ ქართველ მეფე-მთავართა შინაომებში ჩარევას. იმდროინდელი სომხეთა ხელისუფალნი მიზნად ისახავდნენ ე.წ. დიდი სომხეთის აღდგენას, თავიანთი სამფლობელოს გაფართოებას საქართველოს ხარჯზეც. მაგრამ ქართველთათვის ეს მიუღებელი იყო და შეუპოვრად ებრძოდნენ სომხეთის ხელისუფალთ, მათ ჯარებს. Xს-ის დასაწყისიდანვე სომხეთი სუსტდება, ცალკეულ სამეფო-სამთავროებად იშლება და ამიერკავკასიის მასშტაბით პირველობისათვის გაშლილ ბრძოლებში უპირატესობა თანდათან საქართველოს მხარეს გადმოდის (იხ. ა. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., 1988).

ქართველები რომ არ ფიქრობდნენ, თავიანთი ქვეყნის მოვლა-პატრონობის მისია სომხებისთვის დაეკისრებინათ, ეს კარგად ჩანს Xს-ის დასაწყისში დაწერილ სტეფანე მტბევარის „გობრონის წამებიდანაც“: „მიწაი იგი სომხითისაი ამპარტავან არს და მკვიდრნი მისნი ცუდად მზვაობარ, ანგაჰარ, ლაღ და ცოდვის მოყვარე, ამპარტავან, უწყალო, უყვარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მისადრეკელი ქრისტესი, რომელთათვის ქრისტე ცუდად მოკვდა“. ტბეთის ეპისკოპოსის, სტეფანეს „გობრონის წამება“ ეკლესიებში საკითხავად

გაგრძელება მე-10 გვერდზე

---

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №7

# შეხვედრა აბრაგებთან

რაღა თქმა უნდა, რომ თავის დროზე მეც დავიწყე სწავლა, სკოლაში მისვლამდე დედაჩემის მხრივ უკვე გათვითცნობიერებული ვიყავი ბევრ რამეში, შემეძლო წაკითხვა, დათვლა, დაზეპირებული მქონდა ზოგიერთი ლექსი და თქმულება ისეთ სახელოვან აბრაგებზე, როგორიც იყვნენ შეიხ-მანსური და ზელიმხანი. სკოლაში წარჩინებულ მოსწავლედ ვითვლებოდი, განსაკუთრებით მიტაცებდა მხატვრული ლიტერატურა და როგორც კი საშუალება მეძლეოდა, ვკითხულობდი მთელი თავდავიწყებით. ჩვენი ეროვნული მწერლების საიდ ბადუევის, ნურდინ მუზაევის, არბი მამაკაევისა და აბუზარ აიდამიროვის გარდა, მიტაცებდა მსოფლიოს ხალხთა მხატვრული შემოქმედება. მის გასაცნობად კი აუცილებელი იყო, სრულყოფილად დავუფლებოდი რუსულ ენას, ეს იმიტომ, რომ საკუთარი ანბანი არ გაგვაჩნია და ჩვენს ენაზე თარგმანებიც არ არის, რუსულად კი თითქმის ყველა ღირსეული მწერლის შემოქმედებაა თარგმნილი. რუსული ენის წყალობით ვეზიარე მსოფლიოს ხალხთა მხატვრულ შემოქმედებას, განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი იმ ამბავს, რომ ასევე რუსული ენის წყალობით გავეცანი თქვენი ქართველი მწერლის, ალექსანდრე ყაზბეგის ბრწყინვალე ნაწარმოებებს, რომელიც ჩვენი, ჩეჩენი ხალხის გაუკუღმართებულ ცხოვრებას ეხება.

სხვათა შორის, ჩვენი მწერალი აბუზარ აიდამიროვი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ალექსანდრე ყაზბეგი ჩეჩენი ხალხის უსაყვარლესი მწერალია.

ბევრი წიგნის კითხვამ თავისებური შედეგი გამოიღო, პროზაში ვცადე ბედი, ვწერდი პატარ-პატარა მოთხრობებს, ჩანახატებსა და შთაბეჭდილებებს, ამა თუ იმ მწერლების მიმართ და სხვა.

დრო გადიოდა, მშობლების წყალობით ეკონომიკურად თუ მატერიალურად სრულიად უზრუნველყოფილი ვიყავი და ჩემი მომავალი ცხოვრების იდეალად ჟურნალისტობა მქონდა ჩაფიქრებული.

ლიტერატურის გარდა, მიტაცებდა სპორტიც. განსაკუთრებით კრივი და სიმძიმის აწევა. ფიზიკურად ჯანმრთელი გახლდით და კრივში ისეთი მონაცემები მქონდა, რომ ჩემზე უფროსებიც კი გაურბოდნენ ჩემთან შერკინებას. განსაკუთრებით ძლიერი მქონდა მარცხენა ხელი, ეს გასაგებიცაა, ცაცია ვიყავი და კარგად მქონდა ხელი გავარჯიშებული.

სკოლიდან დაბრუნებული, მეცადინეობის შემდეგ დიდ დროს ვუთმობდი პატარა იბრაჰიმთან თამაშს, ისე შემაყვარა ამ ბავშვმა თავი, რომ უმისოდ ყოფნა ველარ წარმომედგინა.

იმ დროისათვის მამაჩემმა ორთქლმავალზე მუშაობას თავი მიანება, ავტომძღოლის კურსები გაიარა, მართვის მოწმობა მიიღო და მძღოლად დაიწყო მუშაობა ერთ პატარა ავტობუსზე, რომელიც გეოლოგიურ ექსპედიციას ეკუთვნოდა. მათი სამუშაო უბნები ძირითადად ქალაქგარეთ იყო და მამაჩემს ხშირად ღამე დგომითაც კი უხდებოდა გასვლა. ამასობაში მაგრეზმა სამუშაო ადგილი შეიცვალა, ახალი სამსახური იშოვა მოზდოკში, იქვე გადასახლდა (ცოლეულების ბინაზე) თავისი ცოლ-შვილით.

ეს ამბავი მამას რატომღაც არ ეჭაშნიკა, მაგრამ რაღას იზამდა, მაგრეზი უკვე ცოლ-შვილის პატრონი იყო და უფლება ჰქონდა, თავისი სურვილისამებრ წარემართა პირადი ცხოვრება.

დრო კი შეუმჩნევლად გარბოდა, ამასობაში მეც დავამთავრე საშუალო სკოლა, დავიწყე მზადება უმაღლესში გამოცდების ჩასაბარებლად. იმავ პერიოდში მამას სამსახურში დაავალეს თბილისში გამგზავრებულიყო რაღაც აუცილებელ საქმესთან დაკავშირებით. ძალიან მაინტერესებდა საქართველოს




ნახვა და ვთხოვე, მეც დავემგზავრებინე, მამა დამთანხმდა, თანაც დაუმატა: — მაგრეზსაც შევატყობინოთ და თუ ეცლება, ისიც წავიყვანოთო. თვითონვე დაუკავშირდა ტელეფონით, ბედად თუ საუბედუროდ მაგრეზს იმ დროს შვებულება ჰქონდა და სასწრაფოდ ჩამოვიდა საქართველოში წასვლის დიდი სურვილი გამოთქვა, კარგი ექსკურსია გამოგვივაო.

საქართველოში სამხედრო გზით ვიმგზავრეთ, ვნახეთ ზღაპრული დარიალის ხეობა, რომლის ხილვამაც ალტაცებაში მოგვიყვანა მე და მაგრეზი, მამაჩემი კი აქ წინათაც ბევრჯერ ყოფილა, მისთვის ეს ყველაფერი ჩვეულებრივი სანახაობა იყო.

დაბა ყაზბეგში რომ შევედით, გული სიამით ამიჩქროლდა იმის გამო, რომ დიდი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის სამშობლოში ვიმყოფებოდი, ჩემი აღტაცება მაგრეზსაც გავუზიარე, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, მან ერთი უსინდისოდ შეიგინა მწერლის მისამართით და შეშლილი, სულით ავადმყოფი უწოდა (თუმცა ოსს უყვარს ყაზბეგი, მაგრეზს რომ ჰყვარებოდა?).

თბილისში ჩასვლისას მამამ სამსახურის საქმეები მალევე მოითავა, მერე კი ჩვენს თანამემამულეებს მივაკითხეთ პანკისის ხეობაში, სადაც რამდენიმე დიდი სოფელია ჩეჩნებისა.

კარგად მოვილხინეთ, გულთბილად მიგვიღეს ჩვენმა თანამემამულეებმა, პურ-მარილის გარდა ჩვენს პატივსაცემად მოაწყეს სპორტული შეჯიბრი ცხენების მარულაში, ტყვიის სროლაში, კრივში და სხვა. კვეხნას ჰგავს, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ შეჯიბრის ყველა სახეობაში მაყურებელთა ქება და მოწონება დავიმსახურე. სამწუხაროდ, მაგრეზმა ვერ გაამართლა იმედები, ცხენმა გადმოაგდო და შერცხვენილმა დასტოვა სპორტული ასპარეზი.

მარცხის გულისათვის უხუცესებმა გაჰქირდეს იგი, ვაჟკაცობა დაუძრახეს, რამაც ცუდად იმოქმედა მის განწყობილებაზე. მაინც კარგად მოვილხინეთ, რა ვიცოდი მე საცოდავმა, რომ ეს იქნებოდა ჩემთვის ბოლო დღე ბედნიერებისა, ამის შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ უბედურება დამყვებოდა მუდმივ თანამგზავრად ცხოვრებაში.

მესამე დღეს დავემშვიდობეთ კეთილ მასპინძლებს და თიანეთზე გავლით კვლავ საქართველოს სამხედრო გზას დავადექით. გუდაურში რომ ავედით, გზა გადაკეტილი დაგვხვდა, რაღაც ავარია მომხდარიყო, ამ ამბავმა საგრძნობლად შეგვაგვიანა, ყაზბეგში რომ ჩავედით, უკვე მზე ჩასული იყო.

ჯვარიახის ხიდთან მისულებს ორი შეიარაღებული კაცი გადაგვიდგა გზაზე და მანქანის გაჩერება გვანიშნეს, მამამ გააჩერა მანქანა. შეიარაღებულთაგან ერთი კვლავ გზაზე გაჩერდა, მეორემ კი მძღოლის მხარეს მოუარა მანქანას, მამაჩემთან მივიდა და მიესალმა:

— სალამ ალეიქუმ.

— ვა ალეიქუმ სალამ, — უპასუხა მამამ.

— ნოხჩი ვუი ხო? (ჩეჩენი ხარ?) — ჰკითხა მომხდურმა.

— სო ნოხჩი ვუ (დიახ, ჩეჩენი ვარ) — უპასუხა მამამ.

— ხო სტენგა ვოლუშ ვუ? (საიდან მოდიხარ?)

— გურჟეხარა იოდუ სო (საქართველოდან)

— ხო სტენგა ვიოდუ? (სად მიდიხარ?)

— სო გროზნე ვიოდუ (გროზნოში).

დამხდური მეტს აღარ გამოჰკიდებია, გზაზე ჩამომდგარ შეიარაღებულ პირს ხელით ანიშნა წამოდიო, მან კი ორჯერ ფრთხილად დაისტვინა. საპასუხოდ გზის ორივე მხრიდან კიდევ რამდენიმე შეიარაღებული მამაკაცი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრე გვერდიდან

# რას გვიქადის მეექვსე კლასის „სომხეთის ისტორიის" სახელმძღვანელო?

იყო გამიზნული. ამ ნაწარმოების ანტისომხური ხასიათი განპირობებულია არა მარტო ქართულ-სომხური ეკლესიების დაპირისპირებით, არამედ იმითაც, რომ ქართველ მეფე-მთავართათვის მიუღებელი იყო სომხეთის გავლენის გავრცელება საქართველოს რომელიმე მხარეში. მეექვსე კლასის „სომხეთის ისტორიაში" კი საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს, ქართველები კმაყოფილნი იყვნენ, თუ სომეხი მეფე-მთავრები საქართველოსთვისაც იზრუნებდნენ, თავიანთი მფარველობის კალთას გადააფარებდნენ მას.

ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობის შესახებ მეექვსე კლასის სახელმძღვანელოში (მასში შეტანილია პარაგრაფი — „სომხური ეკლესია V-XI საუკუნეებში") ვკითხულობთ: „ამიერკავკასიის ხალხთა სარწმუნოებრივი ერთობა დაირღვა მხოლოდ VIIსაუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართული ეკლესია გამოეყო სომხურს და შეუერთდა ბიზანტიურს" (გვ. 38). სომხებისაგან განსხვავებით, ქართველებს, ქართულ ეკლესიას, დამოუკიდებლად არსებობის უნარი თურმე არ შესწევდათ, ან სომხებისათვის უნდა ეთხოვათ პატრონობა, ან ბიზანტიელებისათვის. VII ს-ის სომეხი მემატიანის, სებეოსის ცნობით კი, იგივე საუკუნის დასაწყისში სპარსეთის შაჰინ შაჰს, ხოსროს გამოუცია ბრძანება: „ყველა ჩემმა ქვეშევრდომმა ქრისტიანმა უნდა მიიღოს სომხური სარწმუნოება". ამ მოთხოვნას უყენებდნენ სპარსელები ქართველებსაც, რომლებისთვისაც მიუღებელი იყო სპარსეთის ბატონობაც და მათ მიერ მოწონებული სომხური სარწმუნოებაც. ეს მოწონება განპირობა იმან, რომ სპარსეთი ამით ცდილობდა ფეხი ამოეკვეთინებინა ბიზანტიისათვის სომხეთიდან. იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაში საქართველომ ამჯობინა თავიდან მოეშორებინა სპარსეთის ბატონობის უღელი და მის მიერ დაძალებული სომხური სარწმუნოებაც თუნდაც ბიზანტიასთან მოკავშირეობის შედეგად.

გარკვეული მიზეზების გამო XI ს-ის შუა ხანებში სომხეთში დაეცა, მოსპობილ იქნა სომხური სახელმწიფოებრიობა. სომეხთა საკათოლიკოსოც სომხეთის საზღვრებს გარეთ იქნა გადატანილი. ამ ქვეყანაში ფეხი მოიკიდეს, გაბატონდნენ მაჰმადიანი, თურქ-სელჩუკი დამპყრობლები. ეს მეტად საშიში მოვლენა იყო არა მარტო სომხეთისთვის, არამედ საქართველოსთვისაც. ჩვენს ქვეყანას მშვიდობა, მოსვენება არ ეღირსებოდა, თუ მაჰმადიანები, თურქ-სელჩუკები სომხეთს გაიხდიდნენ საყრდენად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლებში. ამიტომ დავით აღმაშენებელმა მიზნად დაისახა სომხეთიც გაეწმინდა თურქ-სელჩუკებისაგან, მათი ძალებისაგან. ამას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა და ქართველებსაც თავი არ დაუზოგავთ ამ ბრძოლებში. „სომხეთის ისტორიის" მეექვსე კლასის სახელმძღვანელოში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს, საქართველოს სახელმწიფოს დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ, 1125 წლიდან XII ს-ის ბოლომდე არაფერი გაუკეთებია სომხეთის გასათავისუფლებლად (გვ. 49-50). სინამდვილეში დემეტრე I-ის და გიორგი III-ის მეფობის ჟამსაც ქართველი ერი თავდაუზოგავად იბრძოდა სომხეთიდან დამპყრობთა განსადევნად. 1162 წელს, როდესაც გიორგი III-მ აიღო სომხეთის ქალაქი დვინი, თბილისში გადმოასვენა ადრე აქ ბრძოლის ველზე დაცემული ქართველი მეომრების ნეშტები. საერთოდ, ვინ მოთვლის რამდენი ქართველის სიცოცხლე შეეწირა სომხეთიდან თურქ-სელჩუკთა განდევნის საქმეს.

სომხეთის გათავისუფლებას კი თვით სომხები თხოვდნენ ქართველებს.

სახელმძღვანელოში მეტისმეტად განდიდებული არიან მხარგრძელები, ე.წ. სომეხი ზაქარიანები. XIIIს-ის სომეხი მემატიანეები აცხადებენ, რომ მხარგრძელები ეროვნებით იყვნენ „ქურდნი". ალბათ, ნაგულისხმევია მათი ქურთობა. გამოთქმულია ისეთი მოსაზრებაც, რომ მხარგრძელები წარმოშობილნი იყვნენ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ქურდთა ტომისაგან. VI კლასის „სომხეთის ისტორიაში" არის ასეთი პარაგრაფი — „სომხეთი ზაქარიანების ეპოქაში" (გვ.51), გამოთქმები — „ზაქარიანთა მბრძანებლობის ეპოქა" (გვ.52), ზაქარიანთა ეპოქაში სომხური არქიტექტურა კვლავაც დაწინაურდაო (გვ.83) და ა.შ. შესაბამისად, დაკნინებულია საქართველოს როლი. სომხეთის XI-XIII ს.ს.-ის რუკაზეც სომხეთის საზღვარი მოტანილია თითქმის თბილისამდე, მაშინ, როდესაც საქართველოს საზღვრები არაქსამდე ვრცელდებოდა. მხარგრძელებიც ერთგული მოხელეები იყვნენ საქართველოს მეფეებისა. სხვაგვარად ისინიც ისევე დაისჯებოდნენ, როგორც ქართველები, ორბელები და სხვებიც. სომხეთის შემომტკიცებას საქართველოსთან, მის გაწმენდას დამპყრობთაგან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ჩვენი მეფეები მხარგრძელთა ერთგულებას აფასებდნენ კიდეც, წყალობას არ აკლებდნენ მათ (იხ. შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979). ერთი სომხური „სახარების" 1214 წ. ანდერძში ნათქვამია: დაიწერა „...ქართველთა მეფის, ლაშას ხელმწიფობის ჟამს, რომელიც ფლობდა ტფილისს, ანისს, აგრეთვე სომეხთა, ალანთა და ალბანელთა ადრინდელ ხელისუფალთა მრავალ სხვა ქალაქს". როგორც ვხედავთ, სომეხთა იმდროინდელი დედაქალაქი ანისი და სომხეთის სხვა ქალაქები ისევეა გამოცხადებული ლაშა გიორგის (და არა მხარგრძელების) სამფლობელოს ნაწილად, როგორც თბილისი. სახელმძღვანელოდან კი ისე გამოდის, რომ თამარ მეფის დროს სომხეთი კი არ ყოფილა საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში, არამედ საქართველო წარმოადგენდა თურმე „ზაქარიანთა სომხეთის" ნაწილს.

სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ სომხეთი თანდათან იცლებოდა სომხური მოსახლეობისაგან. XVI ს-ის პირველ ნახევარში სომეხი ლტოლვილები მიაწყდნენო „საქართველოს სახელმწიფოს სომხურ ოლქებს" (გვ.88). იქვე გუგარქ, ე.ი. ქვემო ქართლი გამოცხადებულია XVI ს-ის სომხეთის ორგანულ ნაწილად და საინტერესოა კიდევ რომელი სომხური ოლქები, მხარეები ჰქონდა მიტაცებული XVI-ში იმ დროისთვის უკვე დასუსტებულ საქართველოს? აქ კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, თითქოს, დღევანდელი საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი სომხური მიწა-წყალია.

მეხუთე-მეექვსე კლასების „სომხეთის ისტორიის" სახელმძღვანელოებში საქართველოს წარსულის გაუკუღმართებული წარმოდგენა მიზნად ისახავს, შთააგონონ სომეხ ბავშვებს, რომ მათი ვალია მოემზადონ ქართველებისგან, თითქოს, მიტაცებული სომხური მიწა-წყლის დასაბრუნებლად. 1921 წ. ლორე-ტაშირის სომხეთისთვის „დაბრუნებას" ახალი ნაბიჯები უნდა მოყვესო. წინ, საქართველოსაკენ, თბილისისაკენ, მეექვსეკლასელო სომხებო (აქ მრავლად მოგეგებებიან თქვენი თანამეტომენიც, ზოგნი ისტორიის ინსტიტუტის, თოფჩიშვილის მიერ ქართულად გვარგადაკეთებულნიც)! მეათე-მეთერთმეტე კლასელებს, ალბათ, უფრო ომახიანად მოუწოდებენ აქეთკენ! ჯერჯერობით არ მქონდა პატივი მათი სახელმძღვანელოების გაცნობისა.

**მინაწერი:** 17 ივნისის „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილია საინფორმაციო ხასიათის წერილი: „კონკურსი ერევნის სკოლაში — „რა ვიცი საქართველოს შესახებ". კონკურსი მოწყობილია ერთ-ერთი ახალგაზრდული ასოციაციისა და სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თაოსნობით. კონკურსის სათავეებთან მდგარან საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე და მისი მეუღლე, ქ-ნი ნ. შევარდნაძე. 8 ივნისს ლაურეატთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად ერევანში ჩასულა საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე ვ. სანაძე. საგანგებოდ აღუნიშნავთ, რომ კონკურსს დიდი მხარდაჭერა და ფინანსური დახმარება გაუწია საქართველოს ელჩმა სომხეთში ნ. ნიკოლოზიშვილმა.

როგორც „სომხეთის ისტორიის" V და VI კლასების სახელმძღვანელოების მიმოხილვიდან დავინახეთ, სომეხ ბავშვებს საქართველოს შესახებ ასწავლიან, რომ საქართველო და ქართული კულტურა სომხეთისა და სომხური კულტურის დანამატი ყოფილა. ერევანში ზეიმების მოწყობას აჯობებდა საქართველოს ხელისუფლებას სერიოზულად ეზრუნა, რათა ხსენებულ სახელმძღვანელოებში გაყალბებული, დაკნინებული არ იყოს საქართველოს გმირული წარსული. როგორც ჩანს, სომხეთში, კერძოდ, ერევნის ერთ-ერთ სკოლაში ცდილობენ, საშუალო სკოლიდანვე აღზარდონ მომავალი ქართველოლოგები. საქართველოში იმას მაინც მივაღწიოთ, რომ მოქმედ ქართველ არმენოლოგებს არ დევნიდნენ, არ ავიწროებდნენ, ხოლო სომხეთში საქართველოს საელჩომ საჭირო სომხური ლიტერატურა მიაწოდოს მათ.

მეცხრე გვერდიდან

# შეხვედრა აბრაგებთან

გამოჩნდა, ყველანი მანქანაში ამოვიდნენ და მამას სოფელ შალხის მიმართულებით წასვლა უბრძანეს, შეიარაღებულ ხალხს წინააღმდეგობას ხომ ვერ გაუწევდა, მამაც იძულებული გახდა, დამორჩილებოდა მოძალადეთა ბრძანებას.

კარგა ხანს გვატარეს ოღრო-ჩოღრო გზით, ბოლოს ერთ მივარდნილ ადგილას გაგვაჩერეს და მამას შუქების ჩაქრობა უბრძანეს. ისიც უთხრეს: აქედან, დანიშნულ ადგილას საჭირო ტვირთი უნდა გადავიტანოთო, პასუხს აღარ დაელოდნენ. ორი შეიარაღებული პირი მანქანაში დატოვეს, დანარჩენები ღამის სიბნელეში გაუჩინარდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მანქანაში რაღაც შეფუთული ბარგი ჩატვირთეს, ორი ავადმყოფიც მოიყვანეს (დაჭრილები ჩანდნენ), ყველანი ავტობუსში მოთავსდნენ და მათგან ერთმა, რომელიც ამ ხალხში უფროსობდა, მამას მანქანის დაძვრა უბრძანა. თვითონვე ითავა მეგზურობაც. დაახლოებით ერთ საათს ვიარეთ მივარდნილ ადგილებში, ბოლოს ერთ ადგილას გაგვაჩერეს და მანქანიდან ბარგი ჩამოტვირთეს, ავადმყოფებიც ჩაიყვანეს, მე და მაგრეზი გაგვაფრთხილეს, მომხდარი ამბის შესახებ კრინტი არსად დაგვეძრა, თორემ ამით მძღოლს ხათაბალაში გავხვევდით. ამის შემდეგ მამას მადლობა გადაუხადეს მომსახურებისათვის და უბრძანეს, რომ სასწრაფოდ გასცლოდა აქაურობას.

ასე დავცილდით დაუპატიჟებელ სტუმრებს. მამა ძალზე აღელვებული ჩანდა, ხმას აღარ იღებდა, ეტყობოდა, გული რაღაც ცუდს უგრძნობდა, შალხზე შემოვლა არ ისურვა, უკანვე შემოაბრუნა მანქანა და კვლავ სამხედრო გზას გავუყევით. ის იყო დარიალის ხეობა გავიარეთ და ვლადიკავკაზამდე დიდი მანძილი აღარ იყო დარჩენილი, რომ მანქანის ძრავამ რამდენჯერმე რაღაც საეჭვოდ ამოიფრუტუნა და ბოლოს სულ დადუმდა.

— ეგლა გვაკლდა, — გაბრაზებულმა წამოიძახა მამამ, მანქანიდან დაბლა ჩამოვიდა, ძრავას ხუფი ახადა, შუქი ჩართო და მიზეზს დაუწყო ძებნა. საკმაო ხანი დასჭირდა მანქანის შეკეთებას, ბოლოს, როგორც იქნა, ადგილიდან დავიძარით, ვლადიკავკაზში რომ ჩავედით, გათენებული იყო, მანქანაში მყოფნი ყველანი უხასიათოდ ვიყავით, ეს გასაგებიცაა, ამდენი ხელის მოცარვა და ზედაც მთელი ღამის უძილობა არცთუ იოლი გადასატანია ცოცხალი ადამიანისათვის.

მხედრობაში ხელმოცარული და განბილებული მაგრეზი პანკისიდანვე გაჯავრებული წამოვიდა, თითქოს შეშურდა ჩემი სიჩაუქე, ამრეზილი მიყურებდა მთელი მგზავრობის მანძილზე. ზიზღით მელაპარაკებოდა. ვლადიკავკაზში რომ ჩავედით, რაღაც მოიმიზეზა, დაგვცილდა, — ასე თქვა: — რაღაც გადაუდებელი საქმეები მაქვს და როგორც კი მოვითავებ, მოზდოკამდე მატარებელს დავემგზავრებიო. მამა ძალზე უხასიათოდ იყო და აღარ დაუყინა, დარჩიო, ისე კი გააფრთხილა, წუხანდელ შემთხვევასთან დაკავშირებით კრინტი არსად დაეძრა.

ვლადიკავკაზს რომ გავცდით, მამამ ჩრდილში შეაყენა მანქანა და ცოტა ხანს წავიძინეთ, მერე კვლავ გავაგრძელეთ გზა. მთელი ამ მგზავრობის მანძილზე ორჯერ თუ სამჯერ გამომელაპარაკა მამაჩემი, ალბათ, გული თუ უგრძნობდა, რომ წუხანდელი ამბავი აბრაგებთან შეხვედრისა უკვალოდ არ ჩაივლიდა.

კომუნისტებს ისეთი მურტალი ყნოსვა აქვთ, რომ მიწის ქვეშ ვერაფერს გამოაპარებ, მიწის ზემოთ ხომ დაგეშილი ძაღლებივით დასუნსულებენ მათი აგენტები.

სახლში მისულებს დედამ იმდენი სითბო და სიყვარული დაგვახვედრა, რომ სულ მალე გადაგვავიწყდა ჩვენი უგუნებობის მიზეზები. მომქანცველმა მგზავრობამ და მთელი ღამის უძილობამ თავისი გაიტანა და იმ საღამოს ადრე დავწექით დასაძინებლად. მე მეორე სართულზე ვიძინებდი ჩემთვის განკუთვნილ ოთახში.

ალბათ, შუაღამე გადასული იქნებოდა, რომ ვიღაცამ გამაღვიძა უხეში შენჯღრევით, თვალები გავახილე, თავზე ორი მილიციელი დამდგომოდა. სასწრაფოდ ადგომა და ჩაცმა მიბრძანეს. აზრზე ვერ მოვსულიყავი, თუ რა ხდებოდა ჩემს თავს, ვინ რას მეტყოდა ან სად იყვნენ ჩემი მშობლები და საერთოდ, როგორ შემოვიდნენ სახლში ეს დაუპატიჟებელი სტუმრები.

საწოლიდან წამოვდექი და როგორც კი ტანსაცმლის ჩაცმას მოვრჩი, წინ გამიგდეს, დაბლა ჩამოსული სახლშიც აღარ შემიშვეს და ქუჩაში გასასვლელი ჭიშკრისკენ მიბიძგეს.

საბრალო დედა, მოულოდნელი უბედურობით ელდანაცემი, აქვითინებული, ხელებგაშლილი გამოქანდა ჩემსკენ, მაგრამ ხელით უბიძგეს და არ მოუშვეს ჩემამდე. სიზმარში მეგონა თავი, ვერ წარმომედგინა, თუ რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ. მილიციელებმა ჭიშკრის გარეთ გამომიყვანეს. აქ იდგა რაღაც გადახურული მანქანა, მის ერთ-ერთ სათავსოში შემაგდეს და ცხვირწინ მომიკეტეს კარი.

ბნელოდა, ვერაფერს ვერ ვხედავდი, საშინლად დაბნეული ვიყავი, რა უნდა მექნა, არ ვიცოდი.

— იუსუფ, შენც მოგიყვანეს, შვილო? — მომესმა მამაჩემის ხმა ტიხარს მიღმიდან.

— ხო, მამა, რა მოხდა. რა უნდათ ჩვენგან? — შევეკითხე მე, მაგრამ ბადრაგებმა სასტიკად გაგვაფრთხილეს, ხმა აღარ ამოგვეღო, ასე რომ, ჩემი კითხვა უპასუხოდ დარჩა.

მის შემდეგ მამაჩემისთვის თვალი აღარ დამიკრავს, მე კი იმდენი მტანჯეს და მაწამეს მილიციის განყოფილებაში, კინაღამ ჭკუაზე შევიშალე. მეკითხებოდნენ ერთსა და იმავეს, თუ სად, ან რა პირობებში შევხვდით შეიარაღებულ ხალხს, ან რა სახის მომსახურება გაუწია მათ მამაჩემმა.

ყველაფერზე უარს ვამბობდი, მსგავსი შემთხვევის შესახებ არაფერი ვიცი-მეთქი. ლაპარაკით რომ ვერაფერს გახდნენ, ხელთ ბორკილი დამადეს და ასე მცემეს, სანამ გრძნობას დავკარგავდი, მაგრამ არც ასე გამოუვიდათ არაფერი, მერე ქალაქის ციხეში გადამგზავნეს და მთელი კვირა ისე გავიდა, რომ ჩემთვის არავის მოუკითხავს. ერთი კვირის შემდეგ კვლავ გამიყვანეს დაკითხვაზე. იქვე ციხის ადმინისტრაციის კორპუსში, აქ ვიღაც უცხო პიროვნება დამხვდა, მან მითხრა, რომ ჩემთვის გამომძიებელი შეუცვლიათ და პირადად მისთვის გადაუციათ ჩემი საქმე გამოსაძიებლად. მანვე მირჩია, დაუფარავად მეღიარებინა ყოველივე, რაზეც შელავათები გამივრცელდებოდა, თუ არა, კაცს დამაყენებდა პირზე და ასე დამიმტკიცებდა დანაშაულს. ვიფიქრე, განა ვინ უნდა დამაპირისპიროს იმისთანა, რომ ეგ ამბავი დამიმტკიცონ-მეთქი, აბა, რას წარმოვიდგენდი, თუ იუდას ნაშიერი მაგრეზი ასე უსინდისოდ გასთელავდა ჩემი მშობლების ამაგს და დასალუპად გაიმეტებდა ჩვენს ოჯახს.

მეორე დღეს კვლავ გამიყვანეს გამომძიებელთან, ოღონდ სპეცოთახში, აქ მაგიდაც და სკამებიც მილურსმული იყო იატაკზე, რათა რომელიმე თავმობეზრებულ პატიმარს არ ესარგებლა და გამომძიებლისათვის ან სხვა პირისთვის თავში არ ჩაერტყა.

ოთახში შესულს, ჩემი გამომძიებელი ადგილზე დამხვდა. გუშაგი (ზედამხედველი) დაითხოვა, მე კი გამაფრთხილა, რომ დამაპირისპირებდა მაგრეზ იბრაჰიმის ძე ხუგაევთან, ოღონდ არავითარი ზედმეტი ლაპარაკის უფლება არა მქონდა, თვითონ გამომძიებელს უნდა მოეცა შეკითხვები. ჩვენ მხოლოდ პასუხი უნდა გაგვეცა დასმულ კითხვებზე. ეს პასუხები კი ორივეს უნდა მოგვესმინა, რომ ამით ჩემი სიჯიუტე გატეხილიყო.

მე ასე ვივარაუდე: შესაძლოა მაგრეზიც ჩემსავით ეჭვების ნიადაგზე დააპატიმრეს, რაღაც წამოაცდინეს და ახლა მე უნდა დამაპირისპირონმეთქი.

ასე, წინასწარი გაფრთხილების შემდეგ, გამომძიებელმა ზედამხედველს რაღაც ანიშნა, ისიც გაბრუნდა და რამდენიმე წამში ოთახში მაგრეზი შემოვიდა. არავითარი პატიმრობისა და ძალადობის კვალი მას არ ემჩნეოდა. არც შემომხედა. გამომძიებელს თავის დაკვრით მიესალმა და ადგილზე გაჩერდა. გამომძიებელმა რაღაც ანიშნა და მაგრეზი ჩემგან ზურგშექცევით ერთ-ერთ სკამზე დაჯდა.

გამომძიებელმა საწერკალამი მოიმარჯვა, მერე მაგრეზს გვარი, სახელი და მამის სახელი ჰკითხა, მაგრეზმა უპასუხა, ახლა დაბადების წელი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი, ოჯახური მდგომარეობა და მისთანანი ამოჰკითხა, ჩაიწერა ყოველივე და ამის შემდეგ ხელი მოაწერინა იმ ქაღალდზე, თანაც გააფრთხილა, რომ მხოლოდ სიმართლეს იტყოდა, ხოლო თუ შეცდომაში შეიყვანდა გამოძიებას, ამის გულისთვის დაისჯებოდა. მერე პაუზა გააკეთა გამომძიებელმა და კვლავ მაგრეზს მიმართა:

— აბა, ხუგაევ, რა შეგიძლიათ გვიამბოთ იმის შესახებ, თუ რა შეგემთხვათ ა.წ. (1939წ.) 27 ივნისს იმ დროს, როდესაც საქართველოდან ბრუნდებოდით, ვის შეხვდით, ან როგორ შეხვდით იმ საღამოს, და რა მომსახურება გაუწიეთ? ყოველივე მოყევით გარკვეულად. ერთი იცოდეთ, რომ გამოძიებას სულ უმნიშვნელო წვრილმანებიც აინტერესებს.

ყურებს არ ვუჯერებდი, როდესაც ამ იუდამ გუდას პირი მოხსნა და დაწვრილებით ყველაფერი ჩამოკაკლა, რაც იმ დღეს გადაგვხდა, რაღა თქმა უნდა, ძირითადში აბრაგებთან შეხვედრის ამბავს ჰყვებოდა. მან ისიც

გაგრძელება მე-14 გვერდზე

# კიდევ ნი ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი!



**დიმა დუგლაძე.** როგორი ლამაზი ცხოვრებითაც ცხოვრობ, ასევე ლამაზად და კეთილხმოვნად ჟღერს შენი გვარ-სახელიც!..

ჩვენო დიმა! შენ დიდი გულის, დიდი სიხარულისა და დიდი ტკივილების კაცი ხარ!..

ვიცი, არ გიყვარს თალხი ფერები, გახსენებაც არ გეპიტნავება სევდისა და წუხილისა, მაგრამ ისიც ხომ ვიცი, კარგა ხანია, ულელში ცალად შებმული დარჩი და არ ინდომე ტოლის დადება, შვილებისა და შვილიშვილების ხათრით!..

ჰოდა, ჩვენში, სხვათა შორის, კაცობა ამითაც იზომება!..

შენ შესანიშნავი ქართველი ფალავნის, უნიჭიერესი ქირურგის, უდროოდ დაღუპული დათო დუგლაძის ალალ ძმას, ასევე ალალად და ამაყად გეთქმის, რომ დიდ ძმას დიდი ძმობა გაუწიე! თქვენი ოჯახები განუყოფელია!..

ხშირად დავფიქრებულვარ შენს სვე-ბედზე და აშკარად დავრწმუნებულვარ გენიოსი პოეტის სიბრძნეში: „კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!"

შენ მაინც ბედნიერი მამა ხარ იმით, რომ შენს ყაიდაზე გამოზარდე ოთხივე შვილი: მშვენიერი სტომატოლოგი მარიკა და სამი ბოკვერი: ზაზა, დათო და გიორგი. შრომის მადლს ბავშვობიდანვე აზიარე ოთხივენი და დღეს, ბევრმა, ვინძლო, არც იცოდეს, რომ დღესაც, წარმოებით ესოდენ დაკავებულ კაცს, ხშირად გხედავენ იმერეთში, მამაპაპისეულ მამულში, შენს ბიჭებთან ერთად მოფუსფუსეს.

არა მგონია, დღევანდელ ქართულ ბიზნესში მოიძიებოდეს კიდევ სხვა, ვისაც შენზე მეტად შესტკიოდეს გული ჩვენი ბედკრული ქვეყნის დღევანდელობაზე!..

ბიზნესი ვახსენე და აქვე დავსძენ: პარიზში გამართულ კონკურსში გომის სპირტის ქარხნის ნაწარმმა, არაყმა "გომმა" ევროგაერთიანების ქვეყნების ბაზარზე რეალიზაციის სერთიფიკატი დაიმსახურა!..

კიდევ მრავალი წარმატებით გაგეხარებინოს შენი დიდი ოჯახი, მრავალრიცხოვანი მეგობრები და შენი სამშობლო, მართლაც რომ ერთი შეხვედრით შესაყვარებელო კაცურო კაცო!

გილოცავ დღევანდელ დღეს! სამოც გაზაფხულს ხომ სამოცი ზაფხული, სამოცი შემოდგომა და ამდენივე ზამთარი უნდა მოჰყვეს! ჰოდა, იცოცხლე!

**გიზო ზარნაძე**

# ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ეკონომიკური პროგრამა

(პროექტი)

## შესავალი

საქართველოში შექმნილია ძალზე რთული ეკონომიკური ვითარება, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირს ეკონომიკური სიდუხჭირის მიზეზად მიაჩნია ის, რომ სადღეისოდ საქართველოში ფაქტიურად არ არსებობს ეკონომიკური რეფორმების განსაზღვრული მიმართულებები, არ არის დადგენილი ეკონომიკური პრიორიტეტები, გადასადგმელი ნაბიჯების თანმიმდევრული, მწყობრი გეგმა და სახელმწიფოს ეკონომიკური მოწყობის ზოგადი მოდელი.

ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ფერხდება ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმა და გულგატეხილი მოსახლეობა სულ უფრო მზარდ გაღიზიანებას ავლენს რეფორმების მიმართ საერთოდ.

ხელისუფლება ეკონომიკის სფეროში თავის მოქმედებათა გასამართლებლად ხშირად მიუთითებს დამაიმედებელ ციფრებზე. ამასთან დაკავშირებით გვსურს ეკონომიკის საერთაშორისო ექსპერტის, ფრანცისკო ვერგარას ციტატა მოვიყვანოთ: (1998 წ.) „საქართველომ მეორე წელია შეძლო შეენარჩუნებინა დაახლოებით 11%-იანი ზრდა. თუმცა ეს ზრდა მოხდა მას შემდეგ, რაც სერიოზულმა პრობლემებმა წარმოების დონე მეოთხედამდე შეამცირა". აქვე მოგვყავს ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ცხადს გახდის შექმნილ ვითარებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარების გეგმის მიხედვით 1999 და 2000 წლების საშუალო წლიური ზრდა დაახლოებით 8% უნდა ყოფილიყო, თუმცა, ალბათ, ამ შედეგების მიღწევა უკვე შეუძლებელია და 4%-იანი ზრდითაც უნდა დავკმაყოფილდეთ. იმავდროულად ძალზე სწრაფად იზრდება საგარეო დავალიანება, რამაც, რამდენიმე წელიწადში, შესაძლოა, სახელმწიფოს გაკოტრება გამოიწვიოს. საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების იმედი კი, სულ უფრო და უფრო ნაკლებია. უბრალო ანგარიშითაც ცხადია, რომ ამ ტემპებით ზრდის შემთხვევაშიც 2013 წელს, შეიძლება 1989 წლის დონეს მივუახლოვდეთ (24 წლის შემდეგ!). ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ესტონეთთან, ბელორუსთან და მოლდოვასთან ერთად, ერთ-ერთი მოწინავეა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში 1989-95 წლებში სრული ეროვნული პროდუქტი 23%-მდე შემცირდა (იგივე პერიოდში ესტონეთში — 70%-მდე, ბელორუსში — 67%-მდე; მოლდოვაში — 46%-მდე), ასეთი უარყოფითი მაჩვენებელი, საბჭოთა კავშირის არეალის გარეთაც კი არც ერთ სახელმწიფოს არ გააჩნია. ამ მხრივ საქართველოს მონაცემებს (წლიური — -17,5%) ერთადერთი ტაჯიკეთი უახლოვდება (წლიური — -15,6%), სადაც უკვე მერამდენე წელია, ბრძოლები მიმდინარეობს. შედარებისათვის მოვიყვანთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების 1989-95 წლების საშუალო წლიური ზრდის ტემპის მონაცემებს: ესტონეთი — -5,1%, ლატვია — -8,8%, ლიტვა — -12,2%, ბელორუსი — -5,9%, რუსეთი — -7,6%, უკრაინა — -11,8%, მოლდოვა — -13,7%, სომხეთი — -8,7%, აზერბაიჯანი — -13,1%, ყაზახეთი — -6,8%, თურქმენეთი — +0,4%, უზბეკეთი — -2,8%, ყირგიზეთი — -7,7%. აქვე უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალას მომსახურეობის სფერო წარმოადგენს, რომელიც, ერთის მხრივ, ამ სფეროში არსებული პოტენციალის ნაწილის „გამოლევიძების" და, მეორე მხრივ, საგარეო ფაქტორის ხარჯზე განვითარდა. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ შესაძლებლობა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ზრდის ტემპი. წარმოების პოტენციალი არსებულზე მინიმუმ ასოცი პროცენტით მეტის საშუალებას იძლევა. პოტენციალის ასამოქმედებლად პირველ რიგში, აუცილებელი იქნება, სახელმწიფო და კერძო სექტორში, მმართველი კადრების კვალიფიკაციის ამაღლება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რასაც სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი.

უკვე თითქმის ათი წელია, რაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ქვეყანაში კაპიტალიზმის თითქმის არც ერთი მთავარი ნიშან-თვისება არ არის ჩამოყალიბებული, ხოლო რაც სახეზე გვაქვს, მთლიანად დამახინჯებულია. ამასთან, სახელმწიფო ხშირად ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომელიც დაძაბული სიტუაციის დროებით განმუხტვას იწვევს, მაგრამ ამ ქმედების შედეგები ახლო მომავალში, შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს. ამის მიზეზი იქნება: ალებული და გაფლანგული კრედიტები, საწარმოების უსისტემო პრივატიზება სრული არაორგანიზებულობისა და ადგილობრივი კაპიტალის არარსებობის პირობებში; ე. წ. „ვაუჩერების" უაზროდ გამოშვება, ლარის კურსის არასწორი რეგულირება და სხვა. აქვე უნდა ითქვას იმ კონკრეტული რეფორმების შესახებ, რომლებიც არასწორად გატარდნენ და მოსახლეობაში სერიოზულად შეარყიეს ნდობა რეფორმებისადმი (რეფორმები განათლების, ჯანდაცვის, ენერგეტიკის სფეროში). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი სამომავლო ეკონომიკური მოდელი და მისი ხორცშესხმისთვის საჭირო ნაბიჯები ოპტიმალური თანმიმდევრობით უნდა გადაიდგას. თანაც ამ ნაბიჯებმა ერთმანეთს ხელი არ უნდა შეუშალოს.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი წარმოადგენს პროექტს, სადაც განსაზღვრულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების გეგმა. ამ პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში დადებით შედეგებს მოსახლეობა ორ წელიწადში იგრძნობს. დაახლოებით ოთხ-ხუთ წელიწადში კაპიტალიზმისათვის დასახასიათებელი ყველა ნიშანი სწორი ფორმით დაინერგება და მოსახლეობის დიდი ნაწილი საშუალო ფენის წარმომადგენელი გახდება. ამ დროისათვის ცხოვრების საშუალო დონე 1985 წლის დონეს მიაღწევს და გადააჭარბებს კიდეც. მაქსიმუმ ექვს წელიწადში განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ყველა ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბდება: ძლიერი ბანკები, მაღალი დონის საკომუნიკაციო საშუალებები (აშენებული ცენტრალური ავტოსტრადა, საკომუნიკაციო პირდაპირი კავშირი ევროპის ქვეყნებთან, თითქმის სრულყოფილი ენერგეტიკული სისტემა), ძლიერი სადაზღვევო კომპანიები, ბირჟები და სხვა. დაახლოებით ცხრა-თერთმეტ წელიწადში სახელმწიფო შეძლებს განვითარებული ქვეყნების სიაში შესვლას, ხოლო თორმეტ-თხუთმეტ წელიწადში საქართველო დააკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც ევროპის გაერთიანების სრულუფლებიანი წევრობისთვისაა აუცილებელი. ამისათვის მრავალი სირთულე იქნება დასაძლევი და მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი საგარეო დავალიანებაა.

პროექტის ძირითადი ეტაპებია: მიწის რეფორმა, საგადასახადო მექანიზმის შეცვლა, სახელმწიფო სტრუქტურული ცვლილებები, საქართველოს განვითარების ბანკის, დაზღვევისა და გადაზღვევის სახელმწიფო კომპანიის შექმნა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქვეყნის განვითარების ძირითადი საფუძველია მოსახლეობისა და კომერციული სტრუქტურების ფინანსური კეთილდღეობა.

### 1. მიწის რეფორმა

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი საქართველოს ეკონომიკის განვითარების უმთავრეს მამოძრავებელ ძალად მიწის სრულუფლებიან საკუთრებას აღიარებს. ამასთან, მიგვაჩნია, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის მინიმუმ ნახევარი მაინც საქართველოს მოსახლეობის საკუთრებას უნდა წარმოადგენდეს. მიწა უფასოდ უნდა დაურიგდეს ყოველ მოქალაქეს. მოსახლეობისათვის მიწის გადაცემა უნდა მოხდეს ყოველგვარი დიფერენციაციის გარეშე და საქართველოს ყოველ მოქალაქეს უნდა გადაეცეს თანაბარი ღირებულების მიწა.

მოსახლეობისათვის მიწის კერძო მფლობელობაში გადაცემის მექანიზმი ასეთი უნდა იყოს: სახელმწიფო ინდექსაციის წესით განსაზღვრავს მიწის მიახლოებით ღირებულებას და საქართველოს ყველა მოქალაქეს საკუთრებაში გადასცემს მეტ-ნაკლებად სასურველ ადგილზე მდებარე მიწის ფართს მასზე ყოველგვარი უფლებით. არასრულწლოვანი ბავშვისათვის გადაცემული მიწის გაყიდვა უნდა აიკრძალოს მის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე. მანამდე ყველა უფლება გაყიდვის გარდა, უნდა გადაეცეს მშობელს (მეურვეს). მიწის გადაცემის შემდეგ ყოველ მოქალაქეს ექნება გარკვეული რეალური კაპიტალი, რომლის სრული განმკარგველიც თავად იქნება. შემდეგ ეტაპზე პრივატიზებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი მიწები და მათი კერძო საკუთრებაში გადასვლა უნდა მოხდეს განვითარების ბანკის მეშვეობით. ამასთან, ხელი უნდა შეეწყოს სასოფლო ამხანაგობების და სააქციონერო ფერმების შექმნას, რომლებსაც ეს მიწები ლიზინგით გადაეცემათ და კერძო ბანკების გავლით მათ განვითარების ბანკიდან გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი კრედიტებიც მიეცემათ.

მიწის კერძო სექტორში უსასყიდლოდ გადაცემისა და პრივატიზაციის შემდეგ ხელი უნდა შეეწყოს მიწის მეორადი ბაზრის შექმნას. თუკი მოსახლეობას ურჩევნია მიიღოს მიწის ფულადი კომპენსაცია, მაშინ განვითარების ბანკი შეისყიდის მიწას შეფასებული თანხის ოთხმოცდაათ პროცენტად და შემდეგ ლიზინგის წესით გაყიდის მას. ეს მექანიზმი ხელს შეუწყობს მიწაზე ფასის შენარჩუნებას, რამდენადაც ასე სწრაფად მიწის კერძო სექტორში გადასვლამ შესაძლოა გამოიწვიოს მისი ღირებულების დაცემა.

ქტკ-ს მიაჩნია, რომ მიწის მესაკუთრე შეიძლება იყოს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, განურჩევლად კერძო პირის ეროვნებისა და იურიდიული პირის უცხოური კაპიტალის წილისა. ეს მექანიზმი დააინტერესებს ადგილობრივ და უცხოურ კაპიტალს, რაც გამოიწვევს საქართველოს საადგილმამულო ბანკებში სახსრების მოზიდვას და განავითარებს სასოფლო საკრედიტო სისტემას. მიწის რეალური ღირებულების არსებობის გამო, კერძო საკუთრებაში მიწის გადაცემა გამოიწვევს კერძო სამეურნეო დაბალპროცენტიანი გრძელვადიანი კრედიტების მექანიზმის ამოქმედებას, ამის გარანტი სწორედ კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწები იქნება.

### 2. საგადასახადო რეფორმა

საგადასახადო რეფორმა აუცილებელ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს და მას თან უნდა ახლდეს სახელმწიფო სტრუქტურის ცვლილებები. საგადასახადო სისტემის ცვლილებებს რამდენიმე ძირითადი შინაარსობრივი მახასიათებელი გააჩნია:

1. საგადასახადო განაკვეთის ცვლილება.
2. გადასახადების მიზნობრიობა.
3. სტრუქტურული ცვლილებები საგადასახადო სისტემაში.
4. ეკონომიკაში თავისუფალი კონკურენციის პირობების შექმნა.

სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის ერთ-ერთ ძირითად კონფლიქტურ პუნქტს საგადასახადო განაკვეთების სიდიდე წარმოადგენს. ამას ორი მიზეზი აქვს: 1. იგი იწვევს საქონელსა და მომსახურეობაზე ფასების ზრდას, 2. ჩვენს პირობებში ეწინააღმდეგება თავისუფალი კონკურენციის ჩამოყალიბებას. ამასთან, არ არსებობს ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის გადასახადი და რას ემსახურება იგი. დღევანდელ საქართველოში გადასახადები მხოლოდ ბიუჯეტის გაზრდასა და გაბერილი სახელმწიფო სტრუქტურების შენახვას ემსახურება, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ესა თუ ის სახელმწიფო სტრუქტურა მოსახლეობისათვის აუცილებელი.

თავისუფალი კონკურენციის ძირითადი ნიშანია ეკონომიკური სუბიექტების თანაბარ პირობებში ჩაყენება. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ მაღალი გადასახადების პირობებში ბევრი ეკონომიკური სუბიექტი ნებისმიერი საშუალებით ცდილობს გადასახადების თავიდან აცილებას. ამის მიზეზებია — არასრულყოფილი საგადასახადო სისტემა და გადასახადების არამიზნობრივი ხარჯვა. თუმცა მრავალი ისეთი სუბიექტიც არსებობს, რომელიც გადასახადის დიდ ნაწილს იხდის. საბოლოოდ, მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია იმ მცირე ნაწილს, რომელიც გადასახადებს არ იხდის და საგადასახადო თუ სხვა სახელმწიფო სტრუქტურაზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია. ეს კი ძირეულად ეწინააღმდეგება ეკონომიკაში თავისუფალი კონკურენციის პრინციპს.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი მიიჩნევს, რომ გადასახადების შემცირება ეკონომიკის სწრაფი განვითარების უმთავრესი პირობაა.

გადასახადების სიდიდე მოსახლეობის ცხოვრების დონესა და კერძო კომერციული სტრუქტურების სიძლიერეზე უკუპროპორციულად მოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად საპირისპიროს ამტკიცებენ, საქართველოში საკმაოდ მაღალი გადასახადებია. შესადარებლად ჩვეულებრივ ზოგიერთი განვითარებული ქვეყნისა და რუსეთის მაგალითები მოჰყავთ. საჭიროდ ვთვლით გადასახადებთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების მაგალითები მოვიყვანოთ. ესპანეთში 1985 წელს შემოიღეს დამატებითი ღირებულების გადასახადი 12%-იანი განაკვეთით (და პრეფერენციული დღგ 6% მომსახურების გარკვეულ სახეობებსა და საკვებ პროდუქტებზე). ეს მაშინ, როცა ესპანეთის სრული შიდა პროდუქტი 1985 წ. ერთ სულ მოსახლეზე, მსყიდველობით უნარიანობის მიხედვით, 8061 დოლარი იყო. ტაილანდში დღგ 7%-იდან 10%-მდე მხოლოდ 1997 წელს გაიზარდა, როდესაც მსყიდველუნარიანობის მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 6700 დოლარს შეადგენდა. საქართველოში კი მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველუნარიანობის მიხედვით, წელიწადში 1800 ლარია, ვალუტის კურსის მიხედვით, დაახლოებით 850 დოლარი, ხოლო დღგ 20%. როგორც საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, გადასახადების შემცირება გაზრდის გადახდის წილობრივ მაჩვენებელს და მკვეთრად შეამცირებს კორუფციას.

მიგვაჩნია, რომ საგადასახადო განაკვეთებმა უნდა მიიღოს შემდეგი სახე:

დამატებითი ღირებულების გადასახადი განაკვეთი — 10%.

დღგ-ს განაკვეთი პრივილეგირებული საქონლისა და მომსახურებისათვის 4-8%.

საბაჟო გადასახადის განაკვეთი 7%.

საშემოსავლო გადასახადი 8%.

აქციზები საწვავზე (სვადასხვა საწვავის მიხედვით) 50-75%.

აქციზები ალკოჰოლურ სასმელებზე (ღვინის გარდა) 40-100%.

აქციზები თამბაქოზე 60-65%.

ყოველ ამ გადასახადს განსაზღვრული შინაარსი და მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, აქციზს საწვავზე პიროვნება იმიტომ იხდის, რომ იგი მოძრაობს სატრანსპორტო საშუალებით და მას გამართული გზები ესაჭიროება. ამ გადასახადს მეორე მხარეც აქვს: საწვავზე ფასის გაზრდის გამო, პიროვნება ეცდება შეიძინოს გამართული სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც ნაკლები საწვავი სჭირდება და ეცდება, ნაკლებად დამაბინძურებელი საწვავი გამოიყენოს (რადგან, აქციზებში დიფერენციაცია სწორედ ამ კრიტერიუმის მიხედვით იქნება). ეს საცხოვრებელ უბნებს და ბუნებას ნაკლებად დააბინძურებს. იმდენად, რამდენადაც ალკოჰოლი და თამბაქო ჯანმრთელობისათვის მავნეა, ამ გადასახადების საშუალებით მათი მოხმარება შემცირდება. ხოლო მიღებული შემოსავლები ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროს მოხმარდება. დამატებითი ღირებულების გადასახადს პიროვნება იმიტომ იხდის, რომ თავისი არჩეული სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლება შეინახოს (ეს არის პირდაპირი გადასახადი, რომელიც ემატება საქონლის ღირებულებას და შესაბამისად ზრდის ფასებს, ანუ ამცირებს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას და კეთილდღეობას. ამდენად მას სინამდვილეში პიროვნება (მყიდველი) იხდის და ეს ყველასათვის ნათელი უნდა იყოს). საშემოსავლო გადასახადს და მოგების გადასახადს ფიზიკური თუ იურიდიული პირი იმის გამო იხდის, რომ თვითონ და მისი ეკონომიკური დოვლათი დაცული იყოს. ამასთან მიიღოს დახმარება აღმზრდელობით საქმიანობაში და მეცნიერულ წინსვლაში. საბაჟო გადასახადის ძირითადი დანიშნულება არის პროტექციონიზმი ანუ იმპორტულ საქონელზე ფასების გაზრდა. ეს კი შესაბამის საქონელზე მოთხოვნის და, ამდენად, იმპორტის შემცირებას იწვევს.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი პროტექციონიზმის კატეგორიული წინააღმდეგია. კარგად არის ცნობილი, მისი უარყოფითი შედეგები (არა მხოლოდ იმპორტულ, არამედ ადგილობრივ საქონელზეც ფასების მნიშვნელოვანი ზრდა და საზოგადოების კეთილდღეობის შემცირება). საბაჟო გადასახადი მკვეთრად უნდა შემცირდეს და მომავალში გაქრეს. მიღებული საბაჟო გადასახადი კი უნდა მოხმარდეს ადგილობრივი წარმოების განვითარებას. ეს თავის მხრივ მკვეთრად გაზრდის ექსპორტს.

ამგვარი ლიბერალური გადასახადების არსებობის პირობებში სახელმწიფო რეალურად აამოქმედებს გადასახადის აკრეფის ყველა მექანიზმს. მით უმეტეს, რომ იგი მთლიანად მოსახლეობისა და კერძო სექტორის კეთილდღეობასა და გაჯანსაღებას მოხმარდება. ამასთან უნდა შეიქმნას ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ერთი ამკრეფი და მეორე მაკონტროლებელი ორგანო. ამ მიზნით ცენტრალური ხაზინა უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო გადასახადების ერთადერთ ამკრეფ ორგანოდ, რომელსაც ყველა რაიონსა და მხარეში წარმომადგენლობა ექნება და გადასახადებსა და შესაბამის დოკუმენტაციას მიიღებს. გადასახადების ნაწილის ამოღება პერიოდულად წელიწადში რამდენჯერმე უნდა მოხდეს, ხოლო საბუთების ჩაბარება და საბოლოო ანგარიშსწორება კი ყოველწლიურად, ისე, როგორც ეს ყველა განვითარებულ ქვეყანაშია მიღებული.

ამ ორგანიზაციისაგან დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს ცენტრალური სახელმწიფო-მაკონტროლებელი ორგანო — საგადასახადო ინსპექცია, რომელიც ადგილზე მხოლოდ გადასახადების გადახდის სისწორეს შეამოწმებს. საჭიროა შესამოწმებელთა სია ობიექტური მექანიზმით შედგეს. მათი ერთი მესამედი ძველ დამრღვევებს, მეორე მესამედი საეჭვო გადამხდელებსა და ახლადშექმნილ ორგანიზაციებს, მესამე მესამედი კი ყველა სხვა დაწესებულებებს შორის უნდა შეირჩეს. ამასთან, შემოწმებული ორგანიზაციების რაოდენობა დღევანდელთან შედარებით ოთხ-ხუთჯერ უნდა შემცირდეს, ხოლო სანქციები მიახლოებით ორ-სამჯერ გაიზარდოს.

რეფორმის დაწყებისთანავე უნდა ამოქმედდეს ყოველწლიური საყოველთაო დეკლარაციების სისტემა. ამისთვის, თავდაპირველად, თავდაპირველად, საქართველოს მოქალაქეებმა სახელმწიფო ხაზინაში უნდა წარადგინონ პირადი ქონების დეკლარაცია. ეს არის ეფექტური მექანიზმი კორუფციასთან საბრძოლველად.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური რეფორმის გატარების შემთხვევაში სახელმწიფოს სრული შემოსავალი შემდეგ სახეს მიიღებს:

შემოსავლის ნაწილის სრული რეზერვი:

დამატებითი ღირებულების გადასახადი 495000000 დოლარი

მათ შორის: სოფლის მეურნეობა (5%) 90000000

მრეწველობა და მშენებლობა (11%) 120000000

მომსახურეობა (8%) 183000000

დღგ იმპორტულ საქონელზე (11%) 102000000

საბაჟო გადასახადი 75000000 დოლარი

მოგების გადასახადი 180000000 დოლარი

საშემოსავლო გადასახადი 200000000 დოლარი

აქციზები 165000000 დოლარი

სულ სხვა შემოსავლების გარეშე 1115000000 დოლარი

თუ რეზერვების 75% იქნება ამოღებული, შემოსავლების ნაწილი შეადგენს — 836250000 დოლარს, მათ შორის ადგილობრივ ბიუჯეტში (დღგ-ს, მოგების და საშემოსავლო გადასახადების 26% ამოღებული 75%-დან) — 170625500 დოლარს, ხოლო ცენტრალურში — 665625000 დოლარს. შესაბამისად, ბიუჯეტის შემოსავალი დაახლოებით 665625000 დოლარი იქნება.

მთელი რიგი სტრუქტურების ცენტრალიზაციის გამო (პოლიცია, განათლება, საგადასახადო სისტემა და სხვა), მხარეებსა და ცენტრს შორის გადასახადების გადანაწილება შემდეგ სახეს მიიღებს: დღგ-ს, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის 26% ადგილობრივ ბიუჯეტში მოხვდება. ამ შემოსავლის ნახევარი ანუ 13% გადანაწილდება გადასახადების ამოღების პროპორციულად, ხოლო მეორე ნახევარი მოსახლეობის რაოდენობის, ტერიტორიის სიდიდისა და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. ეს სისტემა თავიდან აგვაცილებს ეკონომიკურ დისბალანსს მხარეებს შორის.

რაც შეეხება სხვა გადასახადებს (საკუთრების, მიწის და ა. შ.) ისინი მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა გადაირიცხონ. გადასახადი უნდა გადაიხადოს ყველამ. პრივილეგირებულ დღგ-ს პრიორიტეტული

გაგრძელება მე-12 გვერდზე

# ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ეკონომიკური პროგრამა

სფეროები გადაიხდიან: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ტრანსპორტი, ფარმაცევტული წარმოება და სხვა.

### 3. საბანკო სისტემა

ჩვენს მიერ წარმოდგენილი რეფორმების ქვაკუთხედს საქართველოს განვითარების ბანკის შექმნა წარმოადგენს. ბანკის შექმნა რამდენიმე მიზანს ისახავს, მათ შორის: პრივატიზაციის პროცესის სწორ მართვას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებას, საბანკო სისტემის გამართვას, ეროვნული ვალუტის გაძლიერებას, ინვესტიციების მოზიდვას.

ბანკს საქართველოს ხელისუფლება შექმნის და მისი აქციების სრული მესაკუთრე თავდაპირველად სწორედ სახელმწიფო იქნება. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, დამატებითი აქციების გამოშვებისა და საწესდებო კაპიტალის გაზრდის მეშვეობით, აგრეთვე ობლიგაციებისა და ფასიანი ქაღალდების ემისიის მექანიზმით, მისი საბრუნავი სახსრების ნახევარში ადგილობრივი თუ უცხოური კერძო კომპანიები მიიღებენ მონაწილეობას. თავდაპირველად ბანკის საწესდებო კაპიტალი დაახლოებით ერთ მილიარდ დოლარს უნდა შეადგენდეს. რომელსაც სახელმწიფო პირველი ხუთი-ექვსი წლის მანძილზე შეავსებს. ბანკს საწესდებო კაპიტალში ეტაპობრივად გადაეცემა: საპრივატიზაციო ობიექტები, ფულადი სახსრები, სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სხვადასხვა კომპანიებისა და ორგანიზაციების აქციების ნაწილი. ბანკი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მიიღებს დაახლოებით ოთხმოც მილიონ დოლარს. იგი მიიღებს აგრეთვე დაახლოებით ასი მილიონი დოლარის საკუთრებას საპრივატიზაციო ობიექტების სახით და დაახლოებით ათი მილიონი დოლარის წილს სახელმწიფოს ხელთ არსებული აქციებიდან.

ბანკის მოღვაწეობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონალური განვითარების ბანკების ანალოგიური იქნება. ის გასცემს მიზნობრივ კრედიტებს დაბალი საპროცენტო განაკვეთით, განვადებით გაყიდის საპრივატიზაციო ობიექტებს (ლიზინგი). გამოუშვებს ობლიგაციებს, ფასიან ქაღალდებს და ასე შემდეგ.

ბანკი დაიწყებს პრივატიზაციის პროცესს და მესაკუთრეებთან ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე მის მსვლელობას სრულად გააკონტროლებს. ამასთან, ბანკი მოიზიდავს სახსრებს ამ საქმიანობისათვის სხვადასხვა საერთაშორისო მსხვილი ორგანიზაციებიდან, საერთაშორისო განვითარების ბანკებიდან და მსხვილი საფინანსო კომპანიებიდან.

პრივატიზაციის პროცესის მექანიზმი შემდეგი იქნება: იმ პრიორიტეტების მიხედვით, რომელსაც სახელმწიფო განსაზღვრავს ბანკი დაბალი საპროცენტო განაკვეთით, გრძელი ვადით, მოახდენს ამა თუ იმ დაწესებულების (ქარხნის, სოფლის მეურნეობის ობიექტის, მცირე საწარმოს და სხვა) ლიზინგს. პრივატიზებულ ობიექტებს პირველ ეტაპზე მიეცემათ გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი კრედიტები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პოტენციურ ექსპორტიორებს. განვითარების ბანკი კომერციული ბანკების გაძლიერებასაც შეუწყობს ხელს. ლიზინგი და საბანკო ოპერაციები კომერციული ბანკების მეშვეობით გატარდება. განვითარების ბანკი თვალყურს ადევნებს გამოყოფილი კრედიტების მიზნობრივ გამოყენებას.

განვითარების ბანკი ხელს შეუწყობს აგრეთვე საპრივატიზაციო ობიექტების აქციონირებას. ამასთან განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტების შესაბამისად, ბანკი მსგავს დახმარებას სხვა კერძო ორგანიზაციებსაც გაუწევს, განსაკუთრებით საექსპორტო წარმოებისა და მომსახურების სფეროში.

ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ბანკი კრედიტებს ეროვნულ ვალუტაში გასცემს და საპრივატიზაციო ობიექტების ლიზინგიც ეროვნულ ვალუტაში მოხდება. საპროცენტო განაკვეთი პირდაპირ ეროვნულ ვალუტაში დაიანგარიშება, რაც საქართველოს ეკონომიკას გააჯანსაღებს და გააძლიერებს მის დამოუკიდებლობას. ამას გარდა, ბანკი გარანტირებული ობლიგაციების გამოშვებას დაიწყებს, რომელიც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისაგან დამოუკიდებელი იქნება. კომერციულ ბანკებს უფლება ექნებათ საწესდებო კაპიტალის და სარეზერვო სახსრების ნაწილი განვითარების ბანკის ობლიგაციებში დააბანდონ. ეკონომიკური გაძლიერებისა და ეროვნული ვალუტის სიმყარის ხელის შესაწყობად, განვითარების ბანკი სხვადასხვა ვალდებულებების, მათ შორის ფიუჩერსებისა და ოფციონების გამოშვებას დაიწყებს. ეს მექანიზმი ეროვნული ვალუტის მნიშვნელობას კიდევ უფრო გაზრდის და ხელს შეუწყობს იმას, რომ ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებამ ინფლაციაზე და სხვადასხვა საქონლის ადგილობრივ ფასებზე მინიმალურად იმოქმედოს (როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდება).

განვითარების ბანკის შექმნას სახელმწიფოსათვის სხვა დამატებითი მნიშვნელობაც გააჩნია. ბანკის მეშვეობით სახელმწიფო მოახდენს საგარეო დავალიანების რესტრუქტურიზაციას, შემდეგ კი — დაფარვას. ასევე სახელმწიფო ბანკებში დაკარგული ანაბრების ინდექსაციას და ბოლო ეტაპზე მის სრულ დაფარვას.

განვითარების ბანკის ბაზაზე შეიქმნება რისკების განსაზღვრის სამსახური. რისკების განსაზღვრის სამსახური როგორც საკუთარი და დამოუკიდებელი აუდიტების მეშვეობით, ისე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, პერიოდულად განსაზღვრავს სხვადასხვა ორგანიზაციების სანდოობის დონეს, რომელსაც სხვადასხვა ინდექსების მეშვეობით გამოავლენს. ეს სერიოზულად შეუწყობს ხელს საქართველოს კომპანიების გამჭირვალობის საერთაშორისო სტანდარტებამდე მიყვანას. რისკების განსაზღვრის სამსახურს, როგორც განვითარების ბანკის, ისე კერძო სტრუქტურისთვისაც დიდი მნიშვნელობა ექნება.

განვითარების ბანკისა და რისკების განსაზღვრის სამსახურის გვერდით აუცილებლად მიგვაჩნია დაზღვევისა და გადაზღვევის სახელმწიფო კომპანიის შექმნა, რომლის მეშვეობითაც მოხდება მსხვილი სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება. ის სხვა კომპანიებს კი არ გაუწევს კონკურენციას, არამედ, პირიქით, მათ განვითარებას შეუწყობს ხელს. მისი ძირითადი კლიენტები იქნებიან: განვითარების ბანკის მსხვილი კრედიტორები, სადაზღვევო კომპანიები და კომერციული ბანკები. დაზღვევისა და გადაზღვევის კომპანიის საწესდებო კაპიტალი დაახლოებით ორმოცი მილიონ დოლარს უნდა შეადგენდეს. მისი საქმიანობის სფერო იქნება: ბანკების გაკოტრებისგან დაზღვევა, დეპოზიტებისა და ანგარიშების დაზღვევა, სადაზღვევო კომპანიების სტიქიებისა და მასიური უბედურებებისაგან გადაზღვევა, კომერციული დაზღვევები მსხვილი ორგანიზაციებისათვის, საექსპორტო და საიმპორტო ხელშეკრულებების დაზღვევები სხვადასხვა საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიებთან ერთად და ა. შ.

დაზღვევისა და გადაზღვევის სახელმწიფო კომპანიის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა ბანკების მაქსიმალური დაზღვევა იქნება. ბანკებთან დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, იგი, ძირითადად რისკების განსაზღვრის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, პერიოდულად შეამოწმებს შესაბამისი ბანკის მუშაობას. სადაზღვევო გასამრჯელო, რა თქმა უნდა, რისკის დონის მიხედვით განისაზღვრება და მას ბანკი გადაიხდის. ამასთან ერთად, სადაზღვევო კომპანია ბანკის ყველა კლიენტის ანგარიშს ან დეპოზიტს განსაზღვრულ მაქსიმალურ სიდიდემდე დააზღვევს (თუ მეანაბრემ ბანკის მეშვეობით არ მოითხოვა მისი სრული დაზღვევა). აგრეთვე, ბანკები ვალდებულნი იქნებიან, ყველა ემისირებული ფასიანი ქაღალდი დააზღვიონ, ხოლო ბანკის მიერ კრედიტების სახით გაცემული სახსრების დაზღვევა კერძო სადაზღვევო კომპანიების მეშვეობით მოხდება. ამასთან, ბანკების დაზღვევა ნებაყოფლობითი იქნება. ყველა დაზღვეულ ბანკს მიეცემა სერტიფიკატი და პერიოდულად გამოქვეყნდება მათი სია. ყველა ბანკი ვალდებული იქნება საანგარიშსწორებო და საანაბრო ხელშეკრულებებში დაზღვევის დონე აღნიშნოს. ამის შედეგად ის ბანკები, რომლებიც გადაზღვეულები არ იქნებიან, კლიენტებს დაკარგავენ. ამიტომ, ყველა ბანკი ეცდება მინიმალურად მაინც დაეზღვიოს.

ეკონომიკის სტაბილიზაციის მისაღწევად აუცილებელია საბანკო სფეროს მოწესრიგება და განვითარება. ამისათვის საჭირო გახდება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება. მათ შორის: ბანკების გაძლიერება და რისკის შემცირება, საბანკო სფეროში ფულის მასის გაზრდა, ეროვნული ვალუტის გაძლიერება, მისი საპროცენტო განაკვეთის შემცირება და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბანკების გადაზღვევა არის საბანკო სისტემის სტაბილურობის მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი. ბანკს უფლება უნდა ჰქონდეს, სარეზერვო სახსრების ნაწილი განვითარების ბანკის ობლიგაციების გარდა სხვა განვითარებული ქვეყნის სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში დააბანდოს. ეს ქმედება, ბანკების მოგებას ჯამში საგრძნობლად გაზრდის.

მსხვილი ბანკების ჩამოყალიბების მიზნით, ხელი უნდა შეეწყოს ბანკების გაერთიანებისა და საბანკო ასოციაციების შექმნას, რისთვისაც, ამ მსხვილ ორგანიზაციებს პრივილეგიები უნდა მიენიჭოთ. მათ უნდა მიეცეთ ახალი საბანკო პროდუქტის შექმნის უფლება (საპენსიო და სხვადასხვა ფონდები, მუდმივ და ცვალებადგანაკვეთიანი გარკვეული ტიპის ფასიანი ქაღალდები და სხვა.). ამასთან ხელი უნდა შეეწყოს ბანკების ბაზაზე სადაზღვევო კომპანიების შექმნას, რაც თავად ბანკს გაცემული კრედიტების რისკს მაქსიმალურად ააცილებს თავიდან.

ახლა შევეხოთ სავალდებულო საბანკო ოპერაციებს. ყოველი პირი, ვისაც რაიმე სახის შემოსავალი გააჩნია (ხელფასი, პენსია თუ სხვა), განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ვალდებული იქნება კუთვნილი თანხა ბანკების მეშვეობით მიიღოს. თავად ბანკები ამ სახის გადარიცხვების თუ ფულადი მოძრაობისათვის, საკომისიო განაკვეთს არ აიღებენ. ამასთან, ყველა კომუნალური თუ სხვა სახის გადასახადის გადახდა მხოლოდ ბანკების მეშვეობით მოხდება. მოსახლეობისათვის ხელის შეწყობის მიზნით, ამ გადასახადების საკუთარი ანგარიშიდან ავტომატური მოხსნის სისტემა უნდა შემოვიღოთ. ყველა სახელმწიფო გადასახადის გადახდაც უნაღდო ანგარიშსწორებით მოხდება. სახელმწიფო უნაღდო ანგარიშსწორებას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს. საპენსიო რეფორმის გატარებისას და შემდეგაც, ყველა საპენსიო ფონდი მხოლოდ ბანკების ბაზაზე იარსებებს. საქართველოს განვითარების ბანკიდან გაცემული კრედიტები და სალიზინგო თანხები კერძო ბანკების მეშვეობით გაივლის. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კომერციულ ბანკებში და საერთოდ საბანკო სფეროში თანხების მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევს, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას და საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, ეს თავის მხრივ საგრძნობლად გაზრდის ეკონომიკის ზრდის ტემპს.

ისეთი ნაბიჯები, როგორიცაა ფიუჩერსებისა და ოფციონების გამოშვება, განვითარების ბანკის შექმნა და სხვა, ეროვნული ვალუტისადმი მოსახლეობის რწმენას კიდევ უფრო გაზრდის. ამასთან, ამ ნაბიჯებით ეროვნული ეკონომიკა გარე პროცესებისაგან რეალურად დამოუკიდებელი გახდება და მეზობელი ქვეყნების ეკონომიკის მერყეობა საქართველოს მოსახლეობისათვის ნაკლებად საგრძნობი იქნება.

აუცილებლად მიგვაჩნია საბანკო საქმიანობის ნორმატიული დარეგულირება (მაგალითად, საპროცენტო განაკვეთების, მინიმალური და მაქსიმალური საკომისიო გადასახადების განსაზღვრა საბაზრო პირობების გათვალისწინებით). ამასთან ერთად, სახელმწიფოც და განვითარების ბანკიც მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებას. ამ სფეროში კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისაობაში მოვა. სახელმწიფო დააწესებს კონტროლს ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე და გამომშვებ ორგანიზაციებს დაავალდებულებს დააზღვიონ ისინი.

ადგილობრივი ინვესტიციების გაზრდის მიზნით, მოსახლეობას შეძენილი ფასიანი ქაღალდების ღირებულების შესაბამისად უნდა შეუმცირდეს გადასახადი. ეს დიდი სტიმული გახდება მოსახლეობისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობის მისაღებად. ამ მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია მსხვილი ბირჟის შექმნა, სადაც ყველა მნიშვნელოვანი გარიგება მოხდება. მასში ყველა აკრედიტებულ ბროკერს ექნება მონაწილეობის მიღების უფლება (ბანკებს, მსხვილ ორგანიზაციებს და სხვა), ხოლო მოსახლეობა და სხვა სუბიექტები მონაწილეობას ძირითადად ბანკების მეშვეობით მიიღებენ. აქვე მოხდება ფიუჩერსებისა და ოფციონების ბაზრის ჩამოყალიბებაც. ყველა ფასიანი ქაღალდი და პროდუქტი, რომელიც აქ მოხვდება, შესაბამისი ინსტანციის მიერ აკრედიტებული უნდა იყოს. მასში აქციების სახით მონაწილეობის მიღების უფლება მხოლოდ დაზღვეულ მსხვილ კომპანიებს ექნებათ. ბირჟის ინდექსის მაჩვენებელიც მათი აქციების ფასების მიხედვით შედგება. იმდენად, რამდენადაც თავდაპირველად ბირჟის მოქმედება (მანამდე ფასიანი ქაღალდების არარსებობის გამო), მინიმალური იქნება, სახელმწიფოც და განვითარების ბანკიც მათ საკუთრებაში მყოფ სხვადასხვა აქციებს მხოლოდ ბირჟაზე გაყიდიან. ამ მექანიზმით უნდა მოხდეს აგრეთვე საპრივატიზაციო ობიექტების ნაწილის სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა და მათი წილის პრივატიზება.

### 4. ეკონომიკური პრიორიტეტები

რეფორმების გასატარებლად, საგადასახადო ცვლილებებთან ერთად, საჭიროა ქვეყნის მმართველობის სისტემის სტრუქტურული რეორგანიზაცია. მიღწეული უნდა იქნას რამდენიმე მიზანი: კორუფციის მაქსიმალური შემცირება, სახელმწიფო ორგანიზების მეტი ეფექტიანობა, სოციალური კეთილდღეობის ამაღლება და სხვ.

კორუფციასთან ბრძოლისათვის სამი მიმართულებით უნდა ვიმოძრაოთ. პირველი მიმართულება ხელფასების მომატება და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტრუქტურების რეორგანიზაცია იქნება. საბჭოთა სისტემამ, სადაც ერთადერთ „ბიზნესს" სახელმწიფო თანამდებობა წარმოადგენდა, მოსახლეობის დიდ ნაწილში ჩამოაყალიბა მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ ე. წ. ჩინოვნიკობას მხოლოდ დადებითი როლი აქვს. რეალურად კი ეს ასე არ არის. კორუფციის მთავარი მიზეზია დაბალი ხელფასები და პასუხისმგებლობის არარსებობა. ამიტომ, აუცილებელი იქნება ხელფასების თანამდებობრივ პასუხისმგებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. პირველ ეტაპზე მინიმალური ხელფასი ყველა (სახელმწიფო თუ კერძო) ორგანიზაციისათვის სულ მცირე, საარსებო მინიმუმით უნდა განისაზღვროს (დაახლოებით სამოცი დოლარის ფარგლებში). ეს თეორიულად არსებული ხელფასის ოდენობა უნდა იყოს და სახელმწიფო სტრუქტურაში რეალურად არსებული მინიმალური ხელფასი მასზე დაახლოებით ერთნახევარჯერ მეტს უნდა შეადგენდეს. მაღალი თანამდებობის პირების ხელფასი ყოველთვიურად ოთხასიდან ათას დოლარამდე უნდა განისაზღვროს. შესაბამისად, მათი პასუხისმგებლობაც გაიზრდება.

მეორე მიმართულება სწორი მუშაობის კონტროლი იქნება. სტრუქტურები ერთმანეთზე დამოკიდებული არ უნდა იყოს და მათი ურთიერთშემოწმების მექანიზმი უნდა არსებობდეს.

მესამე მიმართულებას სპეციალური სტრუქტურის ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომლის შუამდგომლობითაც მოხდება სახელმწიფო სახსრების ხარჯვა. ამ ორგანოს პირობითად „აუქციონებისა და ტენდერების სახელმწიფო კომპანია" ვუწოდეთ. მისი ერთადერთი მფლობელი სახელმწიფო იქნება, თუმცა მისი მომსახურების არეალი კერძო სექტორზეც გავრცელდება. ეს კომპანია თვითდაფინანსებაზე იარსებებს და ყოველი ტრანსაქციისათვის გასამრჯელოს მიიღებს. გვსურს აღვნიშნოთ, რომ ეს კომპანია, მაქსიმალურად შეამცირებს კორუფციას. ამასთან, კერძო სექტორში თავისუფალი კონკურენციის შექმნასა და ინფორმაციის სრულ გამჭირვალობას შეუწყობს ხელს. მისი მუშაობის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: ყოველ ორგანიზაციას უფლება ექნება გადასახადის გარეშე განაცხადი შეიტანოს მის მიერ შეთავაზებულ საქონლისა თუ მომსახურების შესახებ (სახეობის, ხარისხისა და ღირებულების დაკონკრეტებით), აგრეთვე, აღნიშნოს მისი საქმიანობის არეალი. ეს მონაცემები საყოველთაო აღრიცხვის სიაში მოხვდება. საქონლის ყიდვის მსურველი, თავის მხრივ, სასურველი პროდუქტის შეძენის შესახებ, იგივე მექანიზმით შეიტანს განაცხადს მცირე და სასწრაფო მიწოდების ან მოთხოვნის შემთხვევაში, იგი სიაში აღრიცხული მონაცემებით დაკმაყოფილდება, ხოლო თუკი ასეთი არ აღმოჩნდება, მაშინ ყველა ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციის ინფორმირება მოხდება, რათა მყიდველმა მათგან შემოთავაზება მიიღოს. დიდი და მნიშვნელოვანი ტრანსაქციის შემთხვევაში (ან თუ ვადა განსაკუთრებული პირობებით შეზღუდული არ არის), მის დასაკმაყოფილებლად მცირე მასშტაბის ტენდერები ან აუქციონები მოეწყობა. შედეგები პერიოდულად გამოქვეყნდება. ამ მექანიზმის ამოქმედების შემდეგ, ყოველი სახელმწიფო დაწესებულება ვალდებული იქნება ძირითადი მოთხოვნები სწორედ ამ სისტემით დაიკმაყოფილოს. ამგვარად, ხარჯები მაქსიმალურად შემცირდება და კერძო ინტერესებისათვის სახელმწიფო სახსრების გამოყენება გართულდება.

სახელმწიფო სტრუქტურების მეტი ეფექტურობის მისაღწევად საჭიროა ურთიერთდამოკიდებული ან მსგავსი სტრუქტურების რეორგანიზაცია და გაერთიანება. ზოგიერთი ორგანო საერთოდ უნდა შეიცვალოს, ზოგი კი ორად უნდა დაიყოს — სახელმწიფო სტრუქტურად და კომპანიად. ეს პროცესი უნდა შეეხოს ისეთ სფეროებს, როგორიცაა კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და ა. შ. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიმართულებად მაქსიმალური განსახელმწიფოებრიობა უნდა იყოს. ამით შემცირდება სახელმწიფო ხარჯები და გაიზრდება წარმოება. ამის მაგალითია ქვეკონტრაქტები სახელმწიფო ნებისმიერი საქმიანობისათვის (მშენებლობა, წარმოება ან მომსახურება), კერძო საწარმოებს „აუქციონებისა და ტენდერების კომპანიის" მეშვეობით დაუდებს ხელშეკრულებებს, რათა მინიმალური დანახარჯებით სასურველ შედეგებს მიაღწიონ. სახელმწიფო დაწესებულებები (ინსტიტუტები, სამშენებლო ტრესტები, ქარხნები) კერძო სტრუქტურაში გადასვლის შემდეგ უფრო ეფექტიანი გახდებიან.

სანამ კერძო სისტემა ენერგეტიკის სფეროში მაღალეფექტიანი გახდება, სახელმწიფო რამდენიმე მიმართულებით იმუშავებს. თავდაპირველად, ენერგიის გამომუშავებაზე შეჩერდებით. აქ, ისევე როგორც მიწოდების სფეროში, სახელმწიფო სრულ თავისუფლებას გამოაცხადებს. სახელმწიფოს თავის საკუთრებაში ექნება ელექტროსადგურების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფო კომპანიის საკუთრება გახდება. ამ კომპანიის ეფექტურობის ამაღლებისა და დამატებითი სახსრების მოზიდვისათვის ქტკ-ს აუცილებლად მიაჩნია მათი ნაწილობრივი აქციონირება, დამატებითი აქციების გამოშვებისა და გაყიდვის ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს კომპანია ნაწილობრივ სახელმწიფო საკუთრებაში იქნება, იგი, ყველა კერძო ელექტროსადგურის მსგავსად, სახელმწიფოს სხვადასხვა გადასახადს გადაუხდის (მდინარეების გამოყენების, ეკოლოგიურ და სხვა). ის გამანაწილებელ კომპანიებს ელექტროენერგიას დადგენილ ფასებში შესთავაზებს. ეს კომპანია, ისე როგორც ყველა კერძო კომპანია, სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად იმოქმედებს და საკუთარი ინტერესების დაცვას ეცდება. იგი ელექტროენერგიას არცერთ გადახდისუუნარო გამანაწილებელ კომპანიას არ მიაწოდებს და კომერციულ პრინციპებზე იმუშავებს.

მიწოდების სფეროშიც სახელმწიფოს საკუთარი კომპანია ექნება, მაგრამ იქნება ბაზრის სრული თავისუფლება (მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობით). ეს კომპანიაც თავისუფალი კონკურენციის პირობებში იარსებებს, დამოუკიდებლად იმუშავებს და ეცდება მაქსიმალური ეფექტი ჰქონდეს. გამანაწილებელი ხაზები სახელმწიფო ენერგოკომპანიის მფლობელობაში დარჩებიან. ეს კომპანია ელექტროენერგიის ტრანზიტისათვის გარკვეულ ტარიფებს დააწესებს, რომელსაც ამ ხაზების მუდმივი გაუმჯობესებისათვის და მომსახურების არეალის მაქსიმალური გაზრდისათვის გამოიყენებს.

მომმარაგებელი ფირმები ნებისმიერ გამომმუშავებელ ფირმასთან ხელშეკრულებებს საკუთარი შეხედულების მიხედვით გააფორმებენ. ამგვარად, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ეს სფერო მაქსიმალურად მოქნილი გახდება. მომხმარებელს, სურვილისამებრ, უფლება ექნება აირჩიოს ნებისმიერი ელექტროენერგიის მომწოდებელი და ყოველთვის შეძლებს შეცვალოს იგი თუ კერძო ფირმის მომსახურებით უკმაყოფილო დარჩება. ამრიგად, ეს სფერო მუდმივ სრულყოფას განიცდის. ამასთან, ყველა კომპანია მომხმარებელს გარკვეულ პირობებს წაუყენებს და მათი შესრულების შესაბამისად დააკმაყოფილებს მოთხოვნას ელექტროენერგიაზე.

კავშირგაბმულობის სისტემაც იგივე პრინციპით იმოქმედებს. იარსებებს ბევრი კომპანია, მომხმარებელს ექნება ერთი უპირატესობა — აბონენტს შეეძლება მომსახურება სხვადასხვა კომპანიისაგან ერთდროულად მიიღოს, იმისდა მიუხედავად, თუ ძირითად მომსახურეობას მას რომელი კომპანია გაუწევს. ამის შედეგად, ჩამოყალიბდება სრულიად თავისუფალი კონკურენცია, და, ეს სფერო ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი გახდება. კერძო კომპანიებს, სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე, უფლება ექნებათ საკუთარი სატელეფონო, (როგორც საქალაქთაშორისო, ასევე საერთაშორისო), ხა-

გაგრძელება მე-13 გვერდზე

# ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ეკონომიკური პროგრამა

ზები გაიყვანონ და ამისათვის სხვა კომპანიების მომსახურებაც გამოიყენონ. საკუთარი ხაზების გაყვანის შემთხვევაში, ისინი ვალდებულნი იქნებიან, სახელმწიფოსთან შეთანხმებული კრიტერიუმებით, სხვა კომპანიებსაც (გარკვეული გასამრჯელოს ფასად) ამ ხაზების ნაწილის გამოყენების უფლება მისცენ.

დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, აგრეთვე ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირს მიაჩნია, რომ პირველ ეტაპზე აუცილებელია თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადება. თამბაქოს კომპანიას რეალიზაციის სფეროში სრული მონოპოლია ექნება და ამ სფეროში ყველა მანამდე მოქმედ ორგანიზაციას უფლება ექნება ამ კომპანიის აქციათა ნაწილი შეისყიდოს დაბალ ფასებში. ეს თანხა თამბაქოს კომპანიის საწესდებო კაპიტალს გაზრდის. მის საკუთრებაში გადავა აგრეთვე ყველა ის სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც ამ სფეროში მოქმედებს. იგი ერთადერთი იმპორტიორიც იქნება. კომპანიის მიერ შეთავაზებულ ყოველ პროდუქტზე ფასები დამოუკიდებლად დადგინდება და შესრულდება სახელმწიფოს ყველა მოთხოვნა. კომპანია ვალდებული იქნება ადგილობრივი ნაწარმის ხარისხი მაქსიმალურად გაზარდოს და შეძლოს საგარეო ბაზარზე გასვლა. ის არ იქნება რეალიზატორი და რეალიზაციისათვის სხვა ორგანიზაციებთან დადებს ხელშეკრულებებს. თამბაქოზე ფასები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ერთი იქნება (როგორც ეს საერთოდ არის მიღებული). ამგვარი კომპანიის შექმნას შემდეგი უპირატესობანი გააჩნია: ხარისხის კონტროლი, გადასახადების სრული გადახდა და, როგორც ადგილობრივი მომხმარების, ისე საგარეო ვაჭრობისათვის, ადგილობრივი წარმოების გაზრდა.

ეკონომიური ზრდის მიზნით და ტრანსპორტის სფეროს გასაუმჯობესებლად აუცილებლად მიგვაჩნია ნაწილობრივ ფასიანი საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც უნდა მოხდეს ერთის მხრივ ბიუჯეტის და საწვავზე აქციზის და მეორეს მხრივ სპეციალური გადასახადების ხარჯზე. ეს არის ეკონომიკური ალმავლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა. ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო პრიორიტეტების გარდა სახელმწიფო უშუალოდ და განვითარების ბანკის მეშვეობით ხელს შეუწყობს ისეთი სფეროების განვითარებას, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ფარმაცევტული წარმოება და სხვა.

### 5. სოციალური სფერო

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირს მიაჩნია, რომ სოციალურ სფეროში სახელმწიფოს უპირველეს ამოცანას სამუშაო საკონტრაქტო ბაზის შექმნა წარმოადგენს. ჩვენის აზრით, პირველ რიგში უნდა არსებობდეს სავალდებულო სამუშაო კონტრაქტები, რომლის გარეშეც არ უნდა მოხდეს სამუშაოზე დაქირავება. აუცილებელია ჩამოყალიბდეს ორი სახის — მუდმივი და დროებითი სამსახურის საკონტრაქტო ბაზა. სახელმწიფომ გადასახადებისა და სხვა მექანიზმების საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს მუდმივ კონტრაქტებს, რაც აუცილებელია სოციალური სფეროს გასაუმჯობესებლად. ამასთან, სამსახურებრივ ხელშეკრულებაში უნდა ჩაიდოს ხელფასების პერიოდული ზრდა მინიმუმ ინფლაციის შესაბამისად. სამუშაო კანონმდებლობაში გათვალისწინებული უნდა იყოს სოციალური დაზღვევა, რომელიც დამქირავებელმა უნდა აიღოს თავის თავზე, თუკი დაქირავებული ამის წინააღმდეგი არ იქნება. აქვე უნდა იქნას განსაზღვრული (რეფორმების გატარების შესაბამისად) საპენსიო და სხვა კერძო სოციალური დაზღვევების მექანიზმი და მათი მინიმალური სიდიდეც.

ჩვენის აზრით, საპენსიო რეფორმა უახლოეს მომავალში უნდა გატარდეს. რეფორმის შედეგად მოქალაქე დამოუკიდებლად შეიქმნის საპენსიო ფონდს (საპენსიო ფონდი არის ფასიანი ქაღალდი, რომელსაც პიროვნება ბანკისაგან იყიდის ყოველთვიური გადახდების მეშვეობით) და პენსიას არა სახელმწიფოსაგან, არამედ ბანკის მეშვეობით მიიღებს. ამ რეფორმის გატარების შემდეგ, სახელმწიფოს არავინ გადაუხდის საპენსიო გადასახადს და დანაზოგი თანხით პიროვნება, სურვილისამებრ, შეძლებს თვითონ შეიქმნას საპენსიო ფონდი. მოქალაქე თვითონ განსაზღვრავს საკუთარი პენსიის ოდენობას და ნებისმიერ დროს შეძლებს მისი რაოდენობის შეცვლას. მოქალაქენი საპენსიო ფონდის გარდა, სხვადასხვა სადაზღვევო ფონდების შექმნასაც შეძლებენ, რაც მოსახლეობის სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი პირობა იქნება. ეს მექანიზმი განვითარებული ქვეყნების უმეტეს ნაწილში მოქმედებს, ხოლო სადაც არ არსებობს, თითქმის ყველგან, მასზე გადასვლის წესი მუშავდება. უკვე ძლიერი ეკონომიკის პირობებში მასზე გადასვლა საკმაოდ რთულია. ამასთან, სიტუაცია ყოველწლიურად რთულდება მოსახლეობის შობადობის შემცირებისა და საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის გამო. ეს იწვევს გადასახადების მომატებას და ამუხრუჭებს ეკონომიკის წინსვლას. ზემოხსენებული პრობლემა იმდენად მტკივნეულია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, რეფორმების გატარების დროს, სოციალურ ნიადაგზე შეტაკებებიც კი ხდება. ისეთი განვითარებული ქვეყანა, როგორიც საფრანგეთია, უკვე მრავალჯერ იძულებული გახდა საპენსიო რეფორმა დროებით შეეწყვიტა, ვინაიდან საპენსიო რეფორმის გატარების დროს, ყოველთვის არსებობს მოსახლეობის ისეთი ფენა, რომელსაც რეფორმის პირობებს შორის ერთი მაინც არ აკმაყოფილებს.

დღევანდელ პირობებში საქართველოში საპენსიო რეფორმის გატარება დიდ სირთულესთან არ იქნება დაკავშირებული. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს რეფორმა სასწრაფოდ უნდა გატარდეს. სხვა შემთხვევაში ყოველი დაკარგული წელიწადი მდგომარეობას გაართულებს და მაშინ, როდესაც ამ რეფორმის გატარება უკვე სავალდებულო იქნება, ქვეყანაში დიდი საზოგადოებრივი დაძაბულობა შეიძლება წარმოიშვას.

თავდაპირველად, საჭირო გახდება საპენსიო ასაკის რამდენიმე წლით გაზრდა. უნდა დადგინდეს მინიმალური პენსიის ოდენობა. რაც პირველ ეტაპზე, ალბათ, არსებულს დიდად ვერ გადააჭარბებს და ყოველთვიურად, დაახლოებით, თორმეტი დოლარი იქნება. დღევანდელი პენსიონერები, აგრეთვე ისინი, ვინც პენსიაზე მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გავლენ, პენსიას ცხოვრების ბოლომდე სახელმწიფოსაგან მიიღებენ. დანარჩენები სახელმწიფოსაგან თანხას მიიღებენ განსაზღვრული კლებადი სკალის მიხედვით. ვინაიდან ისინი საპენსიო ფონდის შექმნას თვითონ შესძლებენ: სულ ხუთი წლის შექმნილი ფონდისგან მიღებული პენსია, ცხადია, მცირე იქნება. ამიტომ ამ კატეგორიის პენსიონერები სახელმწიფოსგან დამატებით დახმარებას მიიღებენ. საპენსიო დახმარებების სკალამ შეიძლება შემდეგი სახე მიიღოს: ვინც ხუთი წლის შემდეგ გავა პენსიაზე, სახელმწიფოსაგან პენსიის ოთხმოც პროცენტს მიიღებს, ვინც ექვსი წლის შემდეგ — სამოც პროცენტს და ა. შ. ამასთან, აუცილებელი იქნება ყოველწლიურად მინიმალური სახელმწიფო პენსიების გაზრდა. ისინი, ვინც ათი წლის შემდეგ გავლენ პენსიაზე, სახელმწიფოსაგან პენსიებს საერთოდ არ მიიღებენ და, შესაბამისად, არც საპენსიო გადასახადს გადაუხდიან მას. მათ უკვე საკუთარი საპენსიო ფონდი ექნებათ.

ეს რეფორმა ქვეყანას, ცხადია, ძვირი დაუჯდება, მაგრამ მისი დღეს გატარება შესაძლებლობას მოგვცემს, ქვეყნის მოქალაქეებმა თვითონ განსაზღვრონ საკუთარი პენსიების სიდიდე და დროულად მიიღონ ისინი. ამასთან, როცა ეს პროცესი დასრულდება, სახელმწიფოს საშუალება ექნება მოსახლეობის სხვა ფენებს დაეხმაროს. ამ რეფორმის დასაწყებად, საჭირო გახდება საბანკო საქმიანობის მოწესრიგება.

უმუშევართათვის დახმარების გაცემა ცივილიზებული ცხოვრების ერთ-ერთი ნიშანია. გადასაწყვეტი მხოლოდ ის არის, თუ რა რაოდენობის დახმარებას მიიღებენ უმუშევრები და რა დროის განმავლობაში, რათა ძალიან არ გაუჭირდეთ და სამუშაოს ძებნის ენთუზიაზმიც არ დაკარგონ. შეგვიძლია ავიღოთ ისეთი განსხვავებული ქვეყნების მაგალითი, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები, ან — საფრანგეთი, ჩვენის აზრით ყველაზე მიზანშეწონილია ამ პრობლემისადმი მათი მიდგომის გასაშუალება (როგორც უმეტეს ქვეყანაში ხდება). დახმარებას უმუშევარი გარკვეული დროის განმავლობაში იღებს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი წელი იმუშავა მოქალაქემ და რა ხელფასი ჰქონდა მას. პიროვნება დახმარებას სამუშაო დაწესებულებაში სოციალური უზრუნველყოფის გადასახადის პროპორციულად მიიღებს. დახმარების პერიოდი საშუალოდ ოთხიდან ექვს თვემდე უნდა გაგრძელდეს. სახელმწიფომ უმუშევრობის შემცირებას საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე სხვაგვარადაც უნდა შეუწყოს ხელი. უნდა დაცული იქნეს მშრომელთა უფლებები, ჩამოყალიბდეს სამუშაოს საკონტრაქტო ბაზა (როგორც ეს ყველა ქვეყანაშია მიღებული), და უპირატესობა მიენიჭოს მუდმივ კონტრაქტებს. რეფორმების პირველ ეტაპზე, არ არსებობს უმუშევართა ზუსტი აღრიცხვა. ამიტომ უნდა შევიმუშავოთ ზოგადი მოდელი. საჭიროა განისაზღვროს უმუშევართა საშუალო დახმარება, რომელიც თავიდან შეიძლება მინიმალური ხელფასის სამოცდაათი პროცენტი იყოს და მისი გაცემის მაქსიმალური ვადა პირველ ეტაპზე, ოთხი თვით განისაზღვროს. სამსახურის შეთავაზებას აღრიცხავს დასაქმების სამინისტრო (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში) და მათ უმუშევრებს შესთავაზებს. თუ უმუშევარი სამუშაოზე უარს იტყვის, მას დახმარება მოეხსნება, რამდენადაც პიროვნება ნებაყოფლობით უმუშევართა კატეგორიას მიეკუთვნება. ეს მექანიზმი უმუშევართა პირობებს გააუმჯობესებს და მათ მინიმალურ საარსებო წყაროს მისცემს. პერიოდულად უნდა მოხდეს სახელმწიფო დახმარებების რაოდენობისა და ხანგრძლივობის ზრდა. შემდეგ ეტაპზე აუცილებლად მივიჩნევთ უმუშევართა დახმარების კერძო სოციალური სადაზღვევო მექანიზმის შემოღებას. ეს დამქირავებლის ხარჯზე უნდა მოხდეს.

ახლა განვიხილოთ ჯანდაცვის სფერო და რეფორმების მიმართულებები ამ სფეროში. დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე, რთული იქნება იმ დონის სამედიცინო სისტემის ჩამოყალიბება, როგორიც ყველა განვითარებულ ქვეყანაშია მიღებული, ან თუნდაც როგორც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენს მიერ შემოთავაზებული რეფორმების დაწყებიდან ოთხი წლის შემდეგ, ყველა მოქალაქე თითქმის სრულად იქნება დაზღვეული. სამედიცინო რეფორმა ეკონომიკური რეფორმების ერთიან კურსს უნდა შეესაბამებოდეს. აუცილებელი გახდება ორი მიმართულებით მოქმედება: 1. ყველა მოქალაქე თავიდანვე მინიმალურად მაინც უნდა იყოს დაზღვეული; 2. სიღარიბის ზღვარზე მყოფი ფენა მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ იარსებებს ყველა მოქალაქის მინიმალური დაცვის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ პიროვნებას შეეძლება დაავადების მკურნალობა. ამისათვის სახელმწიფომ საკუთარი სადაზღვევო კომპანია უნდა შექმნას და იმავდროულად, კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების ჩამოყალიბებასაც შეუწყოს ხელი.

როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფომ უნდა შექმნას მექანიზმი, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქე მინიმალურად დაზღვეული იქნება და ამისათვის მან ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა უნდა ჩამოაყალიბოს. განსაზღვრული უნდა იქნას თითოეული მოქალაქის მინიმალური დაზღვევის ღირებულება, რომელსაც სახელმწიფო გადაიხდის. ამ თანხას ის, თავდაპირველად, სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიას გადაუხდის, რომელიც ყოველ მოქალაქეს შესაბამის პოლისს მისცემს. თანაც ამ თანხის ფარგლებში მოსახლეობას ექნება არჩევის შესაძლებლობა (შეიძლება, პიროვნებას რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიაში ურჩევნია მიიღოს ეს მინიმალური დაზღვევა ან უფრო სრულყოფილი დაზღვევის მიღება სურს). მაგალითისათვის, მინიმალური დაზღვევა შეიძლება სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიაში ყოველ მოქალაქეზე წელიწადში ათი დოლარი დაჯდეს, უფრო სრული დაზღვევა — თხუთმეტი, კიდევ უფრო ფართო კი — ოცი დოლარი. იგივე დაზღვევა, კერძო კომპანიაში, შეიძლება დაჯდეს შესაბამისად, თხუთმეტი, თვრამეტი და ოცდასამი დოლარი, მაგრამ აქ პიროვნებას, შესაძლოა, უკეთესი პირობები შესთავაზონ. ყოველ მოქალაქეს უფლება ექნება მოითხოვოს, რომ მისი კუთვნილი სადაზღვევო ათი დოლარი შესაბამისი კომპანიისათვის იქნას გადახდილი და თუ სურს მისგან სრული დაზღვევა მიიღოს, დანარჩენ ცამეტ დოლარს იგი დამატებით თვითონ გადაიხდის. ასევე, თუ პიროვნებას სურს, რომ სრული დაზღვევა სახელმწიფოსგან მიიღოს, იგი ამას შეძლებს, თუ სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიას წელიწადში დარჩენილ ათ დოლარს გადაუხდის. ამ მექანიზმით, პირველ ეტაპზევე, მოსახლეობის დიდი ნაწილი, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად იქნება დაზღვეული. შესაბამისად, პიროვნება მისთვის ყველაზე ხელსაყრელი დაზღვევის ფორმისა და სადაზღვევო კომპანიის არჩევას შეძლებს. აუცილებელი იქნება სადაზღვევო კომპანიებისა და მათი მომსახურების მაქსიმალური კონტროლი. ეს კომპანიები დაზღვევებისა და გადაზღვევების სახელმწიფო კომპანიაში იქნებიან გადაზღვეულები, რაც მეტ გარანტიებს შექმნის. ყოველივე ზემოთქმულიდან ერთად ხელი უნდა შეეწყოს კერძო სამედიცინო დაწესებულებების შექმნას. ცნობილია, რომ ისინი, კერძო ინტერესების არსებობის გამო, უფრო ეფექტიანად მუშაობენ. სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის კომპანიას მათი მომსახურების გამოყენება უნდა შეეძლოს.

რაც შეეხება ფარმაცევტული კომპანიების დახმარებას, ჩვენი გეგმის მიხედვით, იგი განვითარების ბანკის პრიორიტეტების სფეროში შედის. ფარმაცევტული კომპანიებისათვის პირდაპირი სახელმწიფო დახმარებების დაგეგმვაცაა შესაძლებელი. ეს სფერო ორი მიზეზის გამო მეტად მნიშვნელოვანი: 1. საქართველოში ფარმაცევტიკაში სერიოზული პოტენციალია, რომელიც თუ დროზე არ გამომჟღავნდა, მალე, ადგილობრივი მოთხოვნილებების უმცირესი ნაწილის დაკმაყოფილებასაც ვერ შეძლებს. 2. რეფორმების შემდეგ ეტაპზე, აუცილებელი იქნება მედიკამენტების დაზღვევის შემოღება და თუ ისინი ადგილობრივად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არ დამზადდა, მომავალში სახელმწიფოს მედიკამენტების იმპორტი გაცილებით ძვირი დაუჯდება, ვიდრე დღეს ამ სფეროს დახმარება.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ეკონომიკური პროგრამის უმნიშვნელოვანესი მიზანი არის მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებული ნაწილის, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალური დაცვა. ასეთებისათვის სახელმწიფო დამატებით გადაიხდის სადაზღვევო პოლისის თანხას და მინიმალურად დაზღვეულების მსგავსად, ისინიც შეძლებენ აირჩიონ თუ სად და როგორ დაეზღვიონ. ამ მექანიზმის საფუძველზე, გაჭირვებული ფენა მაქსიმალურად იქნება დაზღვეული, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი სახელმწიფოსაგან მინიმალურ დაზღვევას მიიღებს და თანაც, სურვილისამებრ, შედარებით ნაკლები ხარჯებით, დაზღვევის გაფართოებას შეძლებს.

ასე წარმოგვიდგენია პირველ ეტაპზე მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ყველაზე მისაღები ფორმა. შემდეგ ეტაპებზე კი მიიღწევა სრული სამედიცინო დაზღვევა. გარდა ამისა, მრავალი კერძო კომპანიის არსებობა ამ სფეროში მომსახურეობის ხარისხს გააუმჯობესებს და აწევს მის დონეს. ამისათვის, ალბათ საჭირო გახდება განვითარების ბანკის ჩარევა როგორც სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაციის, ისე თანხებით დახმარების საკითხშიც. ქვეყანაში დღეს არსებული მდგომარეობის და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით სწორედ ეს რეფორმები მიგვაჩნია სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საუკეთესო მოდელად.

### დამატება 1

ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად საქართველოს მოსახლეობამ დიდი ზარალი განიცადა. ფაქტიურად გაუქმდა მოსახლეობის კუთვნილი ანაბრები სახელმწიფო ბანკებში.

ქტკ-ს აუცილებლად მიაჩნია ამ ანაბრების სრული ანაზღაურება. ინდექსაცია უნდა მოხდეს ფულადი თანხის ბანკში შეტანის მომენტის მიხედვით, მისი მსყიდველუნარიანობისა და უცხოურ ვალუტასთან კურსის გათვალისწინებით. ლარის კურსი მაშინდელ მანეთთან მიმართებაში უნდა განისაზღვროს საშუალოდ ორიდან (1989 წ-მდე შეტანილი ანაბრებისათვის) ოც მანეთამდე ერთ ლარზე. დაზარალებულ მოსახლეობას უნდა გადაეცეს სპეციალური სახის ობლიგაციები. ანაბრების სრული დაფარვა უნდა მოხდეს რვა წლის განმავლობაში, ლარის ინფლაციის გათვალისწინებით. ვალის ერთი ნაწილის დაფარვა მოხდება ბიუჯეტიდან ყოველწლიურად. მეორე ნაწილს კი დაფარავს განვითარების ბანკი. ამ ანაბრებს უნდა მიეცეს სახელმწიფოს შიდა დავალიანების სტატუსი და მათი სრული დაფარვა სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს.

### დამატება 2

**სამუშაო-საკონტრაქტო ბაზა**

შრომის კანონი არის სამუშაო საკონტრაქტო ბაზის საფუძველი. იგი უნდა ითვალისწინებდეს ორი სახის — მუდმივ და დროებით ხელშეკრულებას. ისინი განსხვავებული ოდენობის გადასახადებით უნდა იბეგრებოდეს. მათში გათვალისწინებული უნდა იყოს სოციალური დაცვის მექანიზმები, მათ შორის: საპენსიო ფონდის პირობები, სამედიცინო, სიცოცხლის, დაშავების (დახეიბრების) და სხვა დაზღვევები. მეორე ეტაპზე კი უმუშევრობის დაზღვევაც. სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს და გათვალისწინებული უნდა იყოს წელიწადში ერთთვიანი შვებულება. დაქირავებულს პროფკავშირში (სინდიკატში) გაწევრიანების უფლება უნდა ჰქონდეს. ამ ორი სახის კონტრაქტში სამუშაოდან გათავისუფლება განსხვავებული წესით უნდა ხდებოდეს. ვადაზე ადრე გათავისუფლების დროს განსაზღვრული უნდა იყოს გარკვეული ინდემნიზაციის (დამატებითი ანაზღაურების) პირობები.

სამუშაოდან გათავისუფლების მიზეზი შესაძლოა ორი სახის იყოს:

1. — ობიექტური, რომელიც მოიცავს:

ა) დაქირავებულის მიერ სამუშაოს გაგრძელების შეუძლებლობას, გამოწვეულს დაშავებით ან უბედური შემთხვევით.

ბ) ეკონომიკური პირობების გაუარესებას — როდესაც დაწესებულების არსებობას საფრთხე ემუქრება დაქირავებულთა რაოდენობის შენარჩუნების შემთხვევაში.

გ) დაქირავებულის ადაპტაციის შეუძლებლობას ტექნიკურ ცვლილებებთან, მიუხედავად დაწესებულების მიერ მისი კვალიფიკაციის ამაღლების მცდელობისა.

დ) სამუშაოზე წყვეტილ არდასწრებას, თუკი ეს უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში აჭარბებს 20%-ს. ამაში არ უნდა ჩაითვალოს: საყოველთაო გაფიცვა, სამუშაო უბედური შემთხვევა, ფეხმძიმობა, კვალიფიკაციის ამაღლება, შვებულება ავადმყოფობა.

2. დისციპლინარული, რაც გულისხმობს:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული დისციპლინის დარღვევას, ზემდგომის იმ ბრძანებათა შეუსრულებლობას, რომელიც კონტრაქტით არის გათვალისწინებული.

ბ) ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალებების შეუწყვეტელ მოხმარებას, თუკი ეს უარყოფითად მოქმედებს სამუშაოს შესრულების ხარისხზე.

გ) ზემდგომის ან თანამშრომლების მიმართ აგრესიულ დამოკიდებულებას.

დ) სამუშაოს ხარისხის მუდმივ და ნებაყოფლობით შემცირებას.

ე) სამუშაო ადგილის მიტოვებას.

ვ) მუდმივ არაპუნქტუალობას.

სამუშაოდან გათავისუფლების შემთხვევაში უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

1. წერილობითი ინფორმირება გათავისუფლების შესახებ, სადაც მითითებული იქნება მიზეზი.

2. დავალიანების ლიკვიდაცია, რაც ითვალისწინებს მოცემული თვის ხელფასის და დარჩენილი დავალიანების გადახდას, ასევე დამატებითი პრემიალურის (მაგ. თუ არსებობს მეცამეტე ხელფასი და სხვა) და შვებულების პროპორციული წილის გადახდას.

3. ინდემნიზაციის გადახდა.

დაქირავებულმა შესაძლოა გამოხატოს:

1. — თანხმობა, რომლის შემთხვევაშიც სამუშაო ხელშეკრულება ძალადაკარგულად ჩაითვლება;

2. — უთანხმოება, რასაც შეიძლება მოჰყვეს:

ა) — სინდიკატის (პროფკავშირის) ჩარევა;

ბ) — მორიგება, რაც გამოწვეული იქნება პირობების ორმხრივ ხელსაყრელი შეცვლით;

გ) — სასამართლო განხილვა.

ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლომ შესაძლოა სამი გადაწყვეტილება მიიღოს:

1. გადაწყვეტილების ანულირება: — ამ შემთხვევაში დაქირავებული უბრუნდება სამსახურს;

2. გადაწყვეტილების სწორად მიჩნევა — ამ შემთხვევაში დაქირავებული ტოვებს სამსახურს პირობების შეუცვლელად;

3. გადაწყვეტილების მიჩნევა არასწორად — ამ შემთხვევაში დაქირავებული ტოვებს სამსახურს, მაგრამ იცვლება ინდემნიზაციისა და სხვა პირობები.

ინდემნიზაცია ყველა პირობის გათვალისწინებით იქნება 15-დან 45 დღის შესაბამის ხელფასამდე ყოველ ნამუშევარ წელზე, პლიუს 5-დან 20 დღის ხელფასამდე ყოველ დარჩენილ სამუშაო წელზე, რომელიც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს კონტრაქტის დამთავრებამდე დარჩენილ ხელფასის ნახევარს.

**საკონტაქტო ტელეფონი:**
98-39-55
**მისამართი:**
ვ[illegible]ალაძის ქ. №10

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული. დასაწყისი „საქართველო“ №20

## წარჩინებული გვარების ისტორიიდან

# ჩხეიძეების საგვარეულო

### ჩხეიძეების ღერბის აღწერა



ფარი (ფრანგული) გადაკვეთილია ორ თითქმის თანაბარ ნაწილად (ზედა ცოტა ნაკლებია).

ზედა ნაწილში, მუქ ლაჟვარდოვან მინდორზე, ცენტრალურ ღერძზე მოთავსებულია თავადური გვირგვინი, მის ქვეშ, ჰორიზონტალურად — სკიპტრა, რომელიც ჯვარის მარჯვენივაა გადაწვენილი.

ქვედა ნაწილში, შავ ფონზე — ვერცხლისფერი ციხე-სიმაგრის ქონგურებიანი კედელი, შემოფარგლული ორივე მხრიდან სათოფურებიანი (მაშიკულებიანი) კოშკებით.

შუა კონტურის თავზე მალტიური ტიპის ოქროსფერი ჯვარია.

ფარის ცენტრში, მინდვრების საზღვარზე, დადებულია პატარა ფარი, რომლის ზურმუხტისფერ ფონზე გამოსახულია დაკიდული ოქროს საწმისი (ოქროს საწმისი — ოქროს ვერძის ტყავი, რომელიც კოლხიდიდან მედეამ და იაზონმა გაიტაცეს „არგო“ ხომალდით).

ფარის მტვირთველები — ორი ბრინჯაოს ლომი.

ფარი დაფარულია მეწამული ხავერდის სათავადო მანტიით, რომელსაც გარს შემოვლებული აქვს ყარყუმის ბეწვი. თავზე ადგას თავადური გვირგვინი.

ღერბი შესრულებულია 1996 წელს ნიმუშის მიხედვით "a. chaffanJon-is le petit gotha illustre" (1968, გვ. 446) თავად ლეონიდე შერვაშიძის მიერ — იგია საქართველოს ეროვნებათშორისი თავად-აზნაურობის საკრებულოს საღერბო კაპიტულის კანცლერი, პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

სამხედრო საქმეს და საომარ ოპერაციებს ერისთავები ხელმძღვანელობდნენ. „ერი“ — ხალხი, ჯარი და „თავი“. ერისთავობა გვაროვნული საზოგადოებიდან იღებს სათავეს. ძველ საქართველოში ერისთავი ჯარის უფროსს, სარდალს ნიშნავდა. სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ ერისთავი სამხედრო და ადმინისტრაციული დარგების მმართველია. ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა მეფემ ფარნავაზმა ძვ. წ. III ს. განაწესა 8 ერისთავი და ერთი სპასპეტი. მარგვს — არგვეთს ერისთავი განაგებდა (ტერიტორიას) ლიხის მთიდან ეგრისის საზღვრამდე.

ერისთავებს ექვემდებარებოდნენ სპასალარები, სპასალარებს — ათასისთავები. ქართლის სპასპეტი ერისთავი 7 ერისთავის უფროსი იყო.

დას. საქართველოში ერისთავის ინსტიტუტი X ს-დან დამკვიდრდა, მაგრამ ლიხთ-იმერეთში ერისთავები ძვ. წ. IV-III სს. იხსენიებიან.

VIII ს-ში არაბების წინააღმდეგ მებრძოლი არგვეთის მთავრები, დავითი და კონსტანტინე ჩხეიძეები უნდა ყოფილიყვნენ. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ და ვახუშტი ბატონიშვილთან, მხეიძეები საერთოდ არ მოიხსენებიან. ასეთივე აზრისაა ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსიც.

888 წლიდან დას. საქართველოში იქმნება „ქართველთა სამეფო“. არგვეთის დიდი ფეოდალი ლიპარიტ პირველი ბაღვაში X-ის 80-იანი წლებიდან ერისთავად იწოდება, XI-ში — ერისთავთერისთავად.

ამავე საუკუნეში ყალიბდება სადროშოებიც, რომლებიც ფეოდალური ხანის სამხედრო-ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა. სადროშოს, რომელიც სარდალს ემორჩილებოდა, მეფე ნიშნავდა. მის სიმბოლურ ნიშანს დროშა წარმოადგენდა. სადროშოს ლაშქარს ერისმთავრები სარდლობდნენ.

იმერეთის სამეფოს ტერიტორია 4 სადროშოდ იყოფოდა: ვაკის, არგვეთის, რაჭის და ოკრიბა-ლეჩხუმის. როგორც ჩანს, (გარკვეულ პერიოდში) ვაკის, არგვეთის და რაჭის სადროშოების მთავარსარდლები ჩხეიძეები არიან. XIV-XV სს ყალიბდება საჩხეიძო, სადაც სარდლებად ჩხეიძეები არიან.

1661 წელს იმერეთის სამეფოში ოფიციალურად იქმნება სარდლის ინსტიტუტი, სადაც მთავარსარდლებად და სარდლებად კვლავაც ჩხეიძეებს ვხედავთ, ეს თანამდებობა ხშირად მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე, სამეფოს გაუქმების შემდეგ შემოღებულ იქნა მარშლობა.

XVIII ს-ში მეფე ალექსანდრე V რაჭის ერისთავის შვილს ეპისკოპოსს გედეონ ჩხეიძეს უბოძა „საერისთავო მამული“ იმერეთში და მას უწოდა „ბარის ერისთავი“. „ბარის ერისთავთა“ ინსტიტუტი რაჭის ერისთავთა დასაპირისპირებლად, მათი ზომაზე მეტი სიძლიერის დასათრგუნავად იყო ფრთხილი მეფის მიერ შემოღებული. მაგრამ მეფის მიერ გატარებულმა აღნიშნულმა ღონისძიებამ არ გაამართლა, რადგან შეუძლებელი იყო, ასე იოლად იმ წინააღმდეგობათა დაძლევა, რომელიც თან ახლდა შინა ფეოდალურ ურთიერთობათა ბრძოლას.

საქართველოში საკულტო არქიტექტურა ადამიანის განვითარების ადრეულ საფეხურზე ჩაისახა. მოგვიანებით ჩნდება სარწმუნოებრივი სამლოცველო ნაგებობები: მონასტრები, ტაძრები, ეკლესიები, სადაც ღვთის მსახურთა და მლოცველთა მცირე ჯგუფები იყრიდა თავს. ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შემდეგ საჭირო გახდა დიდმასშტაბიანი ნაგებობანი, სადაც დიდძალი მორწმუნე-მლოცველი დაეტეოდა.

თავის მხრივ თავადაზნაურთა სტატუსისათვის აუცილებელი იყო საკუთარი ციხე-სიმაგრე, საძვალე, ეკლესია-მონასტერი. ამიტომ დიდგვაროვანნი და განსაკუთრებით ერისთავები აგებდნენ ეკლესია-მონასტრებს, ციხე-სიმაგრეებს. ხშირად ეკლესია-მონასტრებს სწირავდნენ საკუთარ მამულებს, ყმა-გლეხებს.

უაღრესად საყურადღებო და თვალსაჩინოა ჩხეიძეების საეკლესიო სფეროში მოღვაწეობა. XVI ს-ში ჩხეიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები მრავლად ჩანან ისტორიის სარბიელზე. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ: ქუთათელი ეპისკოპოსი გერმანე და სვიმონი, ხონელი ეპისკოპოსი მანოელი, ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე, ჯუმათელი ეპისკოპოსი სიმონი, აფხაზთა კათალიკოსები ევდომონი და ხოფილანდრე ჩხეიძეები.

ამავე საუკუნის მოღვაწეებად ჩანან აგრეთვე მოქველი მთავარეპისკოპოსი ფილიპე და ხონელი მთავარეპისკოპოსი ზაქარია ჩხეიძეები.

ევდომონ ჩხეიძე ცნობილი პიროვნებაა. მის დროს XVI ს-ის მეორე ნახევარში მოხდა საკათალიკოსოს მუდმივი რეზიდენციის ბიჭვინთიდან გელათში გადმოტანა. გარდა იმისა, რომ კათალიკოსია, ამავე დროს იგი არის მწიგნობარი, მრავალი ხელნაწერის გადამწერინებელი, გელათის მონასტრის მშენებელ-მომხატვინებელი, მოქვის საყდრისა და ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატის „შემკობი“. ასეთი დამსახურებისათვის ევდომონი გამოსახულია გელათის ეკლესიის კედლებზე და დაკრძალულია გელათს, „საფლავთა შინა მეფეთასა“, წმინდა გიორგის ეკლესიაში.

ამავე პერიოდში მოღვაწეობენ ქუთათელი ეპისკოპოსი სვიმონ I, აფხაზთა კათალიკოსი სვიმონ II, ქუთათელ მიტროპოლიტ სახლთუხუცეს სეხნიასძე სვიმონ III.

1660-1666 წწ. აფხაზეთის კათალიკოსია სვიმეონ ჩხეიძე.

როგორც ირკვევა, XVII ს-იც ქუთათელ ეპისკოპოსის კათედრას ისევ ჩხეიძეთა საგვარეულო ფლობს. ამ დროისათვის ცნობილნი არიან: შედან, სვიმონ, მამუკა, ხოსია, პაატა, ქაიხოსრო და გიორგი ჩხეიძეები.

სვიმეონი ჯერ ნიკორწმინდელად ზის, შემდეგ ქუთათელ მიტროპოლიტად და „კათალიკოს ქუთათელად“ იწოდება, ან „ქუთათელ-კათალიკოსად“. მას აუგია სოფ. თხილწყაროს ეკლესია, რაც წარწერითაც დასტურდება.

ბეჟან ჩხეიძის აგებულია იტრიის მონასტერი.

გიორგი III დროს (1605-1639) ქუთათელ ეპისკოპოსის კათედრა ბასილ ჩხეიძეს უჭირავს.

ამრიგად, სარწმუნოდ გვეჩვენება, რომ XVI-XVII სს საეკლესიო და საერო სფეროში წამყვანი ადგილი ჩხეიძეებს ეჭირათ.

ჩხეიძე დიდი გვარია, ისინი მთელს საქართველოში ცხოვრობდნენ. XV-XVI ს-ბის მიჯნაზე, სოფ. ობჩაში (ბაღდათის რაიონი) ჩხეიძეების ნაწილი იტრიიდან (სოფელია სურამთან) გადმოსულან, თუ დაბრუნებულან, ნაწილი კი აქ მანამდეც სახლობდა. იმ დროისათვის ცნობილი იყვნენ: დავით, ბეჟან და გიორგი (გოგია), ლევან ჩხეიძეების სახლები, რომელთაც დიდძალი მამულები ჰქონდათ საჩხეიძეოში, ეკლესია-მონასტრებით და ციხე-სიმაგრეებით.

იმჟამად ობჩის დიდი ნაწილი დაფარული იყო მუხის ტყით, რომელსაც, როგორც ირკვევა, თავს აფარებდნენ სხვადასხვა კუთხიდან და სხვადასხვა მიზეზით მოსული ადამიანები. ამიტომაა, რომ აქ დღეს 100-ზე მეტი გვარის კაცი ცხოვრობს. შემდეგში თავი გამოიჩინა ყარამან გიორგის ძე ჩხეიძემ თავისი განათლებით, ტრადიციებით, კულტურითა და საოცარი იუმორით. ფირან ჩხეიძე, რომელიც ცნობილი იყო ნიჭიერებით, სისპეტაკით, კეთილშობილებით, მოსახლეობაში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. იყო მართლმადიდებელი მორწმუნე და ღვთის მსახური. თუ ეკლესიაში ღვთის წინაშე დაიფიცებდა, მისი ფიცი 24 კაცის დაფიცებას უდრიდა.

ფირანს, ვახტანგსა და ყარამან ჩხეიძეებს ჰქონდათ საგვარეულო დონის, იმ დროისათვის უნიკალური საოჯახო ბიბლიოთეკები, სადაც დაცული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ნიმუშები, უცხოური და საეკლესიო ხასიათის ლიტერატურა.

კოტე თეიმურაზის ძე ჩხეიძე გამოირჩეოდა მაღალი ზნეობით, კაცთმოყვარეობით და დიდი ავტორიტეტით, განათლებით და საქველმოქმედო საქმიანობით. იგი რაიონის მასშტაბით აგვარებდა სადავო-სადგილმამულო, ნასყიდობის, გაყრის და სხვა სოციალურ ურთიერთობებს, სამართლებრივი ხასიათის საკითხებს.

ილიკო სიმონის ძე, მაქსიმე ვახტანგის ძე და ბიჭია ფირანის ძე ჩხეიძეები იყვნენ მომრიგებელი მოსამართლეები და სასამართლოში გამოდიოდნენ დამცველებად. კარგად იცოდნენ რუსული და ზოგიერთი აღმოსავლური ენები. აღსანიშნავია, რომ ბიჭია ჩხეიძე ნოტებით მუსიკალურ განათლებას აძლევდა ახალგაზრდობას.

ნიკოლოზ (კოლია) ნესტორის ძე ჩხეიძე, ცნობილი დასტაქარი და საზოგადო მოღვაწე (დამთავრებული ჰქონდა კიევის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი), რომელმაც სოფ. ობჩაში, საკუთარ სახლში გახსნა პირველი საავადმყოფო, სადაც ლამფის შუქზე აკეთებდა უნიკალურ ოპერაციებს და პაციენტებს მკურნალობდა უფასოდ. ხალხმა მას „ჩვენი ღმერთი“ შეარქვა.

პროვიზორი მიხეილ (მიხაკო) მაქსიმეს ძე ჩხეიძე, რომელმაც თბილისში გერმანელი ზემელისაგან შეიძინა აფთიაქი და სოფ. ობჩაში გახსნა პირველი აფთიაქი.

კონსტანტინე (კოწია) გიგოს ძე, კონსტანტინე (კოწია) ნესტორის ძე და ბარნაბ (ბაბილო) სამსონის ძე ჩხეიძეები. მათ განათლება მიღებული ჰქონდათ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში და წარმატებით ემსახურებოდნენ ქვეყანას და საკუთარ ხალხს.

მრავალი ჩხეიძე, როგორც სპასალარი, სპასპეტი, სარდალი და რიგითი ჯარისკაცი, საუკუნეების მანძილზე იქნევდა ხმალს, გარეშე მარბიელ, ურჯულოთა თუ ქრისტიანი დამპყრობლების წინააღმდეგ, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. მოგვიანებით ბევრი ჩხეიძე შეეწირა თვითმპყრობლური რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას, შემდეგ ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ რეპრესიებს. მხოლოდ იმიტომ, რომ დიდგვაროვანნი იყვნენ. მაგრამ „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“.

ჩხეიძეების დიდი წინაპრების მიერ დღემდე მოტანილ საუკუნოვან ტრადიციებზე, ადათ-წესებზე, ჩვეულებებზე და ცხოვრების სწორ წესზე აღიზარდა მრავალი თაობა, რომლებიც ცნობილი არიან სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით, თავდადებით, ტოლერანტობით, მაღალი ზნეობით და მაღალი კულტურით.

**თენგიზ ჩხეიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

---

მეათე გვერდიდან

# შეხვედრა აბრაგებთან

კი თქვა, რომ საქართველოდან დაბრუნებული ქ. ვლადიკავკაზში ჩამოხტა მანქანიდან და სასწრაფოდ აცნობა სათანადო ორგანოებს მომხდარი ამბის შესახებ, რამაც საშუალება მისცა მათ, რომ დროულად განეხორციელებინათ საჭირო ღონისძიება და სასტიკად გაენადგურებინათ აბრაგთა ორგანიზებული ჯგუფი.

ჩემი ყურით რომ არ მომესმინა, ვერ დავიჯერებდი, თუ ასე სულით დაეცემოდა ეს სატანას თანაზიარი, ჩემზე თერთმეტი წლით უფროსი იყო და აქამდე დიდი ხათრიც მქონდა მისი, მაგრამ ახლა თავისი გამცემლური საქციელით იმდენად დაეცა ჩემს თვალში, რომ ერთი სული მქონდა, შემოვბრუნებულიყავი და სახეში მიმეფურთხებინა, მაგრამ გამომძიებელმა იგრძნო ჩემი რეაქცია და სასტიკად გამაფრთხილა, რომ აქედანვე კარცერში გამაგზავნიდა.

როდესაც მაგრეზი მორჩა თავის გამცემლურ ყბედობას, გამომძიებელმა კვლავ მისცა შეკითხვა:

— კეთილი, ხუგაევ, მაგრამ ერთი მითხარით, ხომ არავის დაუძალებია თქვენთვის ამ საიდუმლო საქმის გათქმა?

— როგორ გეკადრებათ, მე ძალიან კარგად ვიცი, რასაც ვაკეთებ და როგორც უნდა მოვიქცე. არაფერი მეშლება, — უპასუხა სატანამ.

— ახლა ისიც გვითხარით, თქვენს გარდა კიდევ ვინ იყვნენ მანქანაში, მძღოლი ან მგზავრი? — შეეკითხა გამომძიებელი.

— ჩემს გარდა თვითონ მძღოლი, დერკიზანოვი მუსა და მისი ვაჟი იუსუფ დერკიზანოვი, — აი, ეს, — თქვა იუდამ და ჩემზე მოუღო ხელი.

— კი მაგრამ, ისინი რომ ორივენი უარყოფენ ასეთ ბრალდებას, ეს რაღას ნიშნავს? — ჩაეძია გამომძიებელი.

— მეც ვიცი, რომ უარყოფენ, მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცევიან, — დაასკვნა სატანამ, თითქოს დიდი, ვაჟკაცური საქმე გაეკეთებინოს.

— თქვენს შორის რა ნათესაური კავშირი არსებობს? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— ამის მამა დედაჩემის ძმა იყო, — უსირცხვილოდ მიუგო იუდამ.

— ახლა აღარ არის, ან ასეთი ახლობელის ოჯახი როგორ გაიმეტეთ, მითუმეტეს, როგორც გამოძიებისათვის ცნობილია, თქვენი მშობლების დაღუპვის შემდეგ მაგ ოჯახმა იკისრა თქვენი გაზრდა და ცხოვრების გზაზე დაყენება. ამაზე რას იტყვით?

(გამომძიებლის ეს შეკითხვა უებარ მალამოსავით წაეცხო ჩემს განამებულ გულს და კინაღამ შევხტი სიხარულისაგან).

— იმ ოჯახში დედაჩემსაც ეკუთვნოდა წილი, გაზრდით კომკავშირმა და საბჭოთა მთავრობამ გამზარდეს, საერთოდ კი ასეთ კითხვებს შეეშვით, თორემ ზევითაც შემიძლია მისვლა, მე ჩემი საქმე გავაკეთე და ძალიან კარგადაც ვიცი, რაც გავაკეთე. დამნაშავე ყველა უნდა დაისაჯოს, ბიძაჩემი იქნება თუ ბიძაშვილი, არა აქვს ამას მნიშვნელობა — გადმოანთხია დაგუბებული შხამი ამ არაკაცმა.

მისი მუქარით შეცბუნებული გამომძიებელი ახლა მე მომიბრუნდა.

— აბა, ახლა რაღას იტყვით, ბრალდებულო დერკიზანოვ, ხომ თქვენი ყურით მოისმინეთ ხუგაევის ჩვენება, სწორია თუ არა?

— არავითარ შემთხვევაში, მოქალაქე გამომძიებელო, — მართალია, მანქანაში ერთად ვიყავით, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ისე კი, თქვენც ხომ მოისმინეთ, ხუგაევს მიზეზი ჰქონია ჩვენთან სადაოდ, იმის გამო, რომ ჩვენი ბინის წილი დედამისსაც ეკუთვნის, კი აღარ უთქვამს მაგ უსინდისოს, ვინ უთხრა უარი იმ თავის წილზე, მაგას, ალბათ, ის უნდა, რომ ასეთი ყალბი ბრალდებით თავიდან მოგვიცილოს ყველა, მეც და ჩემი მშობლებიც, რათა ჩვენს ოჯახს მთლიანად თვითონ დაეპატრონოს. — ვუპასუხე სიგიჟემდე ბრაზმორეულმა და თავი ველარ შევიკავე, წამოვხტი, მინდოდა ერთი ღონიერი წიხლი მეთავაზებინა მაგრეზისათვის, მაგრამ უეცრად ზედამხედველი შემოვარდა, ღონიერი ხელით ჩამბღუჯა და გამომძიებლის ბრძანებისამებრ, კარცერში მიკრა თავი.

ამის შემდეგ მივიღე ერთადერთი გადაწყვეტილება — რასაც მეკითხებოდნენ, ყველაფერზე უარს ვამბობდი. არც ხელს ვაწერდი რაიმე ჩვენებებზე, მაგრამ ჩემმა სიჯიუტემ საქმეს ვერ უშველა. მაინც გამასამართლეს, სამი წელი თავისუფლების აღკვეთა მომისაჯეს და სამუშაოდ ქ. გროზნოს ლაგერში გამგზავნეს. რაღაც ყუთებს ვაკეთებდით, ერთი სული მქონდა, ოჯახისა და მამაჩემის ამბავი გამეგო. ბევრი ვეცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, ბოლოს, უკიდურეს ზომამდე მისულმა, გაქცევა გადავწყვიტე, ამ მიზნით დავუახლოვდი ჩემზე ორი წლით უფროსს, ეროვნებით ლეკს (პატიმარს) ოსმან მაგომედოვს. ეს ახალგაზრდა ობოლი გახლდათ, დედა ეროვნებით ჩეჩენი ჰყოლია, დაობლების შემდეგ ოსმანი დედის მშობლებს ხასავ-იურტიდან გუდერმეხში წაუყვანიათ და იქ გაუზრდიათ, იქვე დაუფლებია ჩეჩნურ ენას. იარაღის უკანონოდ შენახვის გამო ხუთი წელი ჰქონდა მისჯილი. შესანიშნავი ახალგაზრდა იყო. გავანდე ჩემი საიდუმლო, ლაგერიდან გაქცევა მინდა-მეთქი. ოსმანი სიხარულით დამთანხმდა ასეთ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ხელსაყრელი დრო იყო საჭირო. ბოლოს, როგორც იქნა, დროც ვნახეთ და ჩვენი ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანეთ 1941 წლის ხუთ აპრილს გავიპარეთ ლაგერიდან.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სატელევიზიო პროგრამები. 22 – 27 ივნისი

## 22 ივნისი, სამშაბათი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 9.05 დოკ.ფ "მსოფლიოს ველური ბუნება". 10.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის ტრანსლაცია. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 მესაკუთრე. 18.30, 22.20 ევროპის კავშირთა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლასთან დაკავშირებული პრეს-კონფერენცია (პირდ.ტრანსლ.ლუქსემბურგიდან). 19.05 სერიალი "დალასი". 20.35 "ბასტი-ბუბუ". 20.55 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 რეტროსპექტივა. 22.00 ვესტნიკი. 22.50 ასპარეზი. 23.00 კამერა-ტონი. 23.15 ინტელექტ-კლუბი. 0.15 მო-თV. 0.25 მხ.ფ. "მემფისის მზეთუნახავი".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 სუპერ-მატჩი. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 "თბილისის დროით..." 22.30 მხ.ფ. "ვატერლოოს ხიდი". 0.10 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 4.05 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 "ორნი". 10.00, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ცისფერი ხე". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. "მაფია". 23.00 ანალიტ. პროგრამა "Перекресток". 0.50 მხ.ფ. "შინდლერის სია". 4.15 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.40 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 "ილია". 11.55 მხ.ფ. "მხოლოდ ის ერთადერთი". 18.20 კალათბურთი. 20.35 მხ.ფ. "კრამერი კრამერის წინააღმდეგ". 22.45 მუს.ლაბირინთი. 22.50 მხ.ფ. "ვერსაჩეს მკვლელობა". 0.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის გახსენება: ბრაზილია-დანია. 2.10 სერიალი "მენტები".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 17.15 მულტსერიალი. 17.55, 23.35 დოკ.ფ. 18.20, 20.20, 21.45 მუსიკა. 19.00 სპექტრი. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. 0.15 მუს.კალეიდოსკოპი.

**იბერია** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30, 20.00 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი "საჰარას საიდუმლოება". 14.15 მხ.ფ. "შავში ჩაცმული ქალის შურისძიება". 18.00 დღის ქრონიკა. 18.03, 21.45 მუსიკა. 18.30 დოკ.ფ. 18.40 ბიზნეს-კურიერი. 19.00 "ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 მუს.სამშაბათი. 22.30 მხ.ფ. "გზაჯვარედინი".

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტ.პროგრამა. 13.00, 15.15, 21.00, 1.30 მხ.ფ. 15.30 მუს.კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.40, 18.45, 20.35, 22.15, 1.30 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. "განგსტერები". 12.50 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმები. 18.55 მხ.ფ. "მისტიკური პიცა". 20.45 მხ.ფ. "ორმაგი დრაკონი". 22.30 მხ.ფ. "კაზინო". 1.45 მხ.ფ. 3.50 ნონ-სტოპი.

7.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.45 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.55 Мультфильм. 12.15 "Смехопанорама". 12.50 Домашняя библиотека. 13.15 "Вместе". 14.00 Х/Ф "СТАВКА БОЛЬШЕ, ЧЕМ ЖИЗНЬ". 15.05 Сериал "Семейные тайны". 15.30 Мультсериал. 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 "Счастливый случай". 17.30 "... До 16 и старше". 19.15 "Угадай мелодию". 19.45 "Здесь и сейчас". 20.05 "Тема". 20.45 Х/Ф "ЗИМНЯЯ ВИШНЯ". 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время. 22.40 "Однако". 22.50 Х/Ф "Я - РУССКИЙ СОЛДАТ". 00.40 Док. фильм "Свидетель". 02.00 Баскетбол. Чемп. Европы. Мужчины. 02.40 Х/Ф "НУ И МОЛОДЕЖЬ!".

**НТВ КИНО** 11.35, 19.10 Сериал "ВОИНЫ ВРЕМЕНИ" (США). 12.20, 19.55 Календарь "Мира кино". Мэрил Стрип. 12.40 Х/Ф "МЕБИУС" (США). 14.10, 21.45 Календарь "Мира кино". Клаус-Мария Брандауэр. 14.25, 23.30 КиНовости. 14.35 Х/Ф "УЧИТЕЛЬ НА ЗАМЕНУ" (США). 16.05 Х/Ф "ГОРИЛЛА" (Италия). 17.35 Х/Ф "СЕРДЦЕ ТИГРА" (США). 20.15 Х/Ф "ЖАЖДА КРОВИ" (США). 22.00 Х/Ф "ТИХАЯ ЗЕМЛЯ" (Новая Зеландия). 23.40 Х/Ф "НЕИЗВЕСТНЫЕ СОЛДАТЫ" (Италия). 00.10 Х/Ф "НОЧЬ ПУГАЛА" (США).

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Заклинатель гремучих змей. 13.50 Первые полеты. 14.20 Поворотные моменты истории. 14.45 Воздушные силы. 15.40 Австралиец. 16.10 Анангард. 16.35 Охотники за привидениями. 17.05 Экология-96. 18.00 Погребенные под пеплом. 18.55 Катастрофа. 19.20 Мир рыболовства с Рексом Хантом. 20.00 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30 Мир Уолкера. 21.00 Приспешники Гитлера. 22.00 История одного зоопарка. 22.30 Как устроена дикая природа. 23.30 Классические велосипеды. 0.00 Шторм.

## 23 ივნისი, ოთხშაბათი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 9.05 დოკ.ფ "მსოფლიოს ველური ბუნება". 10.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის ტრანსლაცია. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 50/50. 19.05 სერიალი "დალასი". 20.35 "ბასტი-ბუბუ". 20.55 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 მაია თომაძე. 21.40 ხეირი. 21.50 მო-თV. 22.00 ვესტნიკი. 22.20 "ამერ-იმერი" (გად.V). 22.40 ტელე-სინე-ვიდეო. 23.20 კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საქართველოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი. 0.15 მხ.ფ. "აბსოლუტური ხელისუფლება".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.40 "მესამე სექტორი" - სტუდია "რე". 20.00 5/5. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 "ახლო ხედი". 22.50 მხ.ფ. "ანარეკლი". 0.05 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 2.55 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00 "ორნი". 10.00, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ცისფერი ხე". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ "მოგება". 23.55 "მაშველები". 0.50 მხ.ფ. "რომი". 3.05 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.15 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. "სისხლი და ღვინო". 13.30 "ავტოპილოტი" (გამეორ.). 18.20 მხ.ფ. "აეროპლანი-1". 19.40 მუსიკა. 20.35 მხ.ფ. "კალათბურთელის დღიური". 22.20 მუს.ლაბირინთი. 22.25 მხ.ფ. "იყო ადამიანი". 0.20 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის გახსენება: საფრანგეთი-იტალია. 2.55 სერიალი "მენტები".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 17.15 მულტსერიალი. 17.55, 23.15 დოკ.ფ. 18.20, 20.20, 21.45 მუსიკა. 19.00 სპექტრი. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. „ფრანგული და რუსული სიყვარული". 0.15 მუს.კალეიდოსკოპი.

**იბერია** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი "საჰარას საიდუმლოება". 14.15 მხ.ფ. "გზაჯვარედინი". 18.00 დღის ქრონიკა. 18.03, 21.50 მუსიკა. 19.00 "ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 "სტუმარი". 22.30 მხ.ფ. "იდეალური მკვლელი".

10.00, 17.30, 20.30, 22.00, 0.20 ექო. 10.15, 16.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტ.პროგრამა. 13.15, 15.15, 21.00, 23.35, 1.20 მხ.ფ. 14.45 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 13.35, 18.45, 20.30, 22.20, 0.25 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. "კაზინო". 13.45 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმები. 18.55, 0.40 მხ.ფ. 20.40 მხ.ფ. "მტირალი მკვლელი". 22.35 მხ.ფ. "გლორია". 2.50 ნონ-სტოპი.

7.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.40 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Тема". 11.55 Мультфильм. 12.10 В мире животных. 12.50 Домашняя библиотека. 13.15 "Вместе". 14.00 Х/Ф "СТАВКА БОЛЬШЕ, ЧЕМ ЖИЗНЬ". 15.10 Сериал "Семейные тайны". 15.30 Мультсериал. 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 "Классная компания". 17.00 Зов джунглей. 17.30 "... До 16 и старше". 19.15 "Маски-шоу". 19.45 "Здесь и сейчас". 20.05 "Человек и закон". 20.45 Х/Ф "ЗИМНЯЯ ВИШНЯ". 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время. 22.40 "Однако". 22.50 Х/Ф "МЕЧТАТЬ НЕ ВРЕДНО". 00.35 Док. фильм "Свидетель". 01.55 Баскетбол. Чемп. Европы. Мужчины. 02.45 Х/Ф "ЖЕНА ХАМА".

**НТВ КИНО** 11.35, 19.10 Сериал "ВОИНЫ ВРЕМЕНИ" (США). 12.20 Х/Ф "НЕИЗВЕСТНЫЕ СОЛДАТЫ" (Италия). 13.50, 19.55, 00.45 КиНовости. 14.00 Х/Ф "ЖАЖДА КРОВИ" (США). 15.30 Х/Ф "ТИХАЯ ЗЕМЛЯ" (Новая Зеландия). 17.00 Х/Ф "МАКБЕТ" (Великобритания). 20.05 Х/Ф "ЗОНА СМЕРТИ" (США). 21.30 Х/Ф "ЧИСТОЕ СЕРДЦЕ" (США). 23.15 Х/Ф "ОБРАТНЫЙ ОТСЧЕТ" (США). 0.55 Х/Ф "ЗОЛОТО" (Россия - Италия).

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Командование флотом. 13.50 Первые полеты. 14.20 Поворотные моменты истории. 14.45 Ариан-5: за несколько секунд до катастрофы. 15.40 Австралиец. 16.10 Загадочный мир Артура Кларка. 16.35 Охотники за привидениями. 17.05, 18.00 Век войн. 18.55 Катастрофа. 19.20 Мир рыболовства с Рексом Хантом. 20.00 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30 Мир Уолкера. 21.00 Приспешники Гитлера. 22.00 История одного зоопарка. 22.30 Как устроена дикая природа. 23.30 Классические грузовики. 0.00 Суперконструкции.

## 24 ივნისი, ხუთშაბათი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 9.05 დოკ.ფ "მსოფლიოს ველური ბუნება". 10.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის ტრანსლაცია. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.20 "ოქროს გასაღები". 18.45 პიგია. 19.05 სერიალი "დალასი". 19.55 რამპა. 20.35 "ბასტი-ბუბუ". 20.55 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 ეკოდაიჯესტი. 21.30 კოტე წერეთელი. 22.00 ვესტნიკი. 22.20 ხეირი. 22.30 "ამერ-იმერი" (გად.VI). 22.50 "მრავალსახეობა". 23.30 კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საქართველოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი. 0.15 მო-თV. 0.25 მხ.ფ. "სალი გონებითა და მყარი მეხსიერებით".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 ჰოროსკოპი. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 შვიდეული. 22.30 მხ.ფ "მიწის ცახცახი". 0.05 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 3.05 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00 "ორნი". 10.00, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ცისფერი ხე". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. "სამი ფერი-ლურჯი". 23.55 "მაშველები". 0.50 მხ.ფ. "ბრძოლისათვის". 3.15 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.30 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. "ხულიგნების კლუბი". 18.20 კალათბურთი. 20.35 მხ.ფ. "პოლიციელის ტყავისათვის". 22.35 მუს.ლაბირინთი. 22.40 მხ.ფ. "ოპერაცია "პელჰემი-123". 0.10 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის გახსენება: გერმანია-ხორვატია. 1.55 სერიალი "მენტები".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 17.15 მულტსერიალი. 17.55 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 23.40 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. „ტყუპი დრაკონები". 0.15 მუს.კალეიდოსკოპი.

**იბერია** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი "საჰარას საიდუმლოება". 14.15 მხ.ფ. "იდეალური მკვლელი". 18.00 დღის ქრონიკა. 18.03 მუსიკა. 18.30 "ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 20.30 პოლიტიკური პორტრეტი. 22.30 მხ.ფ. "ფენიქსი".

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო. 10.15, 17.15 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა. 13.05, 15.45, 23.30, 1.15 მხ.ფ. 15.00 მუსიკა. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე. 21.00 მხ.ფ. "ერთი დღე ნიუ-იორკში".

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.25, 18.45, 20.15, 22.15, 1.00 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. "გლორია". 12.35 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმი. 18.55, 1.15 მხ.ფ. 20.25 მხ.ფ. "დრაივი". 22.30 მხ.ფ. "მძინარენი". 3.20 ნონ-სტოპი.

7.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.10 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Человек и закон". 12.05 Клуб путешественников. 12.45 Домашняя библиотека 13.15 Программа "Вместе". 14.00 Х/Ф "СТАВКА БОЛЬШЕ, ЧЕМ ЖИЗНЬ". 15.05 Сериал "Семейные тайны". 15.30 Мультсериал. 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 "Волшебный мир, или Синема". 17.00 "Улица Сезам". 17.30 "... До 16 и старше". 19.15 "Угадай мелодию" 19.45 "Здесь и сейчас". 20.05 "Чтобы помнили". 20.45 Х/Ф "ЗИМНЯЯ ВИШНЯ". 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время. 22.40 "Однако". 22.50 Х/Ф "ЧЕРНАЯ ВУАЛЬ". 00.40 "Собрание заблуждений". 01.25 Х/Ф "БУРНЫЙ ПОНЕДЕЛЬНИК".

**НТВ КИНО** 11.35, 19.00 Сериал "ВОИНЫ ВРЕМЕНИ" (США). 12.20 Х/Ф "ЗОЛОТО" (Россия - Италия). 13.50, 18.45, 00.10 КиНовости. 14.05 Х/Ф "ЗОНА СМЕРТИ" (США). 15.30 Х/Ф "ЧИСТОЕ СЕРДЦЕ" (США). 17.15 Х/Ф "ОБРАТНЫЙ ОТСЧЕТ" (США). 19.45 Х/Ф "ПОСЛЕДНИЙ ИЗ ЖИВЫХ" (США). 21.20 Х/Ф "ОРДЕР НА СТРИПТИЗ" (Канада). 22.50 Х/Ф "АМУЛЕТ СМЕРТИ" (ФРГ). 0.20 Х/Ф "ДВОРЕЦ РАЗРУШЕНИЙ" (Новая Зеландия).

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Экология-97. 13.50 Первые полеты. 14.20 Поворотные моменты истории. 14.45 Смертельное оружие. 15.40 Австралиец. 16.10 Загадочный мир Артура Кларка. 16.35 Охотники за привидениями. 17.05 Взаимосвязи с Джеймсом Берком. 18.00 Король скорости. 18.55 Катастрофа. 19.20 Мир рыболовства с Рексом Хантом. 20.00 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30 Мир Уолкера. 21.00 Приспешники Гитлера. 22.00 История одного зоопарка. 22.30 Серенгети в огне. 23.30 Классические грузовики. 0.00 Детективы-медики

## 25 ივნისი, პარასკევი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 9.05 დოკ.ფ "მსოფლიოს ველური ბუნება". 10.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის ტრანსლაცია. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 50/50. 19.05 სერიალი "დალასი". 20.35 "ბასტი-ბუბუ". 20.55 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 "გასეირნება თბილისში". 21.20 "დჟრიტა თV□. 21.40 "კავკასიური სამკუთხედი". 22.00 ვესტნიკი. 22.20 "ამერ-იმერი" (გად.VII). 22.40 ასპარეზი. 22.50 ანშლაგი. 0.15 მო-თV. 0.25 მხ.ფ. "დონი ბრასკო".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.50 ორატორი. 20.05 რაგბის მოყვარულთათვის. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 ანტრე. 22.20 მხ.ფ. "ფრთხილად, ბანდიტები!" 0.05 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 112.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 4.05 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 "მაშველები". 10.20, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ცისფერი ხე". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. "მის დეიზის მძღოლი". 0.50 "სიმფსონები". 1.20 "ფანტაზიები". 1.50 მხ.ფ. "კეტის სალონი". 4.15 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 23.10 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. "ისტორიები მინისძველეთიდან". 18.20 მხ.ფ "აეროპლანი-2". 19.45 მუსიკა. 20.35 მხ.ფ. "მეფე სოლომონი". 23.15 თიკო ვირტუალურ სამყაროში. 23.25 მუს.ლაბირინთი. 23.30 მხ.ფ. "შენ მაინც რა გაქვს სათქმელი-1". 1.00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის გახსენება: ჰოლანდია-არგენტინა. 2.45 სერიალი "მენტები".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 17.15 მულტსერიალი. 17.55 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 21.50 მხ.ფ. „მედისონის ოლქის ხიდები". 0.15 მუს.კალეიდოსკოპი.

**იბერია** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30 სერიალი "საჰარას საიდუმლოება". 14.15 მხ.ფ. 18.00 დოკ.ფ. 19.00 "ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 "კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება". 23.00 მხ.ფ. "უკანასკნელი ტანგო პარიზში".

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.00 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა. 13.30, 15.30, 21.00, 23.30, 1.30 მხ.ფ. 15.00 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 13.05, 19.10, 21.05, 22.50, 0.50 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. "მძინარენი". 13.15 კლიპ-მიქსი. 18.00 დოკ.ფ. 19.20 მხ.ფ. "სასაუზმო ბორბლებზე". 21.15 მხ.ფ. "მხოლოდ ძლიერი". 23.05 მხ.ფ. "სპეციალისტი". 1.05 მხ.ფ. 3.10 ნონ-სტოპი.

7.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.10 "Мы". 12.00 "Чтобы помнили". 12.40 Смак. 13.15 "Вместе". 13.55 КВН-99. 16.15 Х/Ф "ДРАКОН ГАЛГАМЕТ". 19.15 "Джентльмен шоу". 19.45 Док. детектив "Перехват на земле. Дело о суперракете". 20.15 "Здоровье". 20.45 "Поле чудес". 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время. 22.45 Х/Ф "РЕКВИЕМ ДЛЯ ПАДАЮЩЕЙ ЗВЕЗДЫ". 00.05 Клуб "Белый попугай". 00.45 "Тема недели". 01.05 Х/Ф "РИКОШЕТ".

**НТВ КИНО** 11.35, 19.10 Сериал "ВОИНЫ ВРЕМЕНИ (США). 12.20, 23.20 Календарь "Мира кино". Сидни Люмет. 12.35, 19.55, 01.05 КиНовости. 12.45 Х/Ф "ПОСЛЕДНИЙ ИЗ ЖИВЫХ" (США). 14.20 Х/Ф "ОРДЕР НА СТРИПТИЗ" (Канада). 15.50 Х/Ф "АМУЛЕТ СМЕРТИ" (ФРГ). 17.10 Х/Ф "ПРОГУЛКА МЕРТВЕЦА" (США). 20.05 Х/Ф "ЕГО ЗВАЛИ ВОРОН" (США). 21.40 Х/Ф "СТРАННИК" (США). 23.35 Х/Ф "КРУШЕНИЕ" (США - Люксембург). 01.15 Х/Ф "ИНТИМНЫЙ ДНЕВНИК" (Великобритания - Нидерланды - Люксембург - Франция).

**DISCOVERY CHANEL** 13.00 С днем рождения. 13.50 Первые полеты. 14.20 Поворотные моменты истории. 14.45 Орудия войны. 15.40 Австралиец. 16.10 Загадочный мир Артура Кларка. 16.35 Охотники за привидениями. 17.05 Крылья над Вьетнамом. 18.00 Эта старая пирамида. 18.55 Катастрофа. 19.20 Мир рыболовства с Рексом Хантом. 20.00 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30 Мир Уолкера. 21.00 Приспешники Гитлера. 22.00 История одного зоопарка. 22.30 Загадки океанских странников. 23.30 Классические грузовики. 0.00 Жизнь в огне.

## 26 ივნისი, შაბათი

10.00 დილის პროგრამა. 12.00 XXI. 12.20 ანსამბლი "კელაპტარი" 20 წლისაა. 12.45 რუს.მხ.ფ. "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" (I-II). 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 15.15 კვალი. 15.45 საყმაწვილო ტელევიზია - "ფრანგული დღიური". 16.15 "...და ეს ყველაფერი ჩვენზეა". 16.55 "მთიები" დიდ ბრიტანეთში. 17.20 "ობიექტივში მსოფლიო". 17.45 მესაკუთრე. 18.20 "საოჯახო ლოტო". 18.55 აჭარა. 19.25 კონცერტი. 20.35 "ბასტი-ბუბუ". 20.55 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 "მაესტრო". 22.10 "პიროვნული მომენტი". 22.30 დრიბლინგი. 23.15 დედაქალაქი. 23.30 კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საქართველოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი. 0.15 მო-თV. 0.25 "ილუზიონი" - მხ.ფ. "მთელი ეს ჯაზი".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატები. 21.00 ავტოსპორტი. 21.20 "საუბრები მართლმადიდებლობაზე". 21.45 კინოს საუკუნე. 22.15 ჯაზ-სპირიტი. 22.40 მხ.ფ. 0.05 ჰიტ-პარადი.

8.00, 11.30 მუსიკა. 9.00, 18.00, 21.00, 1.20, 4.10 კურიერი. 9.10 მულტსერიალი. 9.40, 18.40 საბ.სერიალი. 10.10 ფილმი-ბავშვებს. 12.00 "სიმფსონები". 12.30, 19.40 "მეორე მე". 13.20 მხ.ფ. 15.20, 19.10 "მანსტრების ოჯახი". 18.20 აკუნა მატატა. 20.35 სპორტ.პროგრამა. 21.50 ფსიქო - მხ.ფ. "მოჯადოებული" 1.30 "ფანტაზიები". 2.00 მხ.ფ. "პერდიტა დურანგო". 4.20 ღამის ჯაზი.

**VII არხი** 17.05, 20.05, 22.30 ტელეგაზეთი. 17.20 ფილმი-ბავშვებს. "ძლიერი იხვები-3". 19.05 დოკ.ფ. 19.30 ვარსკვლავი. 20.10 აჩიკუდა. 20.35 მუსიკა. 20.55 მხ.ფ. "სამურაი". 22.35 "ბედნიერი ერი". 22.40 მხ.ფ. "შენ მაინც რა გაქვს სათქმელი-2". 0.00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. 2.10 მხ.ფ. "შიშველი სიმართლე".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 17.15 მულტფილმი. 19.00 სპექტრი. 20.20, 23.45 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. „გაანალიზე ეს". 0.15 ჯაზ-პარნასი.

**იბერია** 11.00 "სტუდია-25". 11.30, 18.00 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 მხ.ფ. "ძლევამოსილი იხვები". 13.40 მუსიკა. 14.00 საავტ.გადაცემა. 15.00 თქვენი ადვოკატი. 16.00 კვირის სპორტი. 17.00 დოკ.ფ. 19.00 "შაბათიდან-შაბათამდე". 19.45 "სტილი". 20.30 აქტუალური თემა. 21.30 "ილია". 21.35 სცენის ოსტატები. 22.05 მხ.ფ. "მოდერნისტები".

10.00, 17.30, 20.30, 22.45, 0.45 ექო. 10.15, 17.00 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა. 13.30, 15.30, 21.00, 23.00, 1.45 მხ.ფ. 15.00, 23.45 მუს.კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.20, 13.40, 15.20, 19.15, 21.00, 22.40, 0.35 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. "სპეციალისტი". 12.30, 18.00 მულტფილმი. 13.50 მხ.ფ. "ამერიკელი". 15.30 კლიპ-მიქსი. 19.25 მხ.ფ. "ჯადოსნური ტბა". 21.10 მხ.ფ. 22.55 მხ.ფ. "შურისძიება". 0.50 მხ.ფ. "ჯინჯერი და ფრედი". 3.00 ნონ-სტოპი.

9.00 Х/Ф "КОНЕЦ АГЕНТА". 10.25 Слово пастыря. 10.45 "Домашняя библиотека". 11.00, 16.00, 19.00 Новости. 11.15 "100 %". 11.45 "Утренняя почта". 12.20 Каламбур. 12.50 Смак. 13.10 "История одного шедевра". 13.55 Х/Ф "ПЧЕЛКА". 15.25 "Цивилизация". 16.15 Док. сериал "Мама, это я". 16.45 В мире животных. 17.25 Мультфильм. 18.30 "Собрание заблуждений". 19.15 "Как это было". "Авария в Ленинградском метро". 19.35 "Ералаш". 19.55 Х/Ф "СЛЕД СОКОЛА". 22.00 Время. 22.50 Сериал "СЕКРЕТНЫЕ МАТЕРИАЛЫ". 00.30 Новости спорта. 00.50 Х/Ф "НИРВАНА". 02.55 Баскетбол. Чемп. Европы. Мужчины.

**НТВ КИНО** 11.35, 19.30 Сериал "ВОИНЫ ВРЕМЕНИ (США). 12.20 Х/Ф "ПРОГУЛКА МЕРТВЕЦА" (США). 14.20 Х/Ф "ЕГО ЗВАЛИ ВОРОН" (США). 15.55, 22.10 Крупный план. Стивен Болдуин. 16.10 Х/Ф "КРУШЕНИЕ" (США - Люксембург). 17.40 Х/Ф "СЕКСТЕРРОРИСТ" (Франция - Италия). 20.20 Х/Ф "СЛЕД СОКОЛА" (ГДР). 22.25 Х/Ф "УКРАСТЬ И УБЕЖАТЬ" (США). 23.50 Х/Ф "ТЕМНАЯ ПОРОДА" (США). 01.30 Х/Ф "КАПРИЗЫ РЕКИ" (Франция).

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Динозавры! 13.50 Погребенные под пеплом. 14.45 Первые полеты. 15.40 На воздушном шаре через Эверест. 16.35 Воздушные силы. 17.30 Смертельное оружие. 18.25 Катастрофа. 19.00 Программа "Экология" в Марокко. 0.00 Шторм.

## 27 ივნისი, კვირა

10.00 დილის პროგრამა. 12.00 სპა. 12.30 რეიტინგი. 12.45 საბავშვო პროგრამების სტუდია წარმოგიდგენთ... 13.45 რუს.მხ.ფ. "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება"-III. 14.50 "ბავშვები უპირველეს ყოვლისა". 15.00, 18.00, 0.00 მოამბე. 15.15 სოფლის ქრონიკები. 15.45 ცეკვავს "შუახევი". 16.05 "ეძიე ქალი..." 16.25 პროფესიონალები. 16.55 "გლობუსი". 17.35 "რენომე". 18.15 "ლატარია ყველასათვის". 18.35 საქართველოს კონსტიტუცია. 19.05 აფხაზეთის ტელევიზია. 19.45 "ენერგია". 20.00 ტოტოლოტო. 20.15 "დიდების ზღაპარი". 20.35 "შოკოლადის მიკროფონი". 21.00 ტაიმ-აუტი. 22.00 "ფორტუნა". 22.40 ხეირი. 22.50 ვიდეოპატრული-02. 23.00 ლატარია "ვაისროისის" გათამაშება. 23.25 ვ.ბალავაძის სახ. თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში (ფინალური შეხვედრები). 23.50 ხეირი. 0.15 მო- თV. 0.45 მხ.ფ. "დიდისეული კოშმარი".

19.00 კვირადღე": მულტფილმი, გაილიმე, სუპერ-მატჩი, "კერპები", "შვიდეული", ანტრაქტი, მხ.ფ, ქალაქი ღამით, ჰიტ-პარადი.

8.00, 11.30 მუსიკა. 9.00, 18.00, 0.40, 2.45 კურიერი. 9.10 მულტსერიალი. 9.40, 18.40 საბ.სერიალი. 10.10 ფილმი-ბავშვებს. 12.00, 0.00 "სიმფსონები". 12.30, 19.40 "მეორე მე". 13.20 მხ.ფ. 15.20, 19.10 "მანსტრების ოჯახი". 18.20 აკუნა მატატა. 20.30 სპორტ.პროგრამა. 21.00 კვირა. 21.50 მხ.ფ. "ცხელი შუადღე". 0.50 მხ.ფ "გატაცება". 2.50 კლასიკა.

**VII არხი** 17.05, 20.05, 21.40 ტელეგაზეთი. 17.20, 23.35 გასართ.პროგრამა. 18.20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. 20.10 აჩიკუდა. 20.35 მუსიკა. 20.55 "ავტოპილოტი". 21.45 მხ.ფ. 23.55 მხ.ფ. "გაშიშვლებული სულები".

17.00 მულტფილმი. 18.10 „კოკროჭინა". 18.50 მხ.ფ. „სახურავზე მაღლა". 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 21.00 ვარსკვლავები. 21.45, 23.40 მუსიკა. 22.00 მხ.ფ. „მკვლელის წერილები". 0.15 ჯაზ-პარნასი.

**იბერია** 11.00 - 0.00 პროგრამა "ჩემო საქართველო".

10.00 ექო. 10.15, 18.00 მულტფილმი. 11.00, 18.45 ქართ.მხ.ფ. 12.30 დოკ.ფ. 14.15, 16.30, 20.45, 23.15, 1.45 მხ.ფ. 15.45, 20.15 მუსიკა. 22.15 ფარდის გახსნამდე... 1.00 ტელეფილმი.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.25, 13.45, 15.10, 19.25, 21.00, 22.45, 0.55 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. "შურისძიება". 12.25, 18.00 მულტფილმი. 13.55 მხ.ფ. "პრიმადონა მერი". 15.20 კლიპ-მიქსი. 19.35 მხ.ფ. "მაფია". 21.10 მხ.ფ. "საგანგებო რაზმი". 23.00 მხ.ფ. "ფოლადის მაგნოლიები". 1.10 მხ.ფ. "ლეგენდა მუმიაზე". 3.20 ნონ-სტოპი.

9.00 Мультфильмы. 09.15 Х/Ф "ВОЛШЕБНИК ЛАЛА". 10.30, 17.30, 17.55 Дисней-клуб. 11.00, 16.00 Новости. 11.15 "Непутевые заметки". 11.30 "Пока все дома". 12.10 "Утренняя звезда". 12.55 "Армейский магазин". 13.30 "Играй, гармонь любимая!". 14.00 "Крестьянские ведомости". 14.30 "Все путешествия команды Кусто". 15.25 "Смехопанорама". 16.15 Клуб путешественников. 17.05 Баскетбол. Чемп. Европы. 18.25 Х/Ф "МЕДВЕДЬ". 19.15 "Серебряный шар". 20.00 "Ералаш". 20.20 Х/Ф "БУДЬТЕ МОЙМ МУЖЕМ". 22.00 Время. 22.35 Х/Ф "ТРИ МУШКЕТЕРА". 00.30 Новости культуры. 01.50 Баскетбол. Чемп. Европы. Мужчины. 02.30 Сериал "ЗОЛОТЫЕ ГОДЫ СТИВЕНА КИНГА".

**НТВ КИНО** 11.35 Сериал "ВОИНЫ ВРЕМЕНИ (США). 6-я серия. 12.25 Х/Ф "СЛЕД СОКОЛА" (ГДР). 14.10, 22.10 Х/Ф "УКРАСТЬ И УБЕЖАТЬ" (США). 15.35 Х/Ф "ТЕМНАЯ ПОРОДА" (США). 17.15 Х/Ф "ЖЕЛЕЗНАЯ МАСКА" (Франция - Италия). 19.20 Х/Ф "ПРАЧЕЧНАЯ" (США). 20.20 Х/Ф "ТАММИ" (Италия). 21.55 Крупный план. Синтия Ротрок. 23.45 Х/Ф "ПЛОЩАДЬ ВАШИНГТОНА" (США). 1.40 Х/Ф "КЛЮЧИ К СВОБОДЕ" (США).

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Король скорости. 13.50 Красивое решение. 14.20 Мир будущего. 14.45 Эта старая пирамида. 15.40 Поворотные моменты истории. 16.10 Загадочное животное. 16.35 Охотники на призраков. 17.30 Век войн. 19.20 Загадочное животное. 20.00 Рождение реактивного бомбардировщика. 21.00 Экстремальные машины. 22.00 Все, что вы хотели знать о... 23.00 Охотник на крокодилов. 0.00 Мифы человечества.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი



**მდგომიარედ:** 1. „დოლზე" დამკვრელი „სიმონა" (გვარი); 2. მუხანათი „ველური" ქალი; 3. „აწონილი" მანძილი; 4. „მსოფლიოს მრანდავი" ქალი (რუს. ნაწ. კავშ.); 5. „მერხზე" გაზრდილი ქედმაღალი „ვანელი"; 6. „ტილიანი" სოფელი ხევსურეთში; 7. „კალამს" მორგებული საბავშვო ზღაპრების ოსტატი (რუს. კავშ.); 8. მსოფლიოში ცნობილი ბავშვების საყვარელი თაგვი; 12. „ცით" მოვლენილი „კანიანი" თხის ნაშიერი; 14. „პოლარული" ფოტოაპარატი; 15. „ძილის მოყვარული" ქალი (სახელი); 17. „უკვდავი" ფიგურა ჭადრაკში; 18. მინის გადასახადი, რომელიც სახელმწიფოსთვის „რენტაბელურია" (ხუმრ.); 23. „მეორე ნოტზე" აწყობილი ფენა; 24. წყალზე მომუშავე ძრავა, სადაც „ტურისტებს" „ბინა" აქვთ დადებული; 25. „ვიზირებული" სტუმრობა; 26. „მერხზე" ნათამაშევი ჭადრაკის ერთი ხელი; 28. „ირინას დის" ტყავგადაკრული საკრავი; 29. ქალის „გამოსაძერწად" ღმერთის გამოყენებული „გამოსახრავი" მასალა; 31. „რულეტკას" ათვლის წერტილი; 32. ყველაზე „სწრაფი" სახელმწიფო აფრიკაში; 35. მანქანის „ნახევარ ლერძში" სახმარი ერი (რუს. კავშ.)

**მწოლიარედ:** 3. კომუნისტურად აღზრდილ ახალგაზრდათა „დაჭმუჭნული" კავშირი (რუს. კავშ.); 9. „ერისთვის" „გონიერად" მოაზროვნე მამაკაცი (სახელი); 10. წყევლის დროს ციდან თავზე დასაყრელი და დასაცემი მფრინავი „მასალა"; 11. „პეტიცია" წაყენებული მსახიობთა ვარჯიში; 13. ქალი, რომელიც დორას მინას სთხოვს; 14. „ონში" დაპატარავებული ცხენი; 16. ქალაქი კრასნოიარსკის მხარეში, სადაც „სოროებს" თხრიდნენ (რუს. კავშ.); 17. ფრანგი მწერალი, რომელიც „მერის" სიყვარულს „ჩემობს"; 19. „გეგმიურად" მოსაწევი ნარკოტიკი (რუს. კავშ.); 20. „მათ ძე დუნივით" ფუჭი და უნაყოფო; 21. „ფანდების" მოყვარული სიმებიანი საკრავი; 22. „მერის" სატარებელი სამძივე შავი მასალა; 25. „სიჩუმის" მოყვარული სამხედრო თვითმფრინავის მარკა; 28. მჭრელი იარაღი, რომელიც ზოგჯერ კრიჭასაც ვერ ხსნის; 30. მსოფლიო მასშტაბით ცნობილი მატყუარა ბარონი; 33. „აკვანში" გაზრდილი სასულიერო პირი; 34. ჭრილობების მოყვარული პერიოდული სისტემის ქიმიური ელემენტი; 36. „ტრაპმიდგმული" ქალაქი თურქეთში; 37. კარგ „დარგში" გაზრდილი სურნელოვანი ქერქი, სანელებლად გამოსაყენებელი; 38. ის, რასთანაც კაცს ასწორებენ, ზოგი ფეხს არ აკარებს და ყველა მისი შვილები ვართ.

**ეკა ჭანტურიას!**

ჩემო ლამაზო დაიკო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ლამაზი ოცნებების ასრულებას.

*თამრიკო გვაზავა, ნათია ჭანტურია, ნათია კორახაშვილი*





**მანანა ლობჯანიძეს!**

ჩვენო უძვირფასესო და სულზე უტკბესო მანანა, გილოცავთ დაბადების დღეს და გულში ჩაბუდებულ ოცნებათა ასრულებას გისურვებთ. გვიგულეთ შენს გვერდით.

*შენი მეგობრები გაზეთ „საქართველოდან"*

**იზოლდა ცირდავას!**

დაბადების დღეს გილოცავთ, იზო! ბედნიერებას, სიყვარულს და ულევ სიხარულს გისურვებთ.

*გაზეთ „საქართველოს" რედაქცია*



# გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკა

რა გართულება შეუძლია გამოიწვიოს მაღალმა არტერიულმა წნევამ?

— გულის ზომების მომატება; კარგად მოგეხსენებათ, როცა ადამიანი ჰანტელებით ვარჯიშობს, მისი მხრის კუნთები („ბიცეპსები") თანდათან იზრდება. სწორედ ასევე ემართება სტაბილურად მაღალი არტერიული წნევის მქონე ადამიანის გულის კუნთსაც. ამ დროს გულს მეტი ძალისხმევა უხდება, რათა ყველა ორგანოს სისხლის აუცილებელი რაოდენობა მიაწოდოს. რაც უფრო ხანგრძლივად იქნება არტერიული წნევა მაღალი, მით უფრო მალე და უფრო მეტად გაიზრდება გულის კუნთი. გაზრდილი (ჰიპერტროფირებული) კუნთი საკვებად მეტ სისხლს მოითხოვს, მაგრამ მიწოდებული სისხლის რაოდენობის უსაზღვრო გაზრდა შეუძლებელია. როგორც კი გულის კუნთის (მიოკარდიუმის) ჟანგბადის მოთხოვნილებასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობა ვითარდება, ეს გულის ტკივილით გამოიხატება. მოკლედ, არტერიული ჰიპერტონია ძალიან უწყობს ხელს გულის იშემიური დაავადების განვითარებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ არტერიული წნევის ციფრები შედარებით სწრაფად და სტაბილურად მოვაწესრიგეთ, შესაძლებელია გულის ნორმალური ზომების აღდგენა გარკვეული დროის შემდეგ. ეს, სამწუხაროდ, არ ეხება შორს წასულ შემთხვევებს.



— თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა (ინსულტი); არტერიული წნევის სტაბილური მატებისას არსებობს საშიშროება, თავის ტვინის მკვებავ სისხლძარღვთა დაზიანება და, როგორც შედეგი, ინსულტი განვითარდეს. იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის და ზომის სისხლძარღვები ზიანდება, შეიძლება მოხდეს ცალ-, ან ორმხრივი დამბლა, მეტყველების სრული, ან ნაწილობრივ მოშლა, ცნობიერების სრული დაბინდვა, ბოლოს კი — სიკვდილი. ინსულტის შედეგები (რა თქმა უნდა, სიკვდილის გარდა!) შესაძლებელია, გარკვეულწილად ალაგდეს კიდეც. ყველაფერი ეს დამოკიდებულია როგორც დაზიანებული სისხლძარღვების რაოდენობასა და კალიბრზე, ისე თავის ტვინის დაზიანებული უბნის რაოდენობასა და ლოკალიზაციაზე.

— თირკმლის უკმარისობა: ხანგრძლივმა და უმკურნალებელმა ჰიპერტონიამ შესაძლოა, თირკმლის მკვებავი სისხლძარღვებისა და, შესაბამისად, თავად თირკმლის ქსოვილის დაზიანება გამოიწვიოს. ამის შედეგად მცირდება დაზიანებული თირკმელების მიერ გამოყოფილი შარდის რაოდენობა. ვითარდება ე. წ. თირკმლის უკმარისობა. მოგეხსენებათ, შარდის საშუალებით (თირკმლის ნორმალური ფუნქციონირებისას) ჩვენი ორაგნიზმიდან ნივთიერებათა ცვლის შედეგად წარმოქმნილი შხამიანი ნივთიერებები გამოიყოფა, თირკმლის უკმარისობის დროს კი ისინი ორგანიზმში გროვდებიან. შედეგი ფრიად სავალალოა. აღსანიშნავია, რომ ამერიკაში იმ პაციენტთა 25%-ზე მეტს, რომლებსაც თირკმლის შორს წასული უკმარისობის გამო დიალიზის გამოყენება უხდებათ (სპეციალური აპარატით სისხლის გაწმენდა შხამიანი ნივთიერებისაგან), დასაწყისში „მსუბუქად ემატებოდათ არტერიული წნევა", რასაც სათანადო ყურადღებას არავინ აქცევდა. აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ჰიპერტონიის დროული და ეფექტიანი მკურნალობა თითქმის ყოველთვის აგვაცილებს ამგვარ სერიოზულ გართულებებს.

*ვაჟა აგლაძე*

გაგრძელება იქნება

# ჰოროსკოპი

## 22 — 27 ივნისი. 1999 წელი

**ვერძი**

ორშაბათი შედარებით წარმატებულ დღედ ჩაითვლება მთელი კვირის განმავლობაში და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე თქვენთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. სამშაბათი და პარასკევი გაუაზრებელ ფულის ხარჯვას გიქადით, ასე რომ, დაიოკეთ თქვენი სურვილები. ოთხშაბათი თქვენი ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭის წყალობით კარგად წარიმართება, ხოლო ხუთშაბათს, შაბათსა და კვირას არ გირჩევთ შეეჭიდოთ დიდ პროექტებს: ეს დღეები სავსეა უარყოფითი ემოციებით და დიდ წარმატებებსაც ვერ მოგიტანთ.

**კურო**

ორშაბათი ყოვლად გაურკვეველი დღეა იმ გაგებით, რომ თავს ყოვლმხრივ უხერხულად იგრძნობთ, თუმცა ეს გრძნობა მალე გაგივლით, რადგან სამშაბათი და ოთხშაბათი კარდინალურად შეცვლის თქვენს მდგომარეობას — თქვენ მოზღვავებულ ენერგიას იგრძნობთ. ხუთშაბათი მეგობრული ურთიერთობის მოგვარებას მიუძღვნით. პარასკევს შეგიძლიათ თქვენს ინტუიციას დაეყრდნოთ, შაბათი იმით იქნება კარგი, რომ იგი შემოიტანს თქვენს ცხოვრებაში მოულოდნელ ცვლილებებს.

**ტყუპები**

ორშაბათს ნუ გაატანთ ქარს ფულს — დაე, დაელოდონ უკეთეს დროს. სამშაბათი, ხუთშაბათი და კვირა გაუთავებელი ოჯახური და სასიყვარულო წამიერი კინკლაობის დღეებია. ოთხშაბათს საკუთარ თავთან დარჩენა გაგიადვილებთ უკეთ გააცნობიეროთ მომხდარი. პარასკევს თქვენ ან თქვენი ახლობელი თავს შეუძლოდ იგრძნობს. მხოლოდ შაბათს იზეიმებთ გამარჯვებას შექმნილ ვითარებაზე.

**კიბო**

ორშაბათი მთლიანად პირად პრობლემებს დაუთმეთ. სამშაბათს სარფიანი მოგების მიღებასთან დაკავშირებით სასიამოვნო ემოციებით აივსებით. ოთხშაბათს სჯობს მიხედოთ საკუთარ ჯანმრთელობას. ხუთშაბათი დატვირთული იქნება დაძაბული სიტუაციით და შესაძლებელია კონფლიქტიც კი, ხოლო პარასკევი მოულოდნელ შენაძენს მოგიტანთ — ეს იქნება ფული თუ საკუთარი „მეს" მნიშვნელობის აღიარება.

**ლომი**

ორშაბათს თქვენ ფილოსოფიური განწყობა დაგეუფლებათ და თქვენ მთელი მსოფლიოს შეყვარება მოგინდებათ. სამშაბათს კარგ გუნებაზე იქნებით. ოთხშაბათს ეიფორია მთლიანად გაქრება და დაგეუფლებათ თქვენთვის კარგად ნაცნობი ერთფეროვნება, მაგრამ ნუ დაღონდებით, ხუთშაბათს კვლავ შეკაზმავთ გამარჯვების კვიცს. პარასკევს თქვენგან დამოუკიდებლად სირთულეებს წააწყდებით — მათ გადაჭრაში თქვენი მეგობრები და კოლეგები დაგეხმარებიან. შაბათს არავის არ უნდა ენდოთ, მათ შორის თქვენი ოჯახის წევრებსაც კი.

**ქალწული**

ორშაბათი და ოთხშაბათი მიუძღვენით შემდგომი გეგმების აწონ-დაწონას, ხოლო მათი მოგვარება „შემდეგისთვის" გადადეთ. სამშაბათი სასიამოვნო დღეს გიქადით იმ შემთხვევაში, თუ არ მოუყვებით ყველას თქვენი გეგმების შესახებ. ხუთშაბათი დაძაბულად წარიმართება საჭირო ინფორმაციის უქონლობის გამო. პარასკევს არავის ენდოთ. შაბათს ფულადი საქმიანობა გელოდებათ, ხოლო კვირას რასაც კი ხელს მოჰკიდებთ უეჭველად გამოგივათ.

**სასწორი**

ბედისწერა თქვენ კითხვებს გისვამთ და თუ ვერ მოძებნით მათზე გასაცემ პასუხებს, ვერც ცხოვრებაში წაიწევთ წინ. ყოველ შემთხვევაში ასეთ დღეებად გპირდებიან იყვნენ ორშაბათი და შაბათი. შვიდჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერით — აი, სამშაბათი დღის დევიზი. ოთხშაბათი ყოვლმხრივ კარგი დღეა. ხუთშაბათს და კვირას სასიამოვნო დროის გატარებას გირჩევთ. პარასკევს მოულოდნელობებისათვის მზად იყავით. შესაძლოა თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტოთ ანდა თქვენის აზრით გენიალურმა იდეამ გაგიხათოთ გონება.

**მორიელი**

ორშაბათს მზრუნველობას ნუ მოაკლებთ თქვენი ოჯახის წევრებს, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ თქვენი არსებობის აუცილებლობაში. სამშაბათს თქვენი დაგეგმილი ყველა საქმე ერთი ხელის მოსმით მოგვარდება. ოთხშაბათი და პარასკევი თქვენი გამარჯვების დღეებია. მიუხედავად იმისა, რომ დიდ სურვილს იგრძნობთ მთელი აგრესია თქვენს კოლეგებზე გაანთხიოთ. შაბათს მოულოდნელი პრობლემების გადაჭრა მოგიწევთ. თუმცა კვირას თქვენ თქვენივე თავდასხმებისაგან მოგიწევთ დასვენება.

**მშვილდოსანი**

ორშაბათს დაგეგმავთ მომავალ მგზავრობას და მიენდეთ თქვენს ინტუიციას, იგი თქვენ არ გიღალატებთ. სამშაბათს საკუთარი ცხოვრების კეთილმოწყობაზე იოცნებებთ ან თუნდაც იმაზე, თუ როგორ მოხერხებულად გაბათ თქვენს სასიყვარულო ბადეში თქვენი მორიგი მსხვერპლი. რათა ოთხშაბათს თქვენს გარშემო მყოფებმა არ იგრძნონ თქვენი რწმენის უქონლობა, არჩიეთ თქვენი ფარული აგრესიული ხასიათი. დაწყებული ხუთშაბათიდან თქვენი საქმეები კარგად წარიმართება.

**თხის რქა**

ორშაბათს თქვენ საკმაოდ სერიოზულად გაგიმართლებთ. მოვლენები თქვენს სასარგებლოდ წარიმართება. იგივე მოხდება ოთხშაბათსაც. სამშაბათი და ხუთშაბათი ახალი წარმატებებით აისახება თქვენს პროფესიონალურ სარბიელზე, რაც საგრძნობლად დაეტყობა თქვენს საფულეს. პარასკევს თქვენ ახალი აზრი შეგიპყრობთ თქვენს სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით. ხოლო შაბათს გმართებათ გამოიჩინოთ თავდაჭერილობა და მოთმინება — მხოლოდ ასე თუ შეძლებთ ხათაბალაში გავარდნის შესაძლებლობის თავიდან აცილებას.

**მერწყული**

ორშაბათს მაქსიმალურად შეეცადეთ მიმდინარე პრობლემების გადაჭრა, რათა სამშაბათს დატკბეთ თქვენი მუშაობის შედეგად მიღებული ნაყოფით. ოთხშაბათს გამარჯვებისათვის განეწყვეთ, ფორტუნა ხომ კვლავ გწყალობთ. ხუთშაბათი საჭირო ხალხთან კონტაქტს დაუთმეთ, პარასკევს თქვენ მოულოდნელ სირთულეს წააწყდებით, რომელიც ადვილად დასაძლევი გახდება კოლეგებთან ერთად. პარასკევს პატარა პიკნიკი მოაწყეთ თქვენს მეგობრებთან ერთად.

**თევზები**

ორშაბათი ფრიად დაძაბული და მშფოთვარე იქნება, მაგრამ მთლიანობაში ეს დღე წარმატებულად ჩაივლის. სამშაბათს თავს მოდუნების უფლება მიეცით ბუნების წიაღში ან თუნდაც სახლში წიგნით ხელში სავარძელში ჩათვლიმეთ. ოთხშაბათი სასიამოვნო ამბებს გაცნობებთ, ხუთშაბათს წარმატების ქარი კვლავ აავსებს თქვენი ოცნების აფრებს და მთლიანად მიენდეთ თქვენს ინტუიციას. პარასკევს და შაბათს არ მიიღოთ სერიოზული გადაწყვეტილება, თუმცა კვირას ჩინებულ განწყობაზე იქნებით.

**უცხოელთათვის ფალიაშვილის ქუჩის დასაწყისში ქირავდება სამოთახიანი ბინა აივნით, ცხელი წყლის მომარაგებით და ევრორემონტით. დარეკეთ 224459, საღამოს საათებში. იკითხეთ თამაზი**

ბათუმში იყიდება 4 ოთახიანი ბინა (180 მ²) რუსთაველის 57, II სართული, ბინა 3. უმაღლესი რემონტით, 4 კონდიციონერით. ზღვის ნაპირიდან 50 მ. საკონტაქტო ტ. 8-88-222-7-24-04. 8-99-56-66-04. ფასი შეთანხმებით.

იყიდება 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა, მაღალი ჭერით (5მ.) ტაბიძის ქუჩაზე (მერიის უკან) 3-სართულიან სახლში, ფასი 10000 დოლარი. ტ. 92-08-77, გოგი.

იყიდება დიდი დიღმის IV მიკრო რაიონში ავტოტრანსპორტის ბოლო გაჩერებასთან ლვოვის პროექტის 9-სართულიანი სახლის მე-5 სართულზე მდებარე 4-ოთახიანი ბინა. სარემონტო. ფასი 5000 დოლარი. დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ 76-65-42, ზაზა. საღამოს საათებში.

ქირავდება ან იყიდება პურ-ფუნთუშეულის საცხობი ყველა საჭირო დანადგარით დეზერტირების ბაზრის I სართულზე. საკონტაქტო ტელეფონი 93-20-36 (სერგო). პეიჯერი (900) 70-60 — ირაკლი.

ქირავდება პრესის სარეალიზაციო ადგილები ქალაქის სხვადასხვა უბნებში სათანადო ნებართვებით. უმუშევართა საყურადღებოდ. ხელმისაწვდომ ფასებში. დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ 76-65-42, ზაზა. 72-40-02, გენადი, 93-18-41, 93-20-36, ზაზა.

იყიდება კერძო, იზოლირებული 2-სართულიანი სახლი. I სართული ნახევრად სარდაფი, მე-2 სართული მაღალი ბელეტაჟი. II სართულის საერთო ფართი 90 კვ. მ. სველი წერტილები ცალკეა. საწყისი ფასი 14000 დოლარი. ტელ. 95-85-83. მისამართი: ბოჭორიძის ქ. 11,

**ნუგზარ ძარჩავას ხსოვნას!**



ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დატოვე შენი ოჯახი და ზეციურ საქართველოში გადასახლდი.

გვენატრები, თვალში გვაკლიხარ ყველას, სულ შენს მოგონებაში ვიქნებით.

ილოცე იმ ქვეყნად შენი ოჯახის საკეთილდღეოდ.

*ოჯახისაგან*

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გია თვალავაძე

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

რედაქცია: ელგუჯა ჩხაიძე (რედ. მოადგილე – დარგობრივი ეკონომიკა), გიორგი ბეჟუაშვილი – უცხოური ინფორმაცია, თემურ კოზოლაშვილი – სოციალურ-ეკონომიკური განყოფილების გამგე; მანანა ლობჯანიძე – პოლიტიკა, ნანა ძველაია – რეგიონალური პოლიტიკა, იზოლდა ცირდავა – ინფორმაცია.

კორესპონდენტები: ქეთი ჩადუნელი, ნათია ჭანტურია,

კორექტორები: ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
პაატა დავითაშვილი,
სოსო გენებაშვილი,
ბაქარ მათიკაშვილი
ზურა აბაშიძე,
ნანა რევიშვილი,
მარინა ფერაძე,
ირმა ბურაშვილი.